ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს პროექტი
A2

გივი ყანდარელი შემოქმედი, რომელიც დააკლდა ქალაქს...
A5

Weekend

საკვირაო საკითხავი

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი შაბათი, 10 ივნისი, 2006 წელი. №127 (1279) ფასი 50 თეთრი

ბრაზილიურ-გერმანული პრელუდია

ფინალი ერთი თვის შემდეგ

A8

პელე და კლაუდია შიფერი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი

პოლიტიკა

პუტინი წავა, რომ ისევ დაბრუნდეს

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მესამე ვადით არჩევას მომხრეები რუსეთის ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საზოგადოებაშიც ამ იდეას დიდი მხარდაჭერა აქვს. რუსული პოლიტიკური ელიტა ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიებაშია.

A3

სამართალი

კახეთში "კანონიერ ქურდებს" ქონებას ართმევენ

კახელმა სამართალდამცველებმა "კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ რადიკალური ღონისძიებების გატარება დაიწყეს.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	10/06	11/06
თბილისი	34	33
ტყიბული	27	26
სოხუმი	24	23
დმანისი	27	26
გორი	28	27
ონი	21	21
ზუგდიდი	27	27
ახმეტა	33	32
სამტრედია	29	28

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7850
ევრო	2.2575
ბირვანქა სტერლ.	3.2885
რუბლი	0.0661

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
რევიუ	A 5
რევიუ	A 6
ტენდერი	A 7
სპორტი	A 8

ოპოზიცია დიპკორპუსთან შეხვედრებს აგრძელებს

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს - ევროკომისიის, საფრანგეთისა და გერმანიის ელჩებს შეხვდნენ.

როგორც ოპოზიციონერები აღნიშნავენ, მათ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ელჩებს საარჩევნო კანონმდებლობის ხარვეზების შესახებ. საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით ყველა ოპოზიციურ პარტიას ერთიანი პოზიცია გააჩნია.

შეხვედრის შემდეგ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, ევროპის ელჩები, ისევე როგორც საფრანგეთისა და გერმანიის ელჩები, აფიქსირებენ იმ პოზიციას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დღევანდელი ხელისუფლებისთვის იქნება ტესტი დემოკრატიაზე.

"ჩვენ არ ვაპირებთ ამ გამოცდაში უბრალოდ დამკვირვებლის როლი შევასრულოთ," - განაცხადა დავით გამყრელიძემ. მისი თქმით, ოპოზიციამ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საარჩევნო კანონის იმ მუხლების თაობაზე, რომლებიც შესაცვლელია დღევანდელ კანონმდებლობაში.

გამყრელიძემ განაცხადა, რომ ელჩებთან მიღწეულია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ უახლოეს მომავალში გაიმართება ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ელჩებთან ოპოზიციის გაფართოებული შეხვედრა, რომელზეც საარჩევნო კანონის ხარვეზებს განიხილავენ.

"რესპუბლიკელების" ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, დიპლომატიური კორპუსი იზიარებს ოპოზიციის წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა ცალსახად უზრუნველყოფს დედაქალაქში ერთპარტიული საკრებულოს ჩამოყალიბებას, რაც მიუღებელია. მისი თქმით, 98 პროცენტი მოქმედი კანონმდებლობით არის იმის ალბათობა, რომ თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი იქნებიან მხოლოდ სახელისუფლო ძალები. როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, ხელისუფლების მხრიდან უკვე დაწყებულია საარჩევნო კამპანია და უკვე ყოველდღე მოსალოდნელია ღამის რეპორტაჟები იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება ხალხზე.

შეხვედრიდან გამოსული ელჩები ცალსახად პოზიციას არ აფიქსირებენ, თუმცა აცხადებენ, რომ მათ მიიღეს დეტალური ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, გაეცნენ ოპოზიციის შეხედულებებს, აგრეთვე

ოპოზიციამ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერსპექტივებს.

"ლეიბორისტების" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ წამყვანი ევროპული ქვეყნების ელჩები შეშფოთებულები არიან საქართველოში მიმდინარე პროცესებით.

"საკაშვილმა დასავლეთს არა მხოლოდ იმედები გაუცრუა, არამედ თავი მოჭრა და შეარცხვინა. საკაშვილზე უარესი მტერი ევროპას არ ჰყავს, ლუკაშენკოც კი. საკაშვილის ქმედებები ევროპულ ფასეულობებს ძირს უთხრის," - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

"ახალი მემარჯვენეების", "კონსერვატორების", "რესპუბლიკელებისა" და "ლეიბორისტების" ლიდერებმა გუშინდელი შეხვედრის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებთან დაკავშირებითაც გააკეთეს კომენტარი.

როგორც "მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძემ განაცხადა, არჩევნების წინ ხელისუფლება აქტიურად იყენებს ბოლშევიკურ მეთოდებს. **"ეს ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ თითქოს ღამეც მუშაობენ ხალხის საკეთილდღეოდ... ამ მეთოდებით ირღვევა საქართველოში ადამიანის უფლებები, რადგანაც პრეზიდენტის გულის მოსაგებად მუშებს ღამით ამუშავებენ, მაშინ როცა ხალხი უნდა ისვენებდეს,"** - აღნიშნავს გამყრელიძე. მისი თქმით, პრეზიდენტი ერთპიროვნული დიქტატორია და ხალხი მას დამონებული ჰყავს. იგი ასევე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ, შესაძლოა, არჩევნები მოულოდნელად სექტემბერში დანიშნოს და ოპოზიციამ არჩევნებისთვის მომზადება ვერ მოასწროს.

"კონსერვატიული პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა დადებით გავლენას მოახდენს ხელისუფლებაზე. როგორც კობა დავითაშვილმა განაცხადა, დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს და მის კურსს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე, თუმცა დასავლეთმა არაერთხელ გააკრიტიკა ხელისუფლების არასწორი ქმედებები.

კობა დავითაშვილმა კომენტარი გააკეთა ასევე პრეზიდენტის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ მან არ იცის, როდის დანიშნავს არჩევნებს, რადგან ჯერ საქმე არის გასაკეთებელი. დავითაშვილის განცხადებით, საზოგადოება ვერ დაელოდება იმას, როდის გააკეთებს ხელისუფლება საქმეს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება არჩევნები ვერასდროს ჩატარდეს.

"პრეზიდენტი მთელი ცხოვრება თანამდებობაზე ოცნებობდა და ახლა, როცა პრეზიდენტია, ბავშვობის ოცნებებს ისრულებს. ჩვენ კი თანამდებობის არასოდეს დავხარბებულვართ," - განაცხადა კობა დავითაშვილმა.

როგორც "ლეიბორისტების" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, მას **"არასოდეს სმენია ისეთი კარიერისტისა და თაღლითის შესახებ, როგორიც არის საქართველოს პრეზიდენტი"** და მას დიდ მკრეხელობად მიაჩნია პრეზიდენტის მხრიდან კარიერისტობაში ოპოზიციის დადანაშაულება.

"ჩვენი დღევანდელი მიზანია დესაკაშვილიზაცია და იმედია, ამ პროცესში ჩვენს დახმარებას დასავლეთი შეძლებს," - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

"რესპუბლიკელების" ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ პოლიტიკური კრიზისი თავიდან იყოს აცილებული. **"პოლიტიკური კრიზისი კი შეიძლება გამოიწვიოს სწორედ იმ დებულებებმა, რომელიც დღევანდელ საარჩევნო კანონშია ჩადებული და სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობას ვაპირებთ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან,"** - განაცხადა უსუფაშვილმა.

24 საათი

ახლობლები თვითმკვლელობის ვერსიას არ იზიარებენ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

9 ივნისს, დაახლოებით 17:00 საათზე, ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე გამავალ ცენტრალურ ტრასაზე მოსახლეობამ ახალგაზრდა ადამიანის ცხედარი შენიშნა, რომელიც არხის პირას, ბუნებრივი აირის ცენტრალურ მილზე მავთულით იყო ჩამოკიდებული. რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციისა და შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები მივიდნენ და გვამი ჩამოხსნეს. ადგილზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, პოლიციის თანამშრომლები თვითმკვლელობის ვერსიაზე შეჯერდნენ, თუმცა დანამდვილებით ამის თქმა შეუძლებელია, რადგან გვამის პათანატომიურ გამოკვლევასა და გაკვეთაზე გარდაცვლილის ახლობლებმა უარი განაცხადეს. ამასთან, ისინი თვითმკვლელობის ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავენ.

გარდაცვლილი წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთის მკვიდრი, 22 წლის შალვა კუბლაშვილი აღმოჩნდა. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ გუშინ დილით შალვა, ჩვეულებისამებრ, ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში წავიდა, სადაც ის წელს მაგისტრატურას ამთავრებდა.

"წასვლის წინ სამი ლარი მომთხოვა, მივეცი და გავუშვი უნივერსიტეტში, ვუთხარი არ დაიგვიანო-მეთქი. თვითონაც ამბობდა, სამუშაო მაქვს სადიპლომო ნაშრომზეო. თავის მოკვლის მიზეზი მას არ ჰქონდა, არაფერი გვიჭირდა, სხვაზე უფრო შეძლებულად ვცხოვრობდით. მითხარით, ხალხო, რა მოუვიდა ჩემს შვილს, რატომ მოკლეს?" - აცხადებს გარდაცვლილის მამა.

განზრახ მკვლელობის ვერსიაზე საუბრობს შალვა კუბლაშვილის ძმაც: **"საღორიელებმა" მომიკლეს ძმა, დღეს, მე მგონი, რაღაც ჩხუბი შეემთხვა,"** - ამბობს ის. შემთხვევის ადგილზე პოლიციელებმა გარდაცვლილის თანაკურსელი და მეგობარი დაკითხეს, მაგრამ მასთან გასაუბრების საშუალება ჟურნალისტებს არ მისცეს.

იმერეთის სამხარეო პოლიციაში მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა პირად საუბარში აცხადებენ, რომ საქმე სუიციდის მორიგ შემთხვევასთან გვაქვს.

შალვა კუბლაშვილის ცხედარი გარდაცვლილის ახლობლებმა გუშინვე ღამით პროზექტურიდან შინ გადაასვენეს.

თავისუფალი სიტყვა

ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი თარგამაძეს. გადაცემის სტუმრია "კონსერვატორების" ლიდერი კობა დავითაშვილი.

გიორგი თარგამაძე: რისი მომსწრენი გახდნენ თქვენი მეზობლები, რა მოხდა თქვენს ეზოში?

კობა დავითაშვილი: გუშინწინ, საღამოს მეზობლების ყურადღება მიიქცია ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც მეორე ღამეს ათენებდა ეზოში. იგი ადრეც, ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდათ შემჩნეული. თუმცა მეზობლებმა ჩათვალეს, რომ იყო მუშა, რომელიც ერთ-ერთი მობინადრის სახლს არემონტებდა. ამ ადამიანის ქცევა საეჭვო აღმოჩნდა მეზობლებისთვის, ჰკითხეს ვინაობა. მეორე მეზობლის გამოჩენისთანავე ეს ადამიანი გაიქცა. დაედევნენ მეზობლები და მოხდა გასროლა. დაუვარდა ფუთა და მობილური ტელეფონი. შემდეგ, როგორც მეზობლები ამბობენ, მოსული იყო მანქანა, ვერცხლისფერი "მერსედესი", რომელმაც შემოუარა ეზოს და მისი ნივთები წამოკრიფა და წაიღო.

ეს ისტორია დილით ვიცოდი, მაგრამ ჩემთან კავშირს ვერ ვხედავდი. საღამოს მითხრეს, რომ ფუთაში აღმოაჩინეს სამი სიმ-ბარათი და გაზეთიდან ამოხეული ჩემი პატარა ფოტოსურათი. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ მე გამეკეთებინა განცხადება და მასალები გადამეცა სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

გ.თ. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გასროლის შედეგად დაიჭრა მეზობელი.

კ.დ. ჩემთვის ასეთი ფაქტი არ არის ცნობილი.

გ.თ. ითქვა, რომ მეზობლებმა გამოიძახეს პატრული, თუმცა ისიც ითქვა, რომ საპარტულო პოლიცია საერთოდ არ მოსულა.

კ.დ. გამომძიებლები იყვნენ, რომლებიც გამოჩნდნენ ჩემი პრესკონფერენციის შემდეგ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ თავისუფალი პრესა, მასმედია არის პოლიტიკოსისთვის ერთადერთი რეალური დაცვის საშუალება, რათა მისი საქმით ვინმე დაინტერესდეს. არაერთი შემთხვევა იყო, რომ ჩემთან დაკავშირებული ინციდენტი, რბილად რომ ვთქვათ, ჩაიფარცხა. სამწუხაროდ, მე მიჩვეული ვარ იმას, რომ დაცვის ერთადერთი საშუალება საჯაროობაა.

გ.თ. თქვენ ბრძანდებით არარიგითი მოქალაქე. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერი. ამავე დროს, ხართ პარლამენტის წევრი. აქედან გამომდინარე, რეაქციაც უნდა იყოს ადეკვატური შესაბამისი ორგანოების მხრიდან. თუ დაგიკავშირდათ გუშინ ან გენერალური პროკურორი, ან რომელიმე სპეცსამსახურის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ თქვენგან გაიგებდა მომხდარი ფაქტის დეტალებს?

კ.დ. გულწრფელად გეტყვით, პირიქით იყო. ვცდილობდი დაკავშირებას გენერალურ პროკურორთან. აღმოჩნდა, რომ იგი ავსტრიაში იმყოფება. გენერალურ პროკურატურაში თავად მივიტანე ნივთმტკიცებები და შენობაში შესვლაზეც პრობლემები მქონდა. პირადობის მოწმობა დამრჩა. როდესაც შევედი დავსვი საკითხი, რომ ეს შემთხვევა ისეთი მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებული უნდა იქნეს გენერალური პროკურორის მიერ. გენერალურ პროკურორს და მის მოადგილეებს აქვთ უფლება, რომ ნებისმიერი საქმე ამოიღონ და თვითონ დაიკვემდებარონ. ამის პრეცედენტებიც არსებობს და არსებობს ამის სამართლებრივი ბაზაც. პროკურატურაში გამოიძახეს შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველოს წარმომადგენლები და დღეს ძიებას ისინი აწარმოებენ. არ მინდა ეჭვქვეშ დავაყენო იმ გამომძიებლების პროფესიონალიზმი და სანდოობა, რომელთაც გამოძიება დაიწყეს, მაგრამ ჩემი თხოვნა გენერალურ პროკურატურასთან დაკავშირებით განპირობებული იყო იმით, რომ ეს შემთხვევა, ჩემი აზრით, არ არის არც ქალაქის, არც რაიონის მასშტაბის პრობლემა. როდესაც დაფიქსირებულია უცხოური მობილური კომპანიის სიმბარათი, შესაძლოა უცხოური კვალის არსებობაც. არ მგონია, რომ შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველო სათანადო ორგანო იყოს, რომელიც შეძლებს ამ საქმის გამოძიებას, მისი შესაძლო საერთაშორისო მასშტაბის გათვალისწინებით. სამწუხაროდ გენერალურმა პროკურატურამ ეს შემთხვევა ჩათვალა ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენად. აქედან გამომდინარე, ჩანს ხელისუფლების დამოკიდებულება.

გ.თ. პრესკონფერენციაზე თქვით, რომ აქამდე არ ფიქრობდით, მაგრამ ახლა შეიძლება მიმართოთ ხელისუფლებას სპეციალური დაცვის გამოყოფის თაობაზე. თუ მოხდა პროცედურულად ამის ოფიციალურად გაფორმება და თუ იყო ხელისუფლებისგან რეაგირება?

კ.დ. ამის შესახებ საჯაროდ განვაცხადე, წერილობით ჯერ არ მიმართავს, თუმცა საქმისადმი გენერალური პროკურატურის დამოკიდებულებიდან უკვე ვხედავ, რომ შეიძლება ამ თხოვნასაც დიდი გამოხმაურება არ მოჰყვეს.

გ.თ. ძველად, პრეზიდენტი შევარდნაძე თავისი ბრძანებით წყვეტდა რომელიმე ოპოზიციის ლიდერისა თუ პოლიტიკოსისთვის დაცვის დანიშვნის საკითხს. ამჟამად, ჩვენი კანონმდებლობით, როგორ რეგულირდება?

კ.დ. არ ვიცი, ამ თვალსაზრისით კანონმდებლობაში არ ჩამიხედავს. აღბათ აუცილებელია სამთავრობო დაცვის სამსახურისათვის მიმართვა.

მეუღლე ომარ სხიერელი,შვილები თეა, ნათია, ბაჩი სხიერლები,შვილიშვილი გიორგი ვასაძე, და ნორა, სიძეები ლუკა ვასაძე, გურამ კერვალიშვილი, ძმისშვილები მანანა, ია, ლია, ეკა, მაია მაისურაძეები, დისშვილები გია, ლიკა, მზია კერვალიშვილები, მძახლები იუზა და ნელი ვასაძეები, ჭაბუკა, მამუკა, ირინა და ენვერი სხიერლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მზია სხიერელი

პანაშვიდები : 11 და 12 ივნისს, 17 საათზე
გამოსვენება: 13 ივნისს, 15 საათზე

მისამართი: თბილისი, ქებურიას ქუჩა 10

კომპანია „ყაზბეგი“ თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ თეა სხიერელს დედის გარდაცვალების გამო.

პროგნოზირებადი და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების დასამყარებლად

ნათია მსხილაძე

გუშინ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, მერაბ ანთაძემ პრესკონფერენცია გამართა.

მისი განცხადებით, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა 13 ივნისს, საღამოს 8 საათზე გაიმართება. უნდა აღინიშნოს, რომ პეტერბურგში ამ პერიოდში გაიმართება საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, პრეზიდენტ მიხეილ საკაშვილის ვიზიტი მიზნად ისახავს, მხოლოდ პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრას, რითაც ქართული მხარე კიდევ ერთხელ შეეცდება, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური, პარტნიორული, პროგნოზირებადი და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობები დაამყაროს. რა თქმა უნდა, ეს უნდა ეფუძნებოდეს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპს.

საგარეო უწყების განცხადებით, პრეზიდენტების შეხვედრის თემა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი საკითხი იქნება. **"ჩვენ გვინდა, რომ მკაფიოდ განისაზღვროს, არის თუ არა რუსეთი ამ მიმართულებით ჩვენი სანდო და პროგნოზირებადი პარტნიორი. პრეზიდენტების სატელეფონო საუბრის შემდეგ, ამ ბოლო დღეების განმავლობაში, როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში, მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები და მოლაპარაკებები. აღნიშნულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას უშუალოდ საქართველოსა და რუსეთის საგარეო მინისტრები იღებდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გზაზე საქართველოს მხარე გადადგამს საკმაოდ მკაფიო ნაბიჯს და იმედს ვიტოვებთ, რომ პრეზიდენტების შეხვედრაზე რუსეთის მხარე გაითვალისწინებს საქართველოს მიერ მომზადებულ წინადადებებს,"** - განაცხადა ანთაძემ.

გუშინ საკაშვილი-პუტინის მომავალი შეხვედრის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

მოკლედ

გია თორთლაძემ პარტია "საქართველოს გზის" რიგები დატოვა

პარტია "საქართველოს გზის" თავმჯდომარემ გია თორთლაძემ გუშინ პარტიის რიგები დატოვა. მისი განცხადებით, იგი არც ერთ პარტიაში გაერთიანებას არ აპირებს. აღნიშნული განცხადება გია თორთლაძემ გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და აღნიშნა, რომ მისი პოლიტიკური ნაბიჯი იმ კონფრონტაციას უკავშირდება, რომელიც "საქართველოს გზასა" და სხვა ოპოზიციურ პარტიებს შორის წარმოიშვა.

"მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ კონფრონტაცია და დაპირისპირება გაღრმავდეს ოპოზიციურ ძალებს შორის, ამიტომ ვალდებულად ვთვლი თავს, დავტოვო პარტიის რიგები", - განაცხადა თორთლაძემ. მისი განაცხადებით, იგი ვერც ერთ მხარეს ვერ დადგება, ვერც სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ გამოვა და ვერც "კონსერვატორებისა" და "რესპუბლიკელების". "ოპოზიციურ ძალებს შორის კონფრონტაცია ხელს შეუწყობს "ნაციონალური მოძრაობის" აღზევებას, ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ხელი შეუწყონ აღნიშნული კონფრონტაციის ჩაქრობას", - აღნიშნა გია თორთლაძემ. მისი განცხადებით, იგი სალომე ზურაბიშვილის მეგობარი დარჩება, რადგან 20 წელია უკვე მისი მეგობარია, თუმცა მისთვის გაურკვეველი რჩება, ამ ორი თვის განმავლობაში, როდესაც იგი საქართველოში არ იმყოფებოდა, რატომ დაიძაბა ოპოზიციურ ძალებს შორის ურთიერთობა.

თორთლაძის განცხადებით, მიუხედავად მეგობრობისა, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური პარტნიორი ვეღარ იქნება. თორთლაძისთვის ჯერ-ჯერობით დაუდგენელია, რა საფუძველი გააჩნდა სალომე ზურაბიშვილს იმ განცხადებებისთვის, რამაც დანარჩენი ოპოზიციის მწვავე რეაქცია გამოიწვია. თორთლაძე ვარაუდობს, რომ სალომე ზურაბიშვილის მწვავე განცხადებები ეკუთვნოდა ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელს და არა მთელ ოპოზიციას. პარტია "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიცია "ქაჯური პოლიტიკის გატარებაში" დაადანაშაულა. **ინტერპრესნიუსი**

ანქვაბი მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი გუშინ სოხუმში მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა. ანქვაბმა აფხაზეთისთვის გაწეული დახმარებისთვის მათ მადლობა გადაუხადა. მისი ინფორმაციით, მხოლოდ შარშან მოსკოვის მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტმა აფხაზეთის ხელისუფლების 100-ზე მეტი თხოვნა დააკმაყოფილა და "აფხაზეთის მოქალაქეებს" სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. დე ფაქტო პრემიერის მტკიცებით, 2003 წლიდან აფხაზეთში მცხოვრებმა პენსიონერებმა პენსიის სახით 950 მილიონი რუსული რუბლი მიიღეს. ანქვაბმა მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლობით დელეგაციას მადლობა გადაუხადა ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში გზებზე ასფალტის დასაგები ბითუმის გამოყოფისთვის. მისივე ინფორმაციით, თანამემამულეთა დახმარების ფონდმა ფსოუდან გაგრამდე არსებული ავტომაგისტრალის აღდგენისა და ასფალტის საფარის დაგებისთვის 100 მილიონი რუსული რუბლი გამოყო. ამავე ავტომაგისტრალის გაგრამდე დასაგებად ფონდი წელს აფხაზეთს კიდევ 100 მილიონ რუსულ რუბლს გამოუყოფს.

დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი მოსკოველ სტუმრებს აფხაზეთში ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის ხელისუფლებების წარმომადგენლებთან შეხვედრების თაობაზე ესუბრა და იმედი გამოთქვა, რომ მალე აფხაზეთში "კონკრეტული ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში მონაწილეობას ევროპელი და ამერიკელი ინვესტორები მიიღებენ". **ინტერპრესნიუსი**

თბილისის საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციები უვადო ბოიკოტს აცხადებენ

გუშინ საკრებულოს ოთხმა ოპოზიციურმა ფრაქციამ - "ახალმა მემარჯვენეებმა", "მრეწველებმა", "დემოკრატიულმა ფრონტმა" და "ლეიბორისტებმა" საგანგებო განცხადება გააკეთეს.

ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერ გიორგი მოსიძის თქმით, ბოიკოტი იქნება ოპოზიციის ერთიანობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი, რათა საბოლოოდ დაესვას წერტილი თბილისის მთავრობის ავტორიტარიზმს.

როგორც მოსიძემ განაცხადა, როცა პრეზიდენტს არ სურს არჩევნების ჩატარება, როცა მერიის ჩინოვნიკები საკრებულოს ნებართვის გარეშე იღებენ ქალაქისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და ოპოზიციის წარმომადგენლებს არ აძლევენ ნორმალურად მუშაობის საშუალებას, ოპოზიციური ფრაქციების საკრებულოს სხდომებზე დასწრებას აზრი ეკარგება და ისინი საპროტესტო ზომას - ბოიკოტს მიმართავენ.

საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტების" ლიდერ გიორგი გუგავას თქმით, თბილისის მერია გიგი უგულავას პირად შპს-დ არის გადაქცეული სადაც თანხები უმიზნოდ ტრიალებს. მისივე თქმით, ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენელს - ჯონი ბაღათურიას არ აძლევენ საკრებულოში შესვლის საშუალებას და საკრებულო ფუნქციადაკარგულ სტრუქტურადაა ქცეული. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს პროექტი

გიორგი ასანიშვილი

პრეზიდენტის თანაშემწემ კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ირაკლი ალასანიამ გუშინ პარლამენტარებს აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების გეგმის ძირითადი პრინციპები გააცნო. დოკუმენტის გარშემო დებატები არ გამართულა. გადაწყდა, რომ სამშვიდობო გეგმას დეპუტატები მომავალ კვირაში მიუბრუნდებიან და, საკომიტეტო მოსმენების დროს, საფუძვლიანად გაანალიზებენ. გუშინ საკანონმდებლო ორგანოში არც რუსი სამშვიდობოების შესახებ ყოფილა მსჯელობა. ამ საკითხს პარლამენტარები სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის შემდეგ განიხილავენ.

ირაკლი ალასანიას მიერ პარლამენტში წარდგენილი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმა ხუთი ძირითადი პრინციპისგან შედგება. ეს პრინციპებია:

1. კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარება ემყარება საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ფარგლებში. ქართული მხარე მზად არის, დაიწყოს კონსულტაციები (ფედერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით) აფხაზეთისთვის ფართო საშინაო სუვერენიტეტის მინიჭების შესახებ. საქართველოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია აფხაზების, როგორც საქართველოს ავტოქტონური ხალხის, კულტურა, ენა და ისტორიული მემკვიდრეობა. მისი უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარანტია კი საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოში აფხაზეთის ღირსეული წარმომადგენლობა იქნება.

2. კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ფუძემდებლური პრინციპია დაპირისპირების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში უპირობო, ორგანიზებული და ღირსეული დაბრუნება, განურჩევლად მათი ეროვნული წარმომავლობისა. ამაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ქართველმა და აფხაზმა სამართალდამცავებმა. საერთაშორისო მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების გამოყენებით, უპირობოდ უნდა აღდგეს გამოდევნილი მოსახლეობის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიც არის უსაფრთხო ცხოვრება, თავისუფალი გადაადგილება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ა.შ. შესამუშავებელია აფხაზეთში უძრავი ქონების აღწერის, საკუთრების უფლების ერთობლივად განსაზღვრის, მათი დაცვისა და პრივატიზების პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმები.

3. საქართველოს ხელისუფლება გამოხატავს მზადყოფნას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები ცეცხლის განუახლებლობისა და კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით მოგვარების თაობაზე. ქართული მხარე ხელს შეუწყობს ქართველი და აფხაზი ხალხის თვალსაჩინო წარმომადგენლების სამოქალაქო დიალოგს, სხვადასხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფებს შორის კონტაქტების გამყარებას და გაღრმავებას.

4. ქართული მხარე მიესალმება საერთაშორისო ორგანიზაციების და რეგიონული გაერთიანებების მონაწილეობას კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში. ქართული მხარე მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას აფხაზეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერისთვის. ქართული მხარე, ასევე, განიხილავს აფხაზეთში ეკონომიკური განვითარებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნის შესაძლებლობას. ამასთან, ქართული მხარე მზად არის, დაიწყოს კონსულტაციები ევროპის რეგიონულ ინსტიტუტებსა და პროექტებში, მათ შორის, ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში და შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროცესებში აფხაზეთის ჩართვის მიზნით.

5. კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესი უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ერთიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე და უწყვეტ რეჟიმში.

როგორც ირკვევა, აღნიშნული დოკუმენტი უკვე გადაეცა აფხაზურ მხარეს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ირაკლი ალასანიას თქმით, აფხაზების რეაქცია ერთგვაროვანი არ ყოფილა. **"თუმცა, მათთვის დოკუმენტის ძირითადი ნაწილი მიუღებელია,"** - შენიშნავს პრეზიდენტის თანაშემწე და იქვე დასძენს, რომ მზად არის, გაიზიაროს აფხაზური მხარის ნებისმიერი რაციონალური, სამართლიანი მოსაზრება.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ქართული სამშვიდობო გეგმის ძირითადი პრინციპების გარშემო დებატები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუშინ არ შედგა. საკუთარი პოზიცია საჯაროდ მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარემ დააფიქსირა. ნინო ბურჯანაძე დოკუმენტს "სანტერესოს" უწოდებს და ხაზს უსვამს იმას, რომ დოკუმენტი აფხაზეთის მაქსიმალურ ავტონომიას ითვალისწინებს. **"აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ვიდრე ერთი ქართველიც კი ცოცხალი იქნება, ვერ შეევეგუებით იმას, რომ აფხაზეთი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი არ იყოს,"** - დაბაჯითებით აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი.

ის, რაც სამშვიდობო გეგმაში არ წერია

არავისთვის არის საიდუმლო, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთს უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია. თუმცა, მოსკოვი ქმედითი ნაბიჯების გადადგმისგან დღემდე თავს იკავებს. ამაში ირაკლი ალასანია, რუსეთის დედაქალაქში ამასწინანდელი ვიზიტის დროს, თავად დარწმუნდა.

"მოსკოვი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ამას დოგმად არ მიიჩნევს. ვერ დავინახე რუსული მხარის მზადყოფნა იმისთვის, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად რეალური ნაბიჯები გადადგას," - შენიშნავს პრეზიდენტის თანაშემწე.

მისივე შეფასებით, კონფლიქტის მოგვარების მიზნით 12 წლის წინათ შექმნილი მექანიზმები და ინსტრუმენტები აშკარად მოძველდა.

"შეიარაღებული მხარეების დაშორებიდან მაშინ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო, მაგრამ დღეს აშკარაა, რომ სამშვიდობო ოპერაციის არსებული ფორმატი ვერ პასუხობს მანდატით გათვალისწინებულ უმთავრეს ამოცანას - დევნილთა ღირსეულ დაბრუნებას. ეს, მნიშვნელოვანწილად, განაპირობა იმან, რომ არსებული სამხედრო კონტინგენტი მიუკერძოებელი მშვიდობისმყოფელის ფუნქციას ვერ ასრულებს. სამშვიდობო ოპერაციის დაწყებიდან დღემდე საქართველოს 1283 მოქალაქე იქნა მოკლული, ძირითადად, ერთი "დანაშაულის" გამო - ისინი ქართველები იყვნენ," - აცხადებს ირაკლი ალასანია.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ ქართული მხარე ყველა ღონეს მიმართავს, რათა სამშვიდობო ოპერაციის ფორმატი შეიცვალოს. ალასანიას განმარტებით, გაერო-ს გენერალური მდივნის "მეგობართა ჯგუფი" პოზიტიურად უყურებს სამშვიდობოებისთვის საპოლიციო კომპონენტის დამატების იდეას, რომლის ძირითადი ფუნქცია ლტოლვილებისთვის უსაფრთხო პირობების განმტკიცება იქნება. უსაფრთხოების საჭიროებას, მართალია, არც რუსეთის მხარე უარყოფს, მაგრამ ამ შესაძლო სიახლეს მოსკოვი მაინც სიფრთხილით ეკიდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კონფლიქტის ზონაში საპოლიციო ძალების განლაგებას გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია არ სჭირდება. უახლოეს მომავალში იგეგმება გაერო-ს შემსწავლელი მისიის და გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან-მარი გიენოს ვიზიტი საქართველოში, რომლის მიზანი საპოლიციო ელემენტის, აგრეთვე ოპერაციის ინტერრაციონალიზაციის საჭიროების შესწავლა იქნება.

ირაკლი ალასანია იმედიანად საუბრობს იმაზეც, რომ ბოლო პერიოდში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესში გარკვეული დინამიკა შეინიშნება. **"მხოლოდ ურთიერთკომპრომისების ძიებით და არა შეარაღებული დაპირისპირებით შეიძლება კონფლიქტის მშვიდობიანი და სამართლიანი მოგვარება,"** - აცხადებს პრეზიდენტის თანაშემწე.

თუმცა, ურთიერთკომპრომისების სურვილი სულაც არ ნიშნავს აფხაზების ყველა მოთხოვნაზე დათანხმებას. ირაკლი ალასანია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია აფხაზური მხარის მიერ შემოთავაზებული გეგმა, რადგან ეს დოკუმენტი ორი სუვერენული სახელმწიფოს სამომავლო ურთიერთობების კონცეფციას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ აფხაზურ დოკუმენტში ლტოლვილების დაბრუნების თემას მხოლოდ ერთი აბზაცი ეთმობა და ისიც მხოლოდ გალის რაიონთან დაკავშირებით. ამასთან, ხაზგასმულია, რომ ლტოლვილთა დაბრუნებას აფხაზებისთვის ნეგატიური შედეგები მოჰყვება. **"ამ დოკუმენტში მოხდა სეპარატისტთა მიზნების სისტემატიზაცია. ამ გასაღებით ვერც ერთი კარი ვერ გაიღება,"** - სინანულით დასძენს ირაკლი ალასანია.

"ანტინატო-ური ვნებების" პირველი მსხვერპლი

ნატო-ს წინაამღდეგ უკარინაში დაწყებულ მცირერიცხოვან, თუმცა პერმანენტულ საპროტესტო აქციებს პირველი მსხვერპლი მოჰყვა. ხუთშაბათს კიევში მოკლული იპოვეს მოძრაობა "უკრაინისთვის, ბელარუსისა დ რუსეთისთვის" ერთი-ერთი აქტივისტი რუსეთის მოქალაქე იური ხადარცევი. საგულისხმოა, რომ წინა დღეს იგი ერთ-ერთ მიტინგზე ნატო-ს წინააღმდეგ მასობრივი მობილიზაციის მოწოდებით გამოდიოდა.

ხუთშაბათს ღამით, უკრაინაში მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქე 44 წლის იური ხადარცევი, კიევის სოლომენის რაიონში მკვდარი იპოვეს. უკრაინელი სამართალდამცველები თქმით, საკუთარ მანქანაში აღმოჩენილ ხადარცევს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ორი ჭრილობა აქვს - ყელსა და თავში.

ხადარცევი აღნიშნულ ორგანიზაციაში პროტესტანტთა მობილიზაციაზე აგებდა პასუხს. შემთხვევამდე ერთი დღით ადრე ორგანიზაცია უმაღლესი რადის კედლებთან საპროტესტო პიკეტს მართავდა უკრაინა-ნატოს ერთობლივი წვრთნების ჩატარების წინააღმდეგ, სადაც თავად ხადარცევი კიეველებს ფეოდოსიაში წასვლასა და ნატო-ს წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდა. ხოლო მკვლელობის დღეს, თავად ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მოძრაობის ხელმძღვანელობას აქცია "ნატოსტოპ"-ის მომავალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ უნდა ემსჯელათ.

გუშინ რუსულმა საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსმა" გავრცელა ინფორმაცია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად დაკავებულია მკვლელობაში ეჭვმიტანილი. თუმცა, ჯერჯერობით უკრაინის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები თავს იკავებენ მომხდარზე კომენტარისაგან. კიევის პროკურატურის პრესსამსახური მხოლოდ იმას აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები ვერ გასცემენ ინფორმაციას, ვიდრე მკვლელობის მოტივი არ გახდება ცნობილი.

ცნობისათვის, მოძრაობა "უკრაინისთვის, ბელარუსისა და რუსეთისთვის" (აბრევიატურა რუსულად "ზუბრ"-ი) 2001 წელს დაარსდა. უკრაინულ "ზუბრ"-ს თავისი ბელარუსული სეხნიისგან განსხვავებით მთავარ მიზნად სამი სლავური ერის ტრადიციული კავშირის აღდგენა აქვს დასახული.

24 საათი

"ჰამასი" რეფერენდუმის წინააღმდეგია

პალესტინური საინფორმაციო სააგენტოს "მაან"-ის მიერ გავრცელებული ცნობებით, პალესტინის მმართველი "ჰამას"-ის მოძრაობა მხარს არ უჭერს პალესტინის სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით საერთო ეროვნული რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივას. იდეის ავტორები პალესტინელი პატიმრები არიან, რომლებიც სასჯელს ისრაელის ციხეებში იხდიან.

"როიტერ"-ის ინფორმაციით, პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაური მაჰმუდ აბასი რეფერენდუმის დანიშვნას მიმდინარე წლის 31 ივლისს აპირებს. პალესტინელებს მოუწევთ არჩევნის გაკეთება "პატიმართა მემორანდუმის" სასარგებლოდ ან საპირისპიროდ.

"პატიმართა მემორანდუმი" სახელმწიფოს შექმნას 1967 წლის არსებულ საზღვრებში გულისხმობს, რომლის დედაქალაქიც აღმოსავლეთი იერუსალიმი იქნება.

თუმცა, როგორც ირკვევა რეფერენდუმის წინააღმდეგი მხოლოდ "ჰამას"-ი არაა, ეს იდეა არც ისლამისტებს მოსწონთ.

"როიტერ"-ის ინფორმაციით, ისლამისტების პოზიციას კიდევ ოთხი გავლენიანი პალესტინური მოძრაობა იზიარებს, მათ შორისაა, "ისლამური ჯიჰადი" და პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტი.

"ჰამას"-ის პრესმდივნის სამი აბუ ზუჰრის განცხადებით, მოძრაობა ყველანაირად ეცდება ხელი შეუშალოს რეფერენდუმის ჩატარებას.

"ჩემს სიტყვებში თავისუფლად შეგიძლიათ ქვეტექსტიც ამოიკითხოთ", - თქვა სამი აბუ ზუჰრიმ.

რიანოვოსტი

დარფურის სამშვიდობო შეთანხმება

აჭანყებულები დათმობებზე მიდიან

ეთიოპიის დედაქალაქში ხელი მოეწერა ერთ მნიშვნელოვან შეთანხმებას, კერძოდ დარფურის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ. სუდანის ორი აჯანყებული დაჯგუფება - "ჩრდილოეთ დარფურის გათავისუფლების სუდანის არმია" და "სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობა", რომლებიც ერთ დროს ერთიან დარფურის აჯანყებულ მოძრაობას წარმოადგენდნენ, სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელმოწერით პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი და უზრუნველყონ მშვიდობა.

სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც მიმდინარე წლის 5 მაისს დაიდო ნიგერიის დედაქალაქში - აბუჯა, სუდანის ხელისუფლებასა და "ჩრდილოეთ დარფურის გათავისუფლების სუდანის არმიის" წარმომადგენლებს შორის, პირობის შესრულებას უშუალოდ ამბოხებული დაჯგუფების 30-მდე ხელმძღვანელს აკისრებს.

"ამ დეკლარაციის ხელმოწერით ჩვენ სამშვიდობო შეთანხმების ყველა პუნქტის შესრულების პასუხისმგებლობას ვიღებთ. ვიმედოვნებთ, რომ ეს ხელს შეუწყობს დარფურში უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვას", - განაცხადა ერთ-ერთი ოპოზიციური დაჯგუფების მეთაურმა აბდურაჰმან მუსა აბაკარმა.

დარფურის სხვა ოპოზიციური დაჯგუფების წარმომადგენელმა კი დაამატა, რომ შეთანხმების შესრულება ყველა სუდანელს ევალება, რადგან მათ მიწაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა მათსავე ინტერესებშია.

"აბუჯის ხელშეკრულებამ" უნდა დაასრულოს დარფურში 2003 წლის თებერვალში დაწყებული სამოქალაქო ომი, რომელმაც უკვე დაახლოებით 300 000 ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო " მილიონზე მეტი ლტოლვილად აქცია.

თუმცა, სამშვიდობო ხელშეკრულების მექანიზმი ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ მოქმედებს, რადგან გადაწყვეტილების ერთსულოვნება თავად ოპოზიციურ დაჯგუფებებში არ არის მიღწეული.

24 საათი

პუტინი წავა, რომ ისევ დაბრუნდეს

მესამე ვადის ახალი ვერსია

დიმიტრი ავალიანი

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მესამე ვადით არჩევას მომხრეები რუსეთის ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საზოგადოებაშიც ამ იდეას დიდი მხარდაჭერა აქვს. რუსული პოლიტიკური ელიტა ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიებაშია.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა ბორის გრიზლოვმა და ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა პუტინის მესამე ვადით არჩევას საჯაროდ დაუჭირეს მხარი. **"ყოველ დღე უამრავ წერილს ვღებულობ და ყოველ მათგანში ადამიანები პუტინის მესამე ვადით არჩევას მხარდაჭერას უცხადებენ,"** - განაცხადა მირონოვმა. თუმცა, ორივე სპიკერმა მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ პუტინი მესამედ არა 2008 წელს, არამედ შემდგომ არჩევნებზე - 2012 წელს "დაბრუნდება".

"ლევადა-ცენტრის" მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 58 პროცენტი დადებითად არის განწყობილი კონსტიტუციაში ცვლილებების მიმართ, რაც პუტინს საშუალებას მისცემს, კენჭი მესამედ იყაროს. ეს ციფრი ერთნახევარჯერ აღემატება 2005 წლის აგვისტოში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის შედეგებს. რესპონდენტთა რიცხვი, ვინც პუტინის მესამედ გაპრეზიდენტების წინააღმდეგია, შესაბამისად, 42 პროცენტიდან 29 პროცენტამდე შემცირდა.

ვლადიკავკაზში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია - "თანხმობა და სტაბილურობა" - აპრილის თვეში რუსეთის კონსტიტუციის 81-ე მუხლის მესამე პუნქტის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას ორი საარჩევნო ვადით ზღუდავს და ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერების შეგროვებას მთელ რუსეთში გეგმავს.

თუ აპრილში ეს იდეა ფანტასტიკურად გამოიყურებოდა, დღეისთვის რუსეთში ის მრავალი პოლიტიკოსის სალაპარაკო თემა გახდა. სერგეი მირონოვი აცხადებს, რომ მისთვის ოსების ინიციატივა "სავსებით გასაგებია". მის აზრს სახელმწიფო სათათბიროს არაერთი წევრი იზიარებს. ზოგიერთი მათგანი პუტინის საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივებას მოითხოვს, ზოგი კი უბრალოდ "პუტინის ღირსეულ შემცვლელს ვერ ხედავს".

ამავე დროს, რუსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ პუტინის მესამე ვადით არჩევის ინიციატივას იურიდიული საფუძველი არ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, რეფერენდუმი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის ცვლილების საფუძველი ვერ გახდება.

თუმცა, სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი ბორის გრიზლოვი, პუტინის მესამე ვადაზე საუბრისას, კონსტიტუციის შეცვლის წინააღმდეგია და აცხადებს, რომ პუტინის კიდევ ერთხელ არჩევა შესაძლებელია, ოღონდ "არა ზედიზედ". ანუ პუტინმა პრეზიდენტის კაბინეტი უნდა დატოვოს და მორიგ (ან რიგგარეშე) არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა კვლავ წამოაყენოს. **"ამ შემთხვევაში პუტინს არა მემკვიდრის, არამედ დუბლიორის ძებნა მოუწევს,"** - აღნიშნავს რუსეთის პოლიტტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

მისი აზრით, რუსული პოლიტიკური ელიტისათვის ამგვარი დუბლიორის მოძებნა დიდ პრობლემა იქნება. დუბლიორი სრულფასოვანი მემკვიდრე ვერ იქნება, ამიტომ ის დროებითი უსახური ფიგურა უნდა იყოს, ვინც პუტინს ადგილი უნდა დაუთმოს. თუმცა, უსახურ ფიგურას არჩევნებში მოსახლეობის მხარდაჭერის ვერანაირი გარანტია ვერ ექნება, ვინაიდან მას, შესაძლოა, არჩევნებზე ვინმე რეალური კანდიდატი დაუპირისპირდეს.

ხოლო თუ ხელისუფლება მოსახლეობას პოპულარულ "დუბლიორს" შესთავაზებს, რა გარანტია არსებობს, რომ "დუბლიორი" ინაუგურაციის მეორე დღესვე საკუთარ "დუბლიორობას" არ დაივიწყებს? პორტნიკოვის აზრით, ძალაუფლებაზე დროებით უარის თქმა მისი სრული დაკარგვით შეიძლება დასრულდეს არა მხოლოდ თავად პუტინისთვის, არამედ მთელი მისი გარემოცვისათვის. **"საეჭვოა, თავად სახელმწიფოს მეთაურს ეს არ ესმოდეს. აქედან გამომდინარეობს ეს რყევები კონსტიტუციური ნორმების დაცვასა და მათი ისეთი სახით დაცვის სურვილს შორის, რომ არსებული შესაძლებლობების შენარჩუნება მოხდეს,"** - მიაჩნია პორტნიკოვს.

რაც უფრო ახლოვდება 2008 წელი, მით უფრო მეტს საუბრობენ რუსეთში პუტინის მესამე ვადის შესახებ. ამას ხელს უწყობს ორი არაოფიციალური მემკვიდრის არსებობაც - მედია და ექსპერტები ასეთებად ვიცე-პრემიერ დმიტრი მედვედევს და თავდაცვის მინისტრს (ასევე ვიცე-პრემიერს) სერგეი ივანოვს მოიაზრებენ. ეს ბადებს ეჭვებს, რომ "ნამდვილი" მემკვიდრე არ არსებობს. ხოლო ერთ-ერთი მათგანის გამორჩევის შემთხვევაში, "წაგებული" კანდიდატის მომხრეებს სხვა არაფერი დარჩებათ, თუ არა პუტინის პრეზიდენტობის გახანგრძლივებას დაუჭირონ მხარი.

ქართულ-სომხური კონსულტაციები ერევანში

ერევანში გუშინ საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკური უწყებების კონსულტაციები გაიმართა. ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი, ხოლო სომხურს - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გეღამ ღარიბჯანიანი წარმოადგენდა. მხარეებმა პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარულ-კულტურული სფეროებისა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ვარდან ოსკანიანს შეხვდა. ოსკანიანი თბილისს სამუშაო ვიზიტით 27-28 ივნისს ეწვევა.

ინტერპრესნიუსი

მიხეილ ფრადკოვი: რუსეთი ხელს არ უშლის საქართველოსა და უკრაინას ნატო-სკენ მიმავალ გზაზე

რუსეთს უფლება არა აქვს წინ აღუდგეს საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას. ასეთი განცხადება გააკეთა ისლანდიაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხეილ ფრადკოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას. "მე არ მგონია, რომ ჩვენ გვაქვს უფლება, განვსაზღვროთ ამ ქვეყნების არჩევანი - ეს მათი არჩევანია", - განაცხადა ფრადკოვმა.

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ასევე შეეხო რუსეთის ურთიერთობას ამ ქვეყნებთან მათი ნატო-ში შესვლის შემთხვევაში. მისი თქმით, მისი "ფანტაზია ასე შორს არ მიდის". როგორც ფრადკოვმა აღნიშნა, რუსეთი სხვა მეზობლებთან და პარტნიორებთან ურთიერთობებს ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით აგებს.

ინტერპრესნიუსი

მირცხულავა მეორე განაჩენის მოლოდინში

დავით მირცხულავა პროკურორის სიტყვის მოლოდინში.

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საქმის სასამართლო განხილვა მეორე ინსტანციის სასამართლოში დასასრულს უახლოვდება. პროცესი დასკვნით ეტაპზე გადადის. მხარეები კამათისთვის ემზადებიან, რის შემდეგაც თავის ბოლო სიტყვას სახელმწიფო ბრალდება იტყვის და სასამართლოს მირცხულავასთვის სასჯელის ზომას მოსთხოვს.

მირცხულავას ადვოკატებმა გუშინდელ სასამართლო პროცესზე საქმიდან იმ მტკიცებულებების ამორიცხვა მოითხოვეს, რომლებსაც დაუშვებლად მიიჩნევენ. ეს მტკიცებულებებია ექსპერტიზის დასკვნები და სხვა დოკუმენტები. ამ მოთხოვნაზე დაცვის მხარე პასუხს შემდეგ პროცესზე მიიღებს.

სხვათა შორის, დაცვის მხარის მოთხოვნით, სასამართლომ "საქენერგო-2000"-ის დაზარალებულად ცნობის დადგენილება უკვე გააუქმა. მირცხულავას ინტერესების დამცველების განმარტებით, თუკი თბილისის სააპელაციო სასამართლო ობიექტურად განიხილავს, მაშინ, დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმებით, განსასჯელს უნდა მოეხსნას ისეთი მძიმე ბრალდებები, როგორიცაა თაღლითობა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ეს ის ბრალდებებია, რომელთა საფუძველზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ დავით მირცხულავას ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

"თუ ყველაფრის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო თანხების მითვისების ბრალდებას ძალაში დატოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ მხარეს "არმენერგოსთვის" ხელახლა მოუწევს იმ საჯარიმო სანქციების გადახდა, რაც საქართველომ 1998-1999 წლებში სომხეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო უკვე დაფარა", - აცხადებენ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დამცველები.

ინტერპრესნიუსი

კახეთში "კანონიერ ქურდებს" ქონებას ართმევენ

კახელმა სამართალდამცველებმა "კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ რადიკალური ღონისძიებების გატარება დაიწყეს. უახლოეს ხანში რაიონული სასამართლოები რამდენიმე კრიმინალური ავტორიტეტის წინააღმდეგ სარჩელს განიხილავენ, რომლის თანახმადაც, მათ უკანონო ქონება ჩამოერთმევათ. მანამდე კი სამხარეო პოლიცია მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებში სტრუქტურულ ცვლილებებს ახორციელებს.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ამ დროისთვის კახეთის სამხარეო პოლიციამ ძებნა გამოაცხადა რეგიონის ორ "კანონიერ ქურდზე" - ლაგოდეხელ მამუკა შუბითიძეზე და სიღნაღელ გიორგი ხატიაშვილზე. კახეთის მთავარი პოლიციელის, თეიმურაზ ანჯაფარიძის თქმით, მათ წლების განმავლობაში სხვადასხვა დანაშაული აქვთ ჩადენილი. **"მართალია, ამ დროისთვის ეს ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებს აფარებენ თავს, მაგრამ ისინი დროდადრო ამყარებენ კონტაქტს ადგილობრივ კრიმინალებთან და შემდეგ ახალ დანაშაულს ჩადიან",** - ამბობს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე.

როგორც კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით, ამ დროისთვის რეგიონში კრიმინალური ვითარება შედარებით გამოსწორდა, მაინც არის გარკვეული პრობლემები ისეთ წვრილმან დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორიცაა საქონლის, ალუმინის და სხვა ფერადი ლითონების ქურდობა.

"ასეთი დანაშაულები ჩვენს რეგიონში 79 პროცენტით გაიზარდა. თუმცა, პირობას გაძლევთ, რომ ამ მაჩვენებელს შევამცირებთ", - ირწმუნება ანჯაფარიძე.

სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, რომ კრიმინლური თვალსაზრისით ყველაზე რთულ უბნად გურჯაანის რაიონი ითვლება, რომელსაც შემდეგ ყვარლის და სიღნაღის რაიონები მიჰყვება. სწორედ ამის გამო, აღნიშნულ რაიონებში სამხარეო პოლიციამ კადრების გადახალისება მოახდინა. გურჯაანის პოლიციის უფროსად შს კახეთის მთავარი სამმართველოს კრიმინალური განყოფილების ხელმძღვანელი შოთა ბეჟანიშვილი დაინიშნა, ხოლო მისი ადგილი სიღნაღის პოლიციის ყოფილმა უფროსმა იოსებ ხოხონიშვილმა დაიკავა. არჩილ ბოჟაძე კი, რომელიც გურჯაანის პოლიციას ხელმძღვანელობდა, ყვარელში გადაიყვანეს. ამ რაიონის პოლიციის ყოფილ უფროსს ალექსანდრე ონაშვილს კი დაევალა სიღნაღის რაიონში კრიმინალური ვითარების გამოსწორება.

"ეს არ ნიშნავს იმას, რომ სადაც ისინი ხელმძღვანელი პირები იყვნენ, მათი მუშაობა არადამაკმაყოფილებელი იყო. კადრების გადახალისება ყოველთვის შედეგს იძლევა. ვფიქრობთ, ახლაც ასე იქნება", - მიაჩნია თეიმურაზ ანჯაფარიძეს .

ამ დროისთვის კახელი სამართალდამცველები იმ "კანონიერი ქურდების" დაუსაბუთებელი ქონების აღწერას იწყებენ, რომლებმაც ის უკანონოდ მოიპოვეს. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით საქმე კრიმინალური წარსულის მქონე რამდენიმე პიროვნებაზეა აღძრული, რომელთა ვინაობასაც ძალოვანი უწყების წარმომადგენლები ჯერჯერობით არ ამხელენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სულ მალე თელავის სასამართლო ამავე რაიონის კრიმინალური ავტორიტეტის - გიორგი გოგოლაძის, "გოგას" ქონებასთან დაკავშირებით განიხილავს საქმეს. მასალების მოკვლევა მიმდინარეობს, ასევე, სიღნაღელი და საგარეჯოელი "კანონიერი ქურდების" ქონებასთან დაკავშირებით. მათ ვინაობას სამართალდამცველები ჯერჯერობით არ ასახელებენ.

საპყრობილის კანონდამრღვევი დირექტორი

რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა იუსტიციის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა და მეშვიდე საპყრობილის დირექტორის სანდრო ხულორდავას დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა მოითხოვა. საქმე ისაა, რომ მეშვიდე საპყრობილის დირექტორს პატიმრების ახლობლები და ოჯახის წევრები პატიმრებისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. ომბუდსმენის რეკომენდაციის მიზეზი ამჯერად ერთი კონკრეტული ფაქტი გახდა.

ომბუდსმენის აპარატის დახმარებითა და ჩარევით, ბოლოს და ბოლოს, თინა მარღანიამ პატიმარ ვეილთან შეხვედრა მოახერხა. მოსამართლის ნებართვისა და კანონით მინიჭებული უფლების მიუხედავად, ბრალდებული შვილის მონახულების საშუალება თინა მარღანიას არ მისცეს.

მარღანიამ სახალხო დამცველს დახმარება სთხოვა. როგორც გაირკვა, მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს დალი მეტრეველს, რათა შვილთან, ლაშა მარღანიასთან შეხვედრის ნება მიეღო. რამდენიმე დღეში მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვით, N7 საპყრობილის დირექტორს ხულორდავას ეცნობა, რომ მოქალაქე მარღანიას უფლება ჰქონდა შეხვედროდა სასამართლოზე რიცხულ პატიმარს. თუმცა, საპყრობილის ადმინისტრაციამ დედას მაინც უარი განუცხადა, იმ მოტივით, რომ მოსამართლის მიერ გაცემულ დადგენილებაში არ იყო აღნიშნული თინა მარღანიას პირადობის დამადასტურებელი საბუთის ნომერი.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ გაცემულ ნებართვაში არ იწერება პირადობის მოწმობის ნომერი, მოსამართლემ მარღანიას თხოვნა გაითვალისწინა და ახალ დოკუმენტში, საპყრობილის ადმინისტრაციის მოთხოვნის შესაბამისად, პირადობის დამადასტურებელი საბუთის ნომერი მიუთითა. ამის მიუხედავად, საპყრობილის დირექტორმა თინა მარღანიას მაინც არ მისცა პატიმარი შვილის ნახვის საშუალება, რაც იმით დაასაბუთა, რომ პატიმრებთან შეხვედრისთვის განსაზღვრული დრო დასრულებული იყო.

"რადგან 9 მაისი უქმე დღე იყო, მარღანია საპყრობილეში 10 მაისს მივიდა და საპყრობილის დირექტორ ხულორდავას შვილთან შეხვედრა სთხოვა, თუმცა კვლავ კატეგორიული უარი მიიღო. ხულორდავას განცხადებით, მოსამართლის ნებართვა გაცემული იყო 8 მაისს და, აქედან გამომდინარე, 10 მაისს აღნიშნული ნებართვა აღარ მოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს კანონი, რომლითაც დადგენილია, რომ მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვა მოქმედებს მხოლოდ მისი გაცემის თარიღით განსაზღვრულ დღეს", - აცხადებენ ომბუდსმენის აპარატის წევრები.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ საპყრობილის დირექტორმა დაარღვია "პატიმრობის შესახებ" კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, "პატიმარს შეიძლება ყოველთვიურად მიეცეს არაუმეტეს ორი პაემნის უფლება. პატიმარს პაემნის უფლებას აძლევს გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე".

როგორც ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, პატიმრის გარე სამყაროსთან კავშირის უფლების დაცვის შესახებ მითითებულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში, რომელიც შეეხება ევროპის ციხეების წესებს, აღნიშნულია, რომ პატიმარს უფლება უნდა მიეცეს, შეძლებისდაგვარად, ხშირად იქონიოს კონტაქტი ოჯახთან, სხვა პირებთან და გარეშე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან წერილით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, აგრეთვე - შეხვდეს მათ. რეკომენდაციაში მითითებულია ისიც, რომ ციხის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს პატიმრების კონტაქტს გარე სამყაროსთან და უზრუნველყოს ისინი სათანადო მხარდაჭერით. გარდა ამისა, გაერო-ს "პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები" ადგენს პატიმართა უფლებას ახლობლებთან შეხვედრაზე. "ოჯახის წევრების მიერ პატიმრის მონახულება წარმოადგენს დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის უფლებას", - ეს, თითქმის, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნა გახლავთ, რასაც მე-7 საპყრობილის დირექტორი სანდრო ხულორდავა არ ცნობს.

24 საათი

ბურჯანაძე დავითაშვილის დაცვას ითხოვს

პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს იმედი აქვს, რომ ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს კობა დავითაშვილს დაცვის დანიშვნის მოთხოვნას სასწრაფოდ დაუკმაყოფილებენ. ნინო ბურჯანაძე დავითაშვილს ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სოლიდარობას უცხადებს.

"აუცილებელია საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის სიცოცხლისა და ოჯახის უსაფრთხოება დაცული იყოს. მივმართავ სამართალდამცველებს, სასწრაფოდ გამოიძიონ ის ინციდენტი, რომელზეც კობა დავითაშვილი, მისი მეუღლე და მეზობლები საუბრობენ. საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, დაიცვას საკუთარი მოქალაქის სიცოცხლის უსაფრთხოება", - აცხადებს ბურჯანაძე.

როგორც ცნობილია, "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა გუშინწინ პარლამენტში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განცხადა, რომ მისმა მეზობლებმა უცნობი პირი შენიშნეს, რომელიც ორი ღამის განმავლობაში მისი სახლის ეზოში ათენებდა.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც მეზობლები უცნობი პიროვნებით დაინტერესდნენ, იგი გაიქცა. როდესაც დაედევნენ, მან მდევრების მიმართულებით ორჯერ, სავარაუდოდ, მაყუჩიანი იარაღიდან გაისროლა. გაქცევის დროს უცნობ პიროვნებას პოლიეთილენის პაკეტი დაუვარდა. მასში აღმოჩნდა პერანგი და შარვალი, ასევე - მაგთიკომის, ბი-ლაინის და უცხოური კომპანიის სიმბარათები. სიმბარათებთან ერთად ფუთაში გაზეთიდან ამოჭრილი დავითაშვილის ფოტო იდო. კობა დავითაშვილმა ყველა ნივთმტკიცება პროკურატურაში თავად მიიტანა.

ინტერპრესნიუსი

თვითმკვლელობა ციხეში

რუსთავის N6 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა 39-ე საკანში 36 წლის პატიმრის ნუგზარ გვიჩიანის ცხედარი აღმოაჩინეს. ნუგზარ გვიჩიანის ცხედარს უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომლის პირველადი მონაცემებითაც, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. ამიტომაც, მომხდარ ინციდენტს თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მიეცა. წინასწარი ინფორმაციით, გვიჩიანმა თავი ზეწრით ჩამოიხრჩო. გამოძიებას იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს.

ცნობილი კრიმინალი ნუგზარ გვიჩიანი სასჯელს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის იხდიდა. არაერთგზის ნასამართლევი, ბოლოს სისხლის სამართლის კოდექსის ექვსი მუხლით იხდიდა სასჯელს და 27 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მას ბრალად ედებოდა რამდენიმე ყაჩაღობა, თავდასხმა, იარაღის უკანონოდ შენახვა-გამოყენება, ადამიანის გატაცება, საპატიმროდან გაქცევის მცდელობა და განზრახ მკვლელობა.

"სასჯელის ხანგრძლივობის გამო, ნუგზარ გვიჩიანი დეპრესიულ მდგომარეობაში იყო. შესაძლოა, ეს გახდა მისი თვითმკვლელობის მიზეზი", - განაცხადეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახურში.

ყოფილი პოლიციელი, რომელმაც მოგვიანებით ადამიანის გატაცებით გაითქვა სახელი, ბოლოს 2002 წელს გაასამართლეს - ადამიანის გატაცებისთვის. ადამიანის გატაცებისთვის მაშინ ის პირველად არ გაუსამართლებიათ. ის ხალხი, ვინც მას იცნობდა, ხუმრობს კიდეც, — ადამიანების მიმართ კლეპტომანია სჭირდაო. ძმები გვიჩიანების მიერ ორგანიზებულ, ე.წ. სვანების ჯგუფს, რომელიც ადამიანების გატაცებაზე მუშაობდა, არაერთი ადამიანის გატაცება ბრალდებოდა. ციხიდან ახალ გამოსულ ნუგზარ გვიჩიანს 2002 წელს ისევ ძველი ბრალდებით, ოღონდაც საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრის ვაჟისა და "საფოსტო ბანკის" ერთ-ერთი დირექტორის დავით იაკობიძის გატაცებისთვის ასამართლებდნენ და მას 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდა.

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე განსასჯელის ნათქვამი, - არდადეგებზე წასვლას მეც ვაპირებო, - საოლქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე უწყინარ ხუმრობად ჩათვალეს. თუმცა, ორიოდ საათში აღმოჩნდა, რომ ნუგზარ გვიჩიანს სახუმაროდ არ ეცალა. თბილისის საოლქო სასამართლოს საბადრაგო ოთახიდან პატიმარმა გვიჩიანმა გაქცევა სცადა, გაიქცა კიდეც, თუმცა ის მალევე დაიკავეს. გვიჩიანმა ბადრაგის ერთ-ერთ წევრს მაშინ იარაღი ამოაცალა და ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა ბადრაგის წევრი გოგიტა ჯინჭარაძე. გვიჩიანმა კი იქ მყოფთა დაბნეულობით ისარგებლა, მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა. თუმცა, იგი მალევე იპოვეს.

მოგვიანებით, გვიჩიანის მიერ დაჭრილი ბადრაგი გარდაიცვალა და გვიჩიანის ბრალდებაც დამძიმდა - იგი განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულეს. მალევე ნუგზარ გვიჩიანმა საპყრობილედან გაქცევა სცადა, თუმცა ის კვლავ დაიჭირეს და, შესაბამისად, მისი ბრალდებების ნუსხაც გაიზარდა. საბოლოოდ იგი გაასამართლეს და სასჯელთა ერთობლიობით 27 წლით პატიმრობა ერგო. იგი, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის პატიმარი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალურ "შავ სიაში" ირიცხებოდა და №6 საპყრობილეშიც ამ ნიშნით გადაიყვანეს - იზოლაციაში მოაქციეს.

ნუგზარ გვიჩიანი, ასევე ცნობილი კრიმინალის, ნოდარ გვიჩიანის ძმა გახლდათ. ეს, ის ნოდარ გვიჩიანია, რომლის სახელიც ლევან კალაძის გატაცების საქმეში და "თბილგაზის" გენერალური დირექტორის გიორგი გვიჩიანის საქმეში ფიგურირებდა. ნოდარ გვიჩიანი საპატიმროს სულ ცოტა ხნის წინათ დაემშვიდობა - საპროცესო გარიგების საფუძველზე. როგორც ცნობილია, სწორედ მან მისცა გამოძიებას საჭირო ჩვენება, რომლის საფუძველზეც, "თელასის" მენეჯერის ნიკა ლომინაძის საქმე გაიხსნა.

გუშინ მომხდარი ფაქტის შემდეგ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპატიმრო დაწესებულებებში სათვალთვალო აპარატებს დადგამენ. აპარატების დამონტაჟება უკვე დაიწყო თბილისის N7 და ქუთაისის N2 საპყრობილეებში, თუმცა - არა ყველა საკანში. ვიდეოთვალს საკანში მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში დაამონტაჟებენ.

ასეთი გადაწყვეტილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გვიჩიანის თვითმკვლელობის შემდეგ მიიღეს - მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად.

24 საათი

გივი ყანდარელი

შემოქმედი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

შეუძლებელია ისაუბრო გობელენზე და არ გაიხსენო ბატონი გივი ყანდარელი. შემოქმედი მუდმივად ცდილობდა არ გაეწყვიტა ის ჯაჭვი, რომელიც საქართველოში გობელენის განვითარებას უწყობდა ხელს, ამიტომ არ იშურებდა ინფორმაციას და თავის ცოდნა-გამოცდილებას უხვად გადასცემდა მოწაფეებს. გთავაზობთ ფრაგმენტებს გივი ყანდარელის უკანასკნელი ინტერვიუდან, რომელიც ჩემს მასწავლებელს შარდენის ქუჩაზე, მის სახელოსნოში ჩამოვართვი.

ლია ბეროშვილი

- ბატონო გივი, როგორი იყო ქართული ფარდაგი ძველი წეს-ჩვეულებების თანახმად?

- მთელ მსოფლიოში, სადაც არსებობს ცხვარი, მატყლი, ჩნდება მოთხოვნილება, რომ ადამიანებმა ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. ქართველები ძირითადად ფარდაგებს ქსოვდნენ. მთაში ჩვენს წინაპარს, მოგეხსენებათ, ხის იატაკი არ ჰქონდა. იყო თიხის ან აგურის იატაკები, ამიტომ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეექმნათ თექა, ფარდაგი, ხალიჩა. აკეთებდნენ ნაბდებსაც, ქუდებს... თექა და ფარდაგი კედლიდან ტახტზე და შემდეგ იატაკზე ეფინებოდა.

- ამხელა ფარდაგს როგორ ქსოვდნენ?

- ბუნებრივია ეს ფარდაგები ასეთი ზომით ვერ მოიქსოვებოდა, ამიტომ ნაწილ-ნაწილ ქსოვდნენ და აკერებდნენ. მაგალითად, ერთი ფერის ძაფი რომ გაუთავდებოდათ, ღებავდნენ ბუნებრივ საღებავში, მაგრამ ზუსტად იმ ფერის ასლი არ გამოდიოდა და ასეთი ფარდაგი უფრო ფასეული აღმოჩნდა. მყიდველი ამით ხვდება, რომ ეს ძველი, ხელით ნაქსოვი ნამუშევარია.

- ძველად ჰქონდათ ნახატი, რომელიც უნდა შეესრულებინათ?

- იყო ოჯახები, რომლებსაც საკუთარი ნახატები ჰქონდათ. ზოგს არც ჰქონდა და ცდილობდა ცარიელი ადგილი რაღაც ფორმით შეევსო. ზამთრის პერიოდში, როცა სხვა საქმე არ ჰქონდათ, ფარდაგს ქსოვდნენ. ასე რომ, ფარდაგის ქსოვის ხელოვნებას ბავშვობიდან ეუფლებოდნენ. იყო ბუნებრივი საღებავები, საიდანაც ლურჯ ფერს ვერ იღებდნენ, ამიტომ ეს საღებავი ინდოეთიდან აბრეშუმის გზით შემოჰქონდათ. საღებავებს ებრაელები იძენდნენ და შემდეგ ყიდდნენ.

- ჩვენთან ხალიჩა იქსოვებოდა?

- იქსოვებოდა, მაგრამ ქართული არა. მაგალითად, კახეთის რომელიმე თავადიშვილი აზერბაიჯანიდან იწვევდა რამდენიმე მქსოველს და გრანდიოზულ ხალიჩას აქსოვინებდა. ახლახანს გამოვიდა სპარსული კატალოგი, სადაც ფარდაგებია მოცემული. ის ძალიან ჰგავს ქართულს. სპარსეთიც და საქართველოც უძველესი ქვეყნები არიან, ამიტომ ვერ გავიგებთ, ვინ ვის მიბაძა. ჩვენი სამშობლო იმ ორიგინალური თვისებით გამოირჩევა, რომ ყველა კუთხის ფარდაგს თავისი განსაკუთრებული ინდივიდუალიზმი ახასიათებს და სხვადასხვა ფერის კოლორიტით გამოირჩევა. ხშირად მიფიქრია, რამ შექმნა კოლორიტი. ალბათ, იმ ბუნებრივმა შესაძლებლობებმა, რაც საქართველოში არსებობდა. კერძოდ მცენარეული საღებავები, რომელიც სპარსეთსა და თურქეთში არ მოიპოვებოდა. შედეგად ვიღებდით ორიგინალურ, ქართულ ფარდაგებს.

- ბატონო გივი, თქვენ საქართველოში გობელენის ფუძემდებლად გიცნობენ. როგორ დაფუძნდა ჩვენს სამშობლოში ხელოვნების ეს დარგი?

- მეოცე საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში, მოსკოვისა და პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში სტაჟირებებზე და კვალიფიკაციის ასამაღლებლად გვაგზავნიდნენ, მაგრამ ეს მივლინებები გობელენს არ უკავშირდებოდა. ყოველ ადამიანს განუმეორებელი, თანდაყოლილი ბედი აქვს. სწორედ ამ ბედის ირონიით აღმოვჩნდი ჩეხოსლოვაკიაში. პრაღის გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტში - "უმბრუ" - ქსოვილების კათედრაზე. იქ დავეუფლე გობელენის ხელოვნებას. მაშინ პროფესიით კერამიკოსი გახლდით და გული ფერწერისკენ მიმიწევდა, მაგრამ ბატონმა დავით ციციშვილმა ჩეხეთში გამგზავრება შემომთავაზა. მან ამიხსნა, რომ აკვარელში კარგად ვმუშაობდი და ეს ჩემი სამყარო იყო, სადაც უნდა მეცხოვრა. მე დავთანხმდი, თანაც უცხოეთში წასვლა ისეთი მაცდური წინადადება იყო, რომელზეც უარს ვერ ვიტყოდი. ასე აღმოვჩნდი პრაღაში.

- ...და იქ დაგხვდნენ შესანიშნავი მასწავლებლები.

- 1965 წელს პრაღაში დავიწყე სწავლა. "უმბრუს" ინსტიტუტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქსოვილების კათედრა იყო, რომლის ბატონ-პატრონი მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი ანტონინ კიბალი გახლდათ. უაღრესად საინტერესო პიროვნება იყო, შესანიშნავი მხატვარი, განათლებული კაცი:

- იცი ქსოვა?

- არ ვიცი, კერამიკოსი ვარ.

- რასაც გარშემო ხედავ: ბუნებას, ადამიანებს, ცხოველებს - კარგად გააცნობიერე და შენი ცოდნა დამანახე - მითხრა კიბალიმ.

მან მომიჩინა ოსტატი, ხანში შესული ქალი. ამ ქალბატონმა დამიქსელა ჩარჩო, გააბა ქსელი. ჯერ ორი პატარა საჩვენებელი ნაქსოვი გამაკეთებინა, მასწავლა გობელენის ქსოვის ტექნიკა, როგორ იქსოვება, როგორ ადის ხაზი, ფორმა როგორ კეთდება, ერთმანეთში ფერების მოძრაობა როგორ ხორციელდება. მერე ხაოიანი ხალიჩა და ბუკლეც გამაკეთებინა და ამის შემდეგ გობელენზე წარმოდგენა ჩამომიყალიბდა. სიბეჯითე არ მაკლდა. სახელოსნოში დილის 9 საათზე უნდა ვყოფილიყავი. დაგვიანებისთვის არავინ გამასამართლებდა, მაგრამ, რაც უფრო მეტს იშრომებდი, მეტ ცოდნას წამოიღებდი, ამიტომ არ ვიგვიანებდი. მუშაობა საღამოს 7 საათზე მთავრდებოდა. პრაღაში 4 თვე გავატარე და ორი გობელენი მოვქსოვე. შემდეგ წამოსვლის დრო დადგა. ქსოვის ტექნოლოგია იქ შევისწავლე, მაგრამ რასაც ეხლა ვაკეთებ, თვითონ აღმოვაჩინე. ვასწავლე საკუთარ თავს, სტუდენტებს.

- როგორი უნდა იყოს გობელენის კომპოზიცია?

- საერთოდ, რაც არ უნდა წაიკითხო ნურავის დაუჯერებ, რომ ეს არის გობელენის ნახატი, სწორი რეცეპტი მის შესასრულებლად და ასე შემდეგ. ფუჭია ეს ყველაფერი. რაფაელი მაგალითად კარტონებს ისე ხატავდა, როგორც ფრესკებს. კარტონს შემსრულებლებს უმზადებდა - ბელგიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში. შემდეგ იქ მიჰქონდათ და ქსოვდნენ. შეგვიმჩნევია, რომ მე-14 საუკუნის ავეჯი დღევანდელისგან მკვეთრად განსხვავდება. კომპოზიციური წესები, პროპორცია უფრო გამარტივებულია, ამიტომ კომპოზიცია ათასნაირად შეგიძლია გააკეთო. მაგალითად მე-19 საუკუნის პიკასოს, ლურსას, შაგალის, ბუჟეს გობელენები რომ ნახო, თვითონ დარწმუნდები. ისინი ფერმწერები იყვნენ და პარალელურად გობელენისთვის ესკიზებს აკეთებდნენ, მაგრამ ისე, როგორც ფერწერას ხატავდნენ.

- ჩამობრძანდით ჩეხოსლოვაკიიდან. აქ რა მდგომარეობა დაგხვდათ?

- ჩვენს სამშობლოში გობელენის დანერგვის წინააღმდეგი დემონსტრაციულად არავინ ყოფილა. პირიქით, ბევრი მომხრეც გამოჩნდა, მაგრამ ამ საქმეს ცოტა ეჭვის თვალით უყურებდნენ, რადგან საკმარისი ინფორმაცია არ ჰქონდათ. ჩვენმა მხატვრებმა არ იცოდნენ რა არის გობელენი. არც მისი რაობა, არც ისტორია, არც შიდა სამზარეულო. აკადემია ზოგადად გობელენის დანერგვის ხელისშემწყობი იყო და რახან მისი კადრი ვიყავი, მე დამევალა ამ საქმის წარმოება. იყო ასეთი ლექტორი ელიაშვილი. თამაზ ნუცუბიძის კურსელი. შარდენის სახელოსნოს დირექტორად მუშაობდა. ერთი პერიოდი მას ავუხსენი ყველაფერი, ვაჩვენე ნამუშევრები. მანაც თავისი ნახატი მომიტანა და ქსოვა დაიწყო. ფაქტობრივად, ჩემი პირველი მოსწავლე ის იყო. დავიწყე კურსებზე სწავლება, მაგრამ რაღაცეები თვითონ მქონდა სასწავლი და ყამირი მიწების ათვისებასავით გამომივიდა. თან ვსწავლობდი, თან ვასწავლიდი - მასწავლებლებსაც, ასპირანტებსაც, სტუდენტებსაც. ჩემი ჩამოსვლიდან მეორე წელს აკადემიაში უკვე საკურსო პროგრამები გაჩნდა.

- ვინ იყო ქსოვილების კათედრის პირველი ხელმძღვანელი?

- კათედრის პირველი გამგე დავით ციციშვილი იყო. სტუდენტები კი - თამაზ ნუცუბიძე, ჯემალ კაკულია, ძმები გახარიები, ლერი ელიაშვილი. სულ 9 სტუდენტი. თავიდან გამოყენებითი ხელოვნების კათედრა ერქვა, სადაც შედიოდა მინა-კერამიკა. 1963 წლიდან კი ქსოვილების კათედრა ცალკე დაარსდა.

- როგორ მიმდინარეობდა საქართველოში გობელენის განვითარების პროცესი?

- ერთი პირობა კათედრის გამგედ დაგვინიშნეს კაცი, რომელიც მხატვარი არ იყო. მოკლედ, არასწორად იქცეოდნენ და ამ კატაკლიზმების გამო საშინელი ვაკუუმი გაჩნდა. აკადემია დავტოვეთ მე, დავით ციციშვილმა, თამაზ ნუცუბიძემ. მე 12 წლის განმავლობაში ტექნიკურ უნივერსიტეტში ვასწავლიდი. როცა 1986 წელს აკადემიაში დამაბრუნეს, გამოფენა კეთდებოდა. იქ ბოლო წლების ნამუშევრები ვნახე, მაგრამ საშინელი დონე დამხვდა. ვითომ ფარდაგები, ხალიჩები გამოიფინა, მაგრამ იმსისქე ძაფებით იყო მოქსოვილი, შეხედვაც კი გაგიჭირდებოდა.

- პირველ სტუდენტებზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- მთელი ამ სტუდენტებიდან ბოლომდე, ფაქტობრივად, მხოლოდ თამაზ ნუცუბიძე შემორჩა. მას აზროვნება უფრო ახასიათებდა მუშაობის დროს. მისი ნამუშევრები უფრო დეკორატიული ხასიათის იყო. როცა ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოვედი, სტუდენტები აკადემიას უკვე ამთავრებდნენ და ვისაც მოვასწარი, ვასწავლე.

- დავით ციციშვილზე უფრო ვრცლად ხომ არ მიამბობთ?

- დავით ციციშვილი უნიკალური პიროვნება იყო ნიჭითაც, განათლებითაც და ინტერესებითაც. საოცარი მახსოვრობის უნარი გააჩნდა. წიგნს რომ წაიკითხავდა, ზეპირად ახსოვდა, რომელ გვერდზე რა ეწერა. დავით ციციშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის, რომ თბილისის სამხატვრო აკადემია საერთოდ არსებობს.

ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდში დადგა საკითხი, საერთოდ გაეუქმებინათ სამხატვრო აკადემიები. მხოლოდ რიგასა და თბილისში არსებობდა ისეთი ცენტრები, სადაც ყველა დარგი ფუნქციონირებდა. სწორედ ამ დროს გამოიჩინეს დიდი გონიერება დავით ციციშვილმა და აპოლონ ქუთათელაძემ და გადაწყვიტეს გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის დანერგვა. ამ ფაკულტეტის უკან აკადემიური დარგი რჩებოდა, ხოლო წინა პლანზე ლითონი გამოდიოდა, რომელიც საბჭოთა ეპოქაში მოგეხსენებათ, საჭირო იყო და იმდროინდელი ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. ლითონით "მოითაფლა", ასე ვთქვათ. საერთოდ, იდეა შეიძლება გქონდეს, მაგრამ მას განხორციელება სჭირდება და ამ ხალხმა განახორციელა იდეა, რომელმაც სამხატვრო აკადემია შეგვინარჩუნა.

დავით ციციშვილი უაღრესად ემოციური კაცი იყო. პატარა ბავშვივით რაღაცას თავში რომ ჩაიდებდა, აუცილებლად უნდა შეესრულებინა და როცა საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, მერე აბსოლუტურად განსხვავებულ საქმიანობას მოკიდებდა ხელს. მაგალითად, შეეძლო კალამზე დაეწყო საუბარი და ატომური ბომბის ტექნოლოგიით დაემთავრებინა. იმდენი რამ იცოდა, ჩარჩოში ვერ ეტეოდა. არაჩვეულებრივი პედაგოგი იყო. ჯიბეში ყოველთვის კალკა ედო, ამოიღებდა, შენს ნამუშევარს დაადებდა და შეცდომას დაგანახებდა. შემდეგ დახევდა და ისევ ჯიბეში ჩაიდებდა. თვისებური ხედვა ჰქონდა. შესანიშნავად იცოდა ხალიჩების ისტორია. ის მუშაობდა კავკასიური ხალიჩების ცენტრში. ზეპირად იცოდა ყველა ხასიათის ხალიჩა და ფარდაგი თავისი სპეციფიკით - რომელი რაიონიდან იყო, რას ნიშნავდა ესა, თუ ის ორნამენტი.

- როგორია დღევანდელი გობელენი?

- დღესდღეობით არიან თანამედროვე გობელენის მიმდევრები და საკმაოდ ნიჭიერი თაობა. ზოგ მათგანს ქსოვის საკუთარი სტილი აქვს გამომუშავებული, მაგრამ ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობის ფონზე ისინი უაღრესად ინერტულნი გახდნენ. თუ საზოგადოება ფიზიკურად არ ჩაება განვითარების პროცესში, წინსვლა გაგვიჭირდება.

ვთქვათ, აკადემიაში მოდის ბავშვი. 5 წელი სწავლობს, შემდეგ აკეთებს ნამუშევარს, დიპლომს იღებს. გადის წლები და ესკიზებს ველოდები, მაგრამ სად არის ესკიზები? შეიძლება წელიწადში ერთხელ გათენდეს ბედნიერი დღე და ესკიზები მომიტანონ. ასე რომ ჯერჯერობით, აქტიურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ლატვიაში, მაგალითად, დღესაც აქტიურად მუშაობენ და ვითარდებიან. იქ ცხოვრების დონე ჩვენზე მაღალია. ქვეყანა სტაბილურია. არ ფიქრობენ ხელფასებსა და პენსიებზე და ამიტომაც სწავლობენ როგორც შეუძლიათ. ჩვენში კი ტალანტები იკარგებიან. საქართველოში რატომღაც მიჩნეულია, რომ რაკი გობელენი ქსოვაა, ეს ქალების საქმეა. ჩვენმა ახალგაზრდობამ დაივიწყა, რა არის თავგანწირვა. არადა, თუ საყვარელ საქმეს თავი არ შესწირე, არაფერი გამოვა.

ხვალ გივი ყანდარელს მიწას მიაბარებენ. თქვენს საყვარელ სიტყვას დაგესესხებით ბატონო გივი და გეტყვით უბრალოდ - "მშვიდობით!!!"

Hyundai ხარისხის ლიდერია

ავტორიტეტულმა ამერიკულმა ორგანიზაციამ J.D. Power and Associates-მა ახალი ავტომანქანების ხარისხის შესახებ ყოველწლიური გამოკვლევების შედეგები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ამერიკაში ყველაზე ხარისხიან და საიმედო ავტომანქანებს კომპანია Porsche ყიდის, რომელმაც წელს Lexus-ისა და Hyundai-ს გასწრება შეძლო. ლიდერების ხუთეულს კი Toyota და Jaguar ასრულებენ.

ამერიკის ყველაზე საიმედო მანქანები Lexus LS 430 და Porsche Cayman S-ია. ამ ავტომანქანების მფლობელები ყველაზე ნაკლებად ჩიოდნენ შენაძენის გაუმართაობის თაობაზე. წელს Lexus-ისა და Toyota-ს მარკის მანქანებმა 19 ნომინაციიდან 11-ის მოპოვება შეძლეს. გარდა ამისა, კომპანია Lexus უკვე 11 წელია, რაც ამერიკის ყველაზე საიმედო ავტომანქანების გამომშვებად მიიჩნევა.

ყველაზე მეტად სპეციალისტები იმ ფაქტმა გააოცა, რომ კორეულმა Hyundai-მ მესამე ადგილი დაიკავა, არადა შარშან ამ კომპანიას მხოლოდ მე-11 ადგილი ერგო. ამჯერად კი ამერიკაში ყველაზე პოპულარული შვიდი ავტომობილიდან ხუთი სწორედ ამ კომპანიის მიერაა გამოშვებული. Hyundai Tucson კი გაუვალი გზების გადასალახად საუკეთესო საშუალებად დაასახელეს.

ასევე საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები პრობლემებისა და გაუმართაობის თაობაზე. ამ მხრივ Hyundai-მ 102 ხმა მიიღო, ხოლო Toyota-მ - 106.

სიის ყველაზე დაბალ საფეხურებზე Land Rover, Isuzu, Volkswagen, Hummer და Suzuki განთავსდნენ. მათმა მფლობელებმა ყველაზე მეტჯერ მიმართეს დილერებს ავტომანქანების გაუმართაობის შესახებ.



10-11 ივნისი

თეატრი

თეატრალური სარდაფი
შაბათი
კლოდ მანიე. "ოსკარი"

კვირა
ნინო ბასილია. "თაგვი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი
შაბათი
"კომედიანტები"

კვირა
"ძმები". რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

კინო

"ამირანი"
შაბათი-კვირა
"ქაოსი". დასაწყისი: 14:00; 16:00; 18:00; 20:00; 22:00

"რუსთაველი"
"X ადამიანები: გადამწყვეტი ბრძოლა"

გალერეა

"კოპალა"
პარიზელი მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის სკულპტურა
"ჩემს სიზმრებში"

"ვერნისაჟი"
თანამედროვე ქართველ მხატვართა
ნამუშევრების გამოფენა

კლუბები

შაბათი
2 SIDE
დი ჯეები: არკადი ტომკინი და გიო შენგელია

კვირა
SWITCH
დი ჯეი - გიო შენგელია

ნიკოლ კიდმანის ახალი როლი

ნიკოლ კიდმანი ახალ როლზე დაამტკიცეს. ამის შესახებ ფილმის რეჟისორმა ვონგ კარ ვაიმ განაცხადა. ფილმი სახელწოდებით My Blueberry Nights რეჟისორის პირველი ინგლისურენოვანი სურათი იქნება, რომლის გადაღება ზაფხულში დაიწყება. ამ ეტაპზე ვაი მსახიობთა ჯგუფს აკომპლექტებს.

ფილმის მთავარი როლის პრეტენდენტებად ნატალი პორტმანი, რეიჩელ ვაიზი და მომღერალი ნორა ჯონსი ითვლებოდნენ. ჰონკონგელ რეჟისორს, რომელიც კანის ფესტივალზე ჟიურის თავმჯდომარედ იყო მიწვეული, პოპულარობა მოუტანა ფილმებმა Fallen Angels, Happy Together, In Mood for Love.

ჯი-ეიჩ-ენი

ჯულია რობერტსი AVON-ის სახე გახდა

Christian Dior-ის პარფიუმერიულმა სახლმა უარი თქვა სარეკლამოდ ჯულია რობერტსის სახის გამოყენებაზე. თუმცა 39 წლის მსახიობი პარფიუმერიულ სამყაროსა და სარეკლამო ბიზნესს არ ჩამოშორებია. ახლახან მან რამდენიმემილიონიანი კონტრაქტი გააფორმა პარფიუმერიის ამერიკულ მწარმოებელთან, კომპანია Avon-თან.

როგორც ცნობილი გახდა, ჯულია Avon-ის პროდუქციის რეკლამებში ჩოგბურთელ სერენა უილიამსის ნაცვლად გამოჩნდება.

ფილმმა "იქს-ადამიანები 3" "და ვინჩის კოდი" დაჩრდილა

მსოფლიო კინოეკრანებზე ფილმის - "იქს-ადამიანები: გადამწყვეტი ბრძოლა" (X-Men: The Last Stand) - გამოჩენამ სკანდალური "და ვინჩის კოდი" დაჩრდილა. სამ დღეში კინოგაქირავებით შემოსულმა თანხამ, მხოლოდ აშშ-ის ფარგლებში, 107 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ამ მაჩვენებლით მან შემოსავლიანი ფილმების სიაში მეოთხე ადგილი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ პირველ სამეულში არიან "ადამიანი-ობობა", "ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი 3" და "შრეკი 2". სურათი ფანტასტიკური ჟანრისაა და ადამიანებისა და მუტანტების გადამწყვეტ ბრძოლას ასახავს.

სკანდალური სტატია ლიზ ტეილორის შესახებ

ბულვარულმა ჟურნალმა National Enquirer-მა მსახიობ ლიზ ტეილორის შესახებ სკანდალური სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამი იყო, თითქოს ოსკაროსანი მსახიობი მძიმე სენითაა დაავადებული.

74 წლის ლიზი, რომელიც დიდი ხანია პრესის ყურადღების ცენტრში აღარ მოქცეულა, საზოგადოებრივი ეჭვების გასაფანტად გადაცემა Larry King Live-ს ეწვია.

"მართალია, ბოლო დროს ინვალიდების სავარძელში მხედავენ, მაგრამ ეს მხოლოდ სახსრების ტკივილის გამოა, სხვა მხრივ ჯანმრთელად ვარ", - განაცხადა ტეილორმა.

როგორც ცნობილია, ელიზაბეტ ტეილორი აქტიურადაა დაკავებული შიდსთან ბრძოლით და სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

„საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა საქმიანობის ლიცენზირების“ საქართველოს კანონის საფუძველზე:

შ.პ.ს. „ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობაში გენერალური ლიცენზიის მიღებას.

"ტრუბადურის" პრემიერა ოპერისა და ბალეტის თეატრში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საოპერო დასი პრემიერისთვის ემზადება. ჯუზეპე ვერდის ოპერა "ტრუბადურის" პრემიერა 21 ივნისს გაიმართება.

ანტონიო გუტიერესის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის ლიბრეტოს ავტორები სალვატორე კამარანო და ლეონ ემანუელ ბარდარე არიან. სპექტაკლს ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს. რეჟისორია ვერნონ მაუნდი, მხატვარი - ქრის დევილდე. მთავარ პარტიებს გიორგი ონიანი, ირინე რატიანი, ბესიკ გაბიტაშვილი, ელენა პუტილოვა, კახაბერ თეთვაძე, გულნაზ ბერიძე და თამაზ საგინაძე შეასრულებენ.

"ტრუბადურის" მსოფლიო პრემიერა რომში, თეატრ "აპოლოში" 1853 წელს გაიმართა.

თბილისის საოპერო დასი დალჰალას ფესტივალზე

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დალჰალას პრესტიჟულ საოპერო მუსიკის ფესტივალზე მიემგზავრება. თბილისის საოპერო დასი 8-დან 12 აგვისტოს ჩათვლით დალჰალას ფესტივალზე ჯუზეპე ვერდის "ტრუბადურს" და სენ-სანსის ოპერას - "სამსონსა და დალილას" (საკონცერტო შესრულება) წარმოადგენს.

სპექტაკლებს ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს.

ინტერპრესნიუსი

ხობის რაიონის მრევლის მოთხოვნა

ხობის კულტურის სახლში ხობის დედათა მონასატრის დედების ფოთისა და ხობის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე გრიგოლის ინიციატივით საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობდა ხობის რაიონის მრევლი. მათი ძირითადი მოთხოვნაა ხობის დედათა მონასტერში ზუგდიდის მუზეუმიდან სიწმინდეების გადამგზავრება.

საუბარია მარიამ ღვთისმშობლის კვართზე, წმინდა მარინესა და წმინდა კვირიკეს წმინდა ნაწილებზე. ამ თემაზე დიდი ხანია მიმდინარეობს ბრძოლა ხობისა და ზუგდიდის ეპარქიებს შორის, მაგრამ განსაკუთრებით გამწვავდა საკითხი მიმდინარე წლის გაზაფხულზე, როდესაც ფოთისა და ხობის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე გრიგოლმა რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა მოთხოვნით.

ზუგდიდის მრევლის განცხადებით, სიწმინდეები 80 წელზე მეტია, რაც ზუგდიდის მუზეუმშია დაცული და მას ხობის დედათა მონასტერში ვერ დაიცავენ.



მეუღლე - მალი ლიუ,
შვილები - ირაკლი და ნინო ყანდარელები,
და - თინა ყანდარელი
ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

გივი ლუარსაბის ძე ყანდარელი

პანაშვიდი: 10 ივნისს 18 საათზე
მისამართი: ქ. თბილისი, ელენე ახვლედიანის ქუჩა 3
გამოსვენება: 11 ივნისს, 15 საათზე, ქაშუეთის ეკლესიიდან (I სართული)
დაკრძალვა: საბურთალოს პანთეონში.

ბიბლიოთეკაში ქვეწარმავლები დასეირნობენ

მზევინარ ხუციშვილი

რუსთავის აკაკი წერეთლის სახელობის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა 1948 წელს დაარსდა. ამ დღიდან მოყოლებული ბიბლიოთეკაში სულ ორი ხელმძღვანელი შეიცვალა, 1983 წლიდან კი მას ქალბატონი ელენა ბურკაძე ხელმძღვანელობს. გარდა ცენტრალური ოფისისა, ქალაქის სხვადასხვა ადგილებში განლაგებულია მისი თორმეტი ფილიალი, რომლებიც მთელს ქალაქს, უამრავ სტუდენტს, სკოლის მოსწავლეს და ათასობით ადამიანს ემსახურება. ამასთან, ბიბლიოთეკაში სულ თოთხმეტი თანამშრომელია, რომლებიც მთელს ქსელს ემსახურებიან, სადაც ხუთი განყოფილება ფუნქციონირებს: საორგანიზაციო მეთოდური, დაკომპლექტება-დამუშავების, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო, ერთიანი ფონდების გამოყენების და მომსახურების. დაახლოებით ხუთი წლის წინ ბიბლიოთეკა გაძარცვეს და უნიკალური წიგნები გაიტაცეს. ამჟამად მის საცავში 325 ათას 500-ზე მეტი წიგნი ინახება, მომხმარებელთა რაოდება კი დაახლოებით 214 ათას 824-ზე მეტი ადამიანია.

"1998 წლიდან დაფინანსება ძალიან შეგვიმცირდა, სახელმწიფოსგან ყოველწლიურად მხოლოდ 3 ათას ლარს ვიღებთ, რომელშიც ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და უამრავი მომსახურება შედის. ეს თანხა ძალიან მწირია იმასთან შედარებით, რაც ბიბლიოთეკას არსებობისთვის სჭირდება. წიგნებს, ფაქტობრივად, ვეღარ ვყიდულობთ, თუ შესაძლებლობა გვაქვს გამომცემლობებიდან ვიღებთ შეღავათიან ფასებში. ძალიან გვეხმარებიან ჩვენი მკითხველები, რომლებიც სტუდენტები არიან. მათ მიიღეს მონაწილეობა პროექტში "განათლება ჩვენი უფლება", რომელიც "აირექსმა" დააფინანსა და არასამთავრობო ორგანიზაცია "სიქამ" განახორციელა. სტუდენტებმა 400 ლარის წიგნები შეგვიძინეს: "პოლიტიკური იდეოლოგიები", "ქართული დიპლომატიის ცნობარი", "გეოგრაფიის ენციკლოპედია", რომელიც უნიკალურია და კიდევ სხვა. პროექტში გამარჯვებული სტუდენტები ჩვენი ბიბლიოთეკის საპატიო მკითხველებად ითვლებიან", - აღნიშნა ქალბატონმა ელენამ.

ბიბლიოთეკაში უამრავი ღონისძიება ეწყობა: საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც წელს მეხუთედ ჩატარდა. 20 აპრილს მწერალთა სახლში, მწერალთა ასოციაციასთან ერთად "პირველ მეფოლადეებთან შეხვედრა" მოეწყო, რომელსაც ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა და ბიბლიოთეკის მთელი ქსელი მონაწილეობდა. გამოფენები: "წიგნი, ბიბლიოთეკა, მკითხველი". ახალგაზრდობის ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია "საქართველოს მხარეები"; საბავშვო ბიბლიოთეკა "ნაკადულში" - "დილა - ყვავილების მეჯლისი"; ინტელექტუალური თამაში ტესტებით თემაზე "შემოვიაროთ ცოდნის წყარო", რომელშიც გიმნაზიის და -17 სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას; დიალოგი ბავშვებთან - "მე, რომ მშვიდობის ელჩი ვიყო". შეხვედრა მწერლებთან, პრეზენტაციები, საბავშვო თამაში "ყველაზე ჭკვიანი" და კიდევ უამრავი, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამასთან ბიბლიოთეკის საიუბილეო საღამოებიც აღინიშნება. ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეებს კი უამრავი სიგელი და დიპლომი აქვთ მიღებული.

ეს ყველაფერი მხოლოდ ბიბლიოთეკის თანამშრომლების დამსახურებაა. მაგრამ ალბათ ყველაზე საინტერესო სწორედ ის არის, რომ სხვა შენობებისგან განსხვავებით, ამ შენობისთვის გარე ფასადიც კი არავის შეულამაზებია, შენობაში შესვლისთანავე კი სინესტის სუნს იგრძნობთ. კედლები დაბზარული და სველია. როგორც თანამშრომლებმა მითხრეს, სარდაფები წყლითაა სავსე. ჭერში და შენობაში ვირთხები თავისუფლად დასეირნობენ.

- ქალბატონო ელენა, ქალაქის მერიის სამსახურისთვის არ მიგიმართავთ?

- ჯერ კიდევ მერაბ ტყეშელაშვილის დროს მივმართეთ მერიის სამსახურს. "სიფის" პროგრამით შედგა პროექტი, რომელიც ჯერაც არ განხორციელებულა. მერიის ახალმა შემადგენლობამ, კერძოდ კი ქალაქის ვიცემერმა ბატონმა ზაზა სულაძემ გამოგვიცხადა - რეორგანიზაციის შემდეგ მოგაქცევთ ყურადღებასო.

- ყველა შენობა ასეთ მდგომარეობაშია?

- საბავშვო და საქალაქო ბიბლიოთეკები ძალიან კარგ მდგომარეობაშია, დანარჩენი კი... დაპირება დღემდე მხოლოდ დაპირებად რჩება. ასე უყურადღებოდ არასდროს არ ვყოფილვართ. ასეთ მდგომარეობაში ჩვენც ყოველგვარი ინტერესი გვაქვს დაკარგული. ამას ისიც ემატება, რომ ამდენი სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, ლიცეუმი, კოლეჯი არსებობს, მათთან ხელშეკრულებები გვაქვს გამოფორმებული, სურვილი აქვთ ყველას ჩვენ მოვემსახუროთ და შემცირებას მოითხოვენ. უნდათ ამხელა ქალაქში მხოლოდ ხუთი ბიბლიოთეკა დარჩეს. ყველანი აღშფოთებულნი ვართ, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. ჩვენ აქ 40 წელზე მეტია ვმუშაობთ და კონკურსების და ატესტაციის გავლას გვთხოვენ.

- ხელფასები?

- ხელფასი 1998 წლის შემდეგ არ მომატებულა. ახლა 32 ლარზე ვმუშაობთ, ყველაფერს კი გვიძვირებენ.

გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკა სავალალო მდგომარეობაშია და უამრავი უნიკალური გამოცემა საფრთხეშია, არც მოსახლეობაა სახარბიელო სიტუაციაში, რადგან ბიბლიოთეკის თავზე ცხრასართულიანი საცხოვრებელი შენობაა.

ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნების პრეზენტაცია

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში "ცისფერყანწელი" პოეტის, პროზაიკოსისა და პუბლიცისტის ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნების პრეზენტაცია გაიმართება.

როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ განაცხადა, ორი ათეული წლის მანძილზე პოეტის სახელი საზოგადოებისთვის ტაბუდადებული იყო.

"ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მრავალმხრივ შემოქმედს დღესაც ნაკლებად იცნობს მკითხველთა ფართო აუდიტორია. ამ ხარვეზის შევსების კიდევ ერთი მცდელობაა წიგნების - "თებერვალი", "ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან", "წმინდანიანი" - და ილამაზ მიწიშვილის მიერ შედგენილი კრებულის - "ფიქრები საქართველოზე" პრეზენტაცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში".

მისი თქმით, ნიკოლოზ მიწიშვილმა 1922 წელს სტამბოლიდან გამოუგზავნა კოლეგებს წერილი "ფიქრები საქართველოზე", რომელშიც ბევრ საკამათო საკითხს შეეხო. იგი ჟურნალ "ქართულ მწერლობაში"დაიბეჭდა და ინტელიგენციის დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც შემდგენელი აღნიშნავს, კრებულში სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებული, სხვადასხვა ავტორთა ცნობილი მასალებია თავმოყრილი. ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნების პრეზენტაცია 12 ივნისს გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში ტბელ აბუსერიძის ქუჩიდან ფიროსმანის ქუჩამდე ახალი შემაერთებელი ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის (ასფალტირება) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **1 თვის პერიოდი.**

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი ან დედანის ასლი ნოტარიულად დამოწმებული და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 ივლისიდან 2006 წლის 4 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 3 ივლისის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური (მისამართი: თბილისი. გ.ტაბიძის ქ. N4. მე-3 სართული)

ქ.თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის N10-6 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების აუქციონის ფორმით განკარგვის წესის შესახებ“ დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის N05.20.137 დადგენილების საფუძველზე

აცხადებს აუქციონს

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-ს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი 720ტ ტრამვაის რელსის (წონა დაუზუსტებელია), ღირებულებით 136800 ლარი, ნასყიდობით აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე

სარეალიზებო ქონების საწყისი ფასი:
- 1 ტონაზე გაანგარიშებით 190 ლარი;

ბიჯის ოდენობა: - 1 ტონაზე გაანგარიშებით 30 ლარი;

„ბე“-ს სიდიდე: სარეალიზებო ძირითადი საშუალებების საწყისი (დაუზუსტებელი) სარეალიზებო ღირებულების 40% - 54720 ლარი;

გადახდილი „ბე“-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშწორების ანგარიშში.
აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებაა 100 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად სამსახურს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდგომაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: N 220 101 502
ანგარიშსწორების ანგარიში: N 200 467 165
საიდენტიფიკაციო კოდი: N 202 163 8359
შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-ს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი 720ტ ტრამვაის რელსის დაჭრის, დასუფთავებისა და ტრანსპორტირების ხარჯებს გაიღებს აუქციონში გამარჯვებული. ასევე აუქციონში გამარჯვებულმა ოპერატიულად უნდა უზრუნველყოს სარეალიზებო ქონების საბოლოო დაზუსტებული წონის დადგენა, რომელიც განხორციელდება ქ.თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის, შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-სა და აუქციონში გამარჯვებულის მიერ შეთანხმებული მეთოდოლოგიით და/ან სასწორის გამოყენებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი,
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა (პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

განაცხადები მიიღება: 2006 წლის 17 ივლისის 18:00 საათამდე.

აუქციონი გაიმართება: 2006 წლის 18 ივლისს 12:00 საათზე.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია

- სამსახურის მიერ შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებამდე (აუქციონის თარიღიდან 10 დღის ვადაში) დაიწყოს აწონვისა და დაჭრის პროცედურა და დაასრულოს აუქციონის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 30 დღეში.
- შემაჯამებელი ოქმის სამსახურის მიერ დამტკიცებიდან 20 დღის ვადაში დაფაროს გადასახდელი საბოლოო ფასი, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე“ დაუბრუნდება აუქციონის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონში მონაწილის მოთხოვნით.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. გ.ტაბიძის ქ. N4 მე-3 სართული. ტელ.: 93 61 09 (ზურაბ ლომინაძე)

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს ა. ძოწენიძის სახელობის იმერეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფო, ქუთაისი, ოცხელის ქ. №2 ტელ.: 8 231 2 98 89, 899 50 83 28, გაერთიანებული ქართული ბანკის ქუთაისის ფილიალი ანგ. № 1270602; მფო 220101526 საიდენტიფიკაციო კოდი 212693539 საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად აცხადებს ღია, ერთეტაპიან ტენდერს ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების (ელექტროკარდიოგრაფის, პაციენტის მონიტორის, ხელოვნური სუნთქვის აპარატის კომპრესორის, სპირომეტრის, ჰემატოლოგიური ანალიზატორის და ტრანს ურეთრალური რეზექტოსკოპის) შესყიდვაზე, მათ ადგილზე მიწოდებაზე, სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე, სამედიცინო პერსონალის სწავლებაზე, საგარანტიო მომსახურებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება ერთ ეტაპად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების შესყიდვა ხორციელდება ცალკეულ ლოტებად:

ლოტი 1. ელექტროკარდიოგრაფია - 1 ცალი
ლოტი 2. ბიოქიმიური ანალიზატორი - 1 ცალი
ლოტი 3. პაციენტის მონიტორი - 2 ცალი
ლოტი 4. ხელოვნური სუნთქვის აპარატის კომპრესორი - 1 ცალი
ლოტი 5. სპირომეტრი - 1 ცალი
ლოტი 6. ტრანს ურეთრალური რეზექტოსკოპი - 1 ცალი

შესყიდვის ობიექტების შესახებ მოთხოვნილი ტექნიკური პარამეტრები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამის დანართში.

3. პროდუქციის მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 30 ივლისიდან 30 აგვისტომდე, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 25 ოქტომბრისა.

4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების სასურველი ფორმაა: ანგარიშსწორება ერთწლიანი გადახდის გადავადებით, გადაანგარიშებული ყოველთვიური გადახდის ოდენობით (ერთწლიანი ლიზინგი).

5. შემსრულებელსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომელშიც გადახდის ფორმის შესაბამის მუხლებში მიეთითება ზემოაღნიშნული პირობები. თავის მხრივ შემსყიდველი წარუდგენს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო თანხაზე მისი მომსახურე ბანკის გარანტიას.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

6.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილე იურიდიული პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტთან დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) სატენდერო წინადადებების ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა.

7. ზემოაღნიშნული მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის გარანტია 1% ოდენობით.

11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი 2% ოდენობით.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირს უფლება აქვს საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდება უკან პრეტენდენტს.

14. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

15. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის მიღება 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 25 ივლისამდე მისამართზე: ქუთაისი, ოცხელის ქ. №2. ტელ.: 8 231 2 98 89, 899 50 83 28.

16. სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, 2006 წლის 28 ივლისის დღის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქუთაისი, ოცხელის ქ. №2. ტელ.: 8 231 2 98 89, 899 50 83 28.

17. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაძლებელია შეიცვალოს შესასყიდი საქონლის ყველა ან ცალკეულ პოზიციაზე. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები.

18. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, ნინო ბასილაძე საავადმყოფოს მთავარი ბუღალტერი, ლაშა აფრიდონიძე საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგე, ტელ.: 899 54 74 50, მისამართზე: ქუთაისი, ოცხელის ქ. №2. ტელ.: 8 231 2 98 89, 899 50 83 28.

ტენდერი გაიმართება 2006 წლის 30 ივლისს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ დაფინანსების ფარგლებში 13 ასაშენებელი სკოლის (ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჯალის, ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურის, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის, ქობულეთის N6, თერჯოლის რაიონის სოფელი ჩხარის, ყვარელის რაიონის სოფელ გავაზის, სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის, სურამის N1, მცხეთის რაიონის სოფელი დიღმის, ვაზიანის N1, ბორჯომის N3 და თბილისის N84 საჯარო სკოლების) საპროექტო დოკუმენტაციის შერჩევის მიზნით ატარებს ორტეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“.

ლოტი	რაიონი / ქალაქი	საჯარო სკოლა
I	ლანჩხუთი	სოფელ ხაჯალას
II	ტყიბული	სოფელ მუხურას
III	გურჯაანის	სოფელ მელაანის
IV	ჩხოროწყუ	სოფელ ახუთის
V	ქობულეთი	N 6
VI	თერჯოლა	სოფელ ჩხარის
VII	ყვარელი	სოფელ გავაზის
VIII	სიღნაღი	სოფელ ჯუგაანის
IX	სურამი	N 1
X	მცხეთა	სოფელ დიღომის
XI	ვაზიანი	N 1
XII	ბორჯომი	N 3
XIII	თბილისი	N 84
	სულ:	13

შენიშვნა: ტენდერის პირველ ეტაპზე აუცილებელია წარმოდგენილი იქნას არქიტექტურული (ესკიზური) პროექტი.

- პირველადი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ღირებულების გარეშე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (არქიტექტურული (ესკიზური) პროექტის გარდა) და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 26 ივლისს 1500 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 28 ივლისს 1500 საათზე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

გ) ინფორმაცია შესრულებული ანალოგიურ სამუშაოების შესახებ.

- თუ ზემოთ დადგენილ ვადებში იურიდიული და ფიზიკური პირი არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)
საიდენტიფიკაციო ნომერი - 202051224
მომსახურე ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000
ა/ა N 200122900

საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, მ. ბუზალაძე, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ პროგრამის დაფინანსების ფარგლებში გორის რაიონის სოფელ ტირძნისის საშუალო სკოლის ახალი ინდივიდუალური კომპლექსის (600 მოსწავლე ადგილი) აშენების მიზნით მ\წლის 5 აპრილს გამოცხადდა ტენდერი. ტენდერი ჩატარდა მ/წლის 1 მაისს. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს “მშენებელი“ და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

განცხადება

შპს „ ენგურჰესი“-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 14 აპრილის გაზეთ „24 საათში“ შპს „ენგურჰესისა“ და ფილიალ თაღოვანი კაშხლისათვის სპეც.ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დამცავი საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში პირველ ლოტზე გაიმარჯვა ინდ. მეწარმე “შალვენ ბაზიაშვილმა“, მე-2 ლოტზე შპს „დ და გ კომპანიამ“.

განცხადება

შპს „ ენგურჰესი“-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 14 აპრილის გაზეთ „24 საათში“ შპს „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხლის სიღრმული წყალსაგდების შემჭიდროების ელემენტების დასამაგრებელი საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს “რემენერგოდანადგარი-1“-მა.

განცხადება

შპს „ ენგურჰესი“-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 14 აპრილის გაზეთ „24 საათში“ შპს „ენგურჰესის“ სფერულ საკეტზე მომსახურების გაწევის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს “სპეცენერგორემონტმა“.

განცხადება

შპს „ ენგურჰესი“-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 11 აპრილის გაზეთ „24 საათში“ შპს „ენგურჰეს“-ზე 1T,4T,5T ძალოვან, დენისა და ძალოვან ტრანსფორმატორებზე მომსახურების გაწევის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ტრანფიბერ-სერვისმა“.

განცხადება

შპს „ ენგურჰესი“-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 31 მარტის გაზეთ „24 საათში“ შპს „ენგურჰესის“ ქ. ზუგდიდში საოფისე ფართისა და დას. საბერიოში სარელეო ფარის, ოპერატიული პერსონალის დასასვენებელი ოთახების კაპ.რემონტის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა კოოპერატიული საწარმო “სოფმშენკომპლექსმა“

განცხადება

შპს „ ენგურჰესი“-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 4 აპრილის გაზეთ „24 საათში“ შპს „ენგურჰესის“ 500კვ-ის სახაზო და 20კვ-ის საგენერატორო საჰაერო ამომრთველებზე მომსახურების გაწევის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს “საქენერგორემონტმა“.

განცხადება

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 3 ივლისის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მაისს გამოქვეყნებულ გრანიტის ფილების (მოკირწყვლის ქვები) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მაისს გამოქვეყნებულ გრანიტის ფილების (მოკირწყვლის ქვები) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს შემდეგი ზომები: 200X100X130 მ.მ; 100X100X130 მ.მ.

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მაისს გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ საპარკო სკამების, საბავშვო მოედნების ატრიბუტების და მათი დამონტაჟების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მაისს გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ საპარკო სკამების, საბავშვო მოედნების ატრიბუტების და მათი დამონტაჟების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილებები:

1. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათების „ა“ პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საპარკო სკამი (სხვადასხვა ტიპის, მინიმუმ 4 ადგილიანი, ადგილზე დამონტაჟებით) - 350 ცალი;
2. დაემატოს შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათებას შემდეგი პუნქტი:

ე) საპარკე ურნები (ნარჩენების შემკრები) - 200 ცალი.

ლაგოდეხის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის განცხადება

ლაგოდეხის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 31 მაისის №228 განკარგულების საფუძველზე აცხადებს ტენდერს ქ. ლაგოდეხის №1 საშუალო სკოლის შენობის კაპიტალურ შეკეთებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

№1 საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები დასრულებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2006 წლის 1 სექტემბრამდე. პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 ივლისს 12 საათამდე ლაგოდეხის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლის შემდეგ მისამართზე: ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. № 23-ში. დალუქული კონვერტები სატენდერო კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველ პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება 3 ივლისს 12 საათზე აღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

1. მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

2. მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

3. მით მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

4. მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო (იყვნენ) მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

5. ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

6. ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

7. ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი 3 ივლისს 12 საათამდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებასთან.

ტენდერში მონაწილე მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 (ორასი) ლარის ოდენობით საქართველოს სახალხო ბანკის ლაგოდეხის ფილიალში გახსნილ ანგარიშზე 1013033030001 ლაგოდეხის ბანკის კოდი 220101442.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (არა უგვიანეს 3 ივლისის 12 საათამდე) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. №23, სატენდერო კომისიის აპარატი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს:

899 31 99 21 - დიმიტრი კუტიბაშვილი;

899 94 16 83 - ეკატერინე გოგაშვილი.

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ პროგრამის დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლებში სარემონტო სამუშაოების ნაწილობრივი რეაბილიტაციის ჩატარების მიზნით მ\წლის 29 აპრილს გამოცხადდა ტენდერი. ტენდერი ჩატარდა მ/წლის 19 მაისს 18 ლოტში, გამოვლინდა გამარჯვებულები და დაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ლოტი	რაიონი/ქალაქი	სკოლის რაოდენობა	გამარჯვებული
I	რუსთავი	5 საჯარო სკოლა	შპს საქმექანომონტაჟსპეცმშენი
II	რუსთავი	5 საჯარო სკოლა	შპს ალგეთი
III	რუსთავი	5 საჯარო სკოლა	შპს ალგეთი
IV	რუსთავი	5 საჯარო სკოლა	შპს ალგეთი
V	რუსთავი	5 საჯარო სკოლა	შპს ალგეთი
VI	თელავი	6 საჯარო სკოლა	შპს ერ-თი-ჯი
VII	გორი	5 საჯარო სკოლა	შპს უნივერსალი
VIII	გორი	5 საჯარო სკოლა	შპს უნივერსალი
IX	ქუთაისი	5 საჯარო სკოლა	შპს ოდა
X	ქუთაისი	5 საჯარო სკოლა	სს სამშენებლო კომპანია თბილისი
XI	ქუთაისი	5 საჯარო სკოლა	სს სამშენებლო კომპანია თბილისი
XII	ქუთაისი	5 საჯარო სკოლა	შპს ოდა
XIII	ქუთაისი	6 საჯარო სკოლა	შპს ოდა
XIV	ქუთაისი	5 საჯარო სკოლა	სს სამშენებლო კომპანია თბილისი
XV	ქუთაისი	5 საჯარო სკოლა	სს სამშენებლო კომპანია თბილისი
XVI	ზუგდიდი	5 საჯარო სკოლა	შპს დასი
XVII	ზუგდიდი	5 საჯარო სკოლა	შპს დასი
XVIII	ახალციხე	5 საჯარო სკოლა	შპს დიქსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ პროგრამის დაფინანსების ფარგლებში თბილისის საჯარო სკოლებში სარემონტო სამუშაოების ნაწილობრივი რეაბილიტაციის ჩატარების მიზნით მ\წლის 19 აპრილს გამოცხადდა ტენდერი. ტენდერი ჩატარდა მ/წლის 10 მაისს 14 ლოტში, გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ლოტი	რაიონი	სკოლის რაოდენობა	გამარჯვებული
3	გლდანი-ნაძალადევი	9 საჯარო სკოლა	შპს ვიქტორია-ორიენტი
4	გლდანი-ნაძალადევი	7 საჯარო სკოლა	შპს გეოქოლორი
5	გლდანი-ნაძალადევი	9 საჯარო სკოლა	შპს ამა
6	გლდანი-ნაძალადევი	9 საჯარო სკოლა	შპს ალიანსი
9	ვაკე-საბურთალო	10 საჯარო სკოლა	შპს აისი (ს.ნ.204461171)
10	ვაკე-საბურთალო	10 საჯარო სკოლა	შპს რემმშენი
11	ისანი-სამგორი	8 საჯარო სკოლა	შპს ვიქტორია 2003
12	ისანი-სამგორი	8 საჯარო სკოლა	შპს ალიანსი
13	ისანი-სამგორი	7 საჯარო სკოლა	შპს ალიანსი

არშემდგარად გამოცხადდა:

1-ლი ლოტი - მთაწმინდა-კრწანისის რაიონი
მე-2 ლოტი - მთაწმინდა-კრწანისის რაიონი
მე-7 ლოტი - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი
მე-8 ლოტი - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროAპრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის, მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანის, ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიის, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის და გორის რაიონის სოფელ აძვის საჯარო სკოლების აშენების მიზნით, აგრეთვე, ქუთაისის N22, რუსთავის N5, სენაკის რაიონის სოფელ გეჯეთის და თბილისის N114 საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით ატარებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - 5 საჯარო სკოლის აშენება და 4 საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების
განხორციელება.

დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“.

ლოტი	რაიონი	სკოლის დასახელება	სამუშაოს დასრულების და ჩაბარების ვადა
I	ლანჩხუთი	სოფელ აცანის საჯარო სკოლა	4 თვე
II	მარნეული	სოფელ ხიხანის საჯარო სკოლა	7 თვე
III	ახალქალაქი	სოფელ კოთელიის საჯარო სკოლა	7 თვე
IV	ახალქალაქი	სოფელ ბურნაშეთის საჯარო სკოლა	4 თვე
V	გორი	სოფელ აძვის საჯარო სკოლა	4 თვე
VI	ქუთაისი	N22 საჯარო სკოლა	1 სექტემბრამდე
VII	რუსთავი	N5 საჯარო სკოლა	1 სექტემბრამდე
VIII	სენაკი	სოფელ გეჯეთის საჯარო სკოლა	1 სექტემბრამდე
IX	თბილისი	N114 საჯარო სკოლა	1 სექტემბრამდე

- სამუშაოს შესრულების ადგილი - საქართველოს საჯარო სკოლები.

პირობები:

- სამუშაო შესრულებული უნდა იქნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაცემული დეფექტური აქტებისა და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება მშენებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

შენიშვნა:

- სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას შესაძლებელია გარკვეული სამშენებლო მასალა მიწოდებულ იქნას დამკვეთის მიერ, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში;

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 29 ივნისის 1400 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 29 ივნისს 1400 საათზე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე სააქტო დარბაზში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა შსს);**

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **(ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);**

ე) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (**ცნობა სასამართლოდან);**

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (**ცნობა შსს).**

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

გ) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;

დ) ინფორმაცია მანქანა-დანადგარების შესახებ.

ე) ბოლო სამი წლის საწარმოს ბალანსი (**საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული**).

ვ) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ცხრილის მიხედვით (აღნიშნული ცხრილი დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართული, ოთახი N222).

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები - ერთიანი ანგარიში
მომსახურე ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000
ა/ა N 200122900
დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.
ორგანიზაციული კოდი: 2211.
ტენდერის დასახელება: საქართველოს 5 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება და 4 სკოლის სარემონტო სამუშაოები.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, ნ. ბოჭორიშვილი, მ. ბუზალაძე, მ. ფალიაშვილი, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა “იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ პროგრამის დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლებში სარემონტო სამუშაოების სრული რეაბილიტაციის ჩატარების მიზნით მ\წლის 17 აპრილს გამოცხადდა ტენდერი. ტენდერი ჩატარდა მ/წლის 8 მაისს 14 ლოტში, გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ლოტი	რაიონი/ქალაქი	სკოლის დასახელება	გამარჯვებული
1	ბოლნისი	№1 საჯარო სკოლა	შპს ამირანი (ს.ნ. 208153996)
2	დმანისი	№3 საჯარო სკოლა,	შპს ამირანი (ს.ნ. 208153996)
3	ჯარღაბანი	№1 საჯარო სკოლა	შპს ამირანი (ს.ნ. 208153996)
4	მარნეული	№3 საჯარო სკოლა	შპს ამირანი (ს.ნ. 208153996)
5	ახმეტის	№2 საჯარო სკოლა	შპს ერ-თი-ჯი
7	ტურჯაანი	№2 საჯარო სკოლა	შპს უნივერსალი
8	ტურჯაანი	ახაშენიის საჯარო სკოლა	შპს გაია და კომპანია
11	საგარეჯო	№1 საჯარო სკოლა	შპს გონი
13	თელავი	ქ. თელავის №1 სკოლა	შპს ერ-თი-ჯი
14	ყვარელი	№2 საჯარო სკოლა	შპს უნივერსალი
15	ერედვი ერედვი	ბერულას საჯარო სკოლა ერედვის საჯარო სკოლა	შპს მშენებელი
17	გორი	№3 საჯარო სკოლა	სამშენებლო ტრესტი №3
18	ქასპი	№2 საჯარო სკოლა	შპს ამაღლება-98
19	ქარელი	№1 საჯარო სკოლა	სს სამშენებლო ტრესტი №3
20	ქარელი	აყარას საჯარო სკოლა,	შპს მკ
21	ხაშური	№3 საჯარო სკოლა	სს სამშენებლო ტრესტი №3
22	ბაღდათი	№1 საჯარო სკოლა	შპს ლაგი
23	საჩხერე	№3 საჯარო სკოლა	შპს ამირანი (ს.ნ. 208153996)
24	სამგრედია	№11 საჯარო სკოლა	შპს ლაგი
25	ოურჯოლა	№1 საჯარო სკოლა	შპს მკ
26	ტყიბული	№1 საჯარო სკოლა	შპს მკ
27	ვანი	№1 საჯარო სკოლა	შპს ლაგი
28	ჭიათურა	№2 საჯარო სკოლა	შპს გაია და კომპანია
29	წყალტუბო	№1 საჯარო სკოლა	შპს გონი
30	ხარაგაული	ბორიოის საჯარო სკოლა	შპს მშენებელი
31	ხონი	№2 საჯარო სკოლა	შპს ლაგი
32	მესტიაფონი	№5 საჯარო სკოლა	შპს მკ
33	აბაშა	№1 საჯარო სკოლა	შპს ამაღლება-98
34	ჩხოროწყუ	№2 საჯარო სკოლა	შპს CITY WAY
35	ჩხოროწყუ	მუხურის საჯარო სკოლა	შპს CITY WAY
36	მარტვილი	№1 საჯარო სკოლა	შპს უნივერსალი
37	მესტია	№2 საჯარო სკოლა	შპს ანდო და კომპანია
38	სენაკი	№2 საჯარო სკოლა	სპს შამათავა და კომპანია
39	წალენჯიხა	№1 საჯარო სკოლა	შპს CITY WAY
40	ხობი	№1 საჯარო სკოლა	სპს შამათავა და კომპანია
42	ლანჩხუთი	№1 საჯარო სკოლა	შპს CITY WAY
43	ოზურგეთი	№2 საჯარო სკოლა	შპს ამაღლება-98
44	ჩოხატაური	№1 საჯარო სკოლა	შპს გონი
45	ამბროლაური	№2 საჯარო სკოლა	შპს ამაღლება-98
46	ცაგერი	№1 საჯარო სკოლა	შპს ამაღლება-98
48	ახალქალაქი ახალქალაქი	№1 საჯარო სკოლა №2 საჯარო სკოლა	შპს ამაღლება-98
49	ნინოწმინდა	№2 საჯარო სკოლა	შპს ამაღლება-98

არშემდგარად გამოცხადდა შემდეგი ლოტები:
მე-6 ლოტი - დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა;
მე-9 ლოტი - ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა;
მე-10 ლოტი - ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანის საჯარო სკოლა;
მე-12 ლოტი - სიღნაღის რაიონი სოფელ ბოდბისხევის საჯარო სკოლა;
მე-16 ლოტი - ქურთის თემი: აჩაბეთის საჯარო სკოლა, ქურთის საჯარო სკოლა,
ძარწემის საჯარო სკოლა;
41-ე ლოტი - ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა;
47-ე ლოტი - ასპინძის N1 საჯარო სკოლა..

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ა ც ხ ა დ ე ბ ს

ღია კონკურსს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დარჩენილი ვაკანსიების დასაკავებლად სამი წლის ვადით:

მიმართულების დასახელება	აკადემიური თანამდებობების რაოდენობა		
	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ-პროფესორი
– თბოფიზიკა	1	-	-
– სამრეწველო საწარმოთა ელექტრომომწყობილობები	-	-	0,5
– ციფრული კავშირის თეორია	2	2	3

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება (ფორმას გასცემს ფაკულტეტი);
- დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დიპლომის ასლი;
- ბოლო 15 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია,რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;
- ინფორმაცია ბოლონიის პროცესის შემადგენელი კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვის შესახებ (ხარისხის უზრუნველყოფა, შეფასების სისტემა და ა.შ.), ან ბოლონიის პროცესის შესაბამისად შედგენილი სასწავლო პროგრამა/სილაბუსი;
- კონკურსანტის ბოლო 15 წლის განმავლობაში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია: სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება; სამეცნიერო პუბლიკაციები; დისერტანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობა; სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში მოღვაწეობა; აკადემიების, სამეცნიერო საბჭოების, რედკოლეგიების, საექსპერტო კომისიების წევრობა;
- პირადობის მოწმობის ასლი.

განცხადებების მიღება განხორციელდეს პრესაში გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის საფაკულტეტო საარჩევნო კომისიას (მ.კოსტავას ქ. N77, VIII კორპუსი, ოთახი 408).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ⓒ გაზეთი 24 საათი

Weekend

შაბათ-კვირა, №7
10-11 ივნისი, 2006

მჭედელი 4

სტილი

5

შვიდნახადი

6

თეთრი არდილი

დედაქალაქი

სისადავის სიდიადე 8

დროთა კავშირი

მაინც რატომ შეიქმნეს ორლეანელი ქალწულისაგან გლეხის გოგო? 10



თამაში რომ დამთავრდა, სრული დეპრესია დამემართა - როგორ მინდა, ქართველებმაც ვიაროთ ასეთ თამაშებზე და ჩვენს გუნდს დავუჭიროთ მხარი...

2-3

არადა, გვყავდა ყიფიანი, გუცაევი, ჩივაძე...

დიმა ობოლაძე.

ზაზა ბასილაშვილის ფოტო

მაია ჭალაგანიძე

- ფინალში ვის ვიხილავთ?

- ბრაზილიას... მეორე არ მაინტერესებს, თუმცა, ჩემი აზრით, ჰოლანდია იქნება.

- მიდიხარ ფინალზე?

- გარკვეული პრობლემებია, დეტალებზე საუბარი არ ღირს, ჩვენ ვცდილობთ, რომ ფინალზე მოვხვდეთ. ბოლოს და ბოლოს, ეს არხის პრინციპის საკითხია. ჩემპიონთა ლიგის 7 ფინალზე ვიყავი, მსოფლიო ჩემპიონატზე კი არასოდეს ვყოფილვარ. მზად ვარ, თამაშის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ჩავიდე და მატჩის დამთავრებისთანავე უკან დავბრუნდე.

- შენი სპორტული გადაცემების რეიტინგების შესახებ რა იცი?

- რეიტინგებს არ ვეცნობი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ ვენდობი. გარდა ამისა, ვიცი, რომ ფეხბურთს თავისი მაყურებელი ჰყავს, რომლის რაოდენობაც თუ არ გაიზარდა, არაფრით არ მოიკლებს. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონატს ისიც უყურებს, ვინც საერთოდ არ უყურებს ფეხბურთს, მათ შორის - შენც.

ბაბუა

- ბაბუა, დიმიტრი ობოლაძე მთამსვლელი იყო. მისი დაარსებულია ყაზბეგში რომ მთამსვლელთა ცნობილი ბანაკია, ხდის ხეობისკენ. პიკების და მწვერვალების უმეტესობა მისი თაოსნობით არის დაპყრობილი.

- ეს რომელ წლებში ხდებოდა?

- აუ... წლები ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მაქვს ძალიან ბევრი მასალა, ძველ მთამსვლელთა ჩანაწერებით სავსე, გაყვითლებული ფურცლები. მინდა, რომ წიგნის მაგვარი რამ გავაკეთო.

რომ წაიკითხო ეს ჩანაწერები, გაგიჟდები, რადგან ამ მთების, მასივების, სოფლებისა და დაბების ბევრი სახელებია შეცვლილი რუსული ზეგავლენით.

- რომელიმეს ხომ ვერ გაიხსენებდი?

- ვერა. დაწერე, რა ვქნა?! ამ წუთში ვერაფერს გავიხსენებ, რადგან მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ.

სადაც მივდივარ, ყველგან მისი სახელი მხვდება. ბაბუა 77 წლის ასაკში ავიდა მყინვარწვერზე, ცალი თვალით ვერ ხედავდა. ვეძისში საკუთარი სახლი გვქონდა და პრაქტიკულად იქ ვიზრდებოდი. სულ ჯაჯღანებდა, ჩხუბობდა, ეს ჩვენ, ობოლაძეებს გვახასიათებს. 80 წელს იყო მიღწეული, დამიძახებდა, თითს მოლუნავდა და გამისწორეო მეტყოდა, ვერ ვახერხებდი, ისე იყო დაკუნთული.



დაახლოებით, 10 წლის წინ აილამაში, ბანაკში ავედი. მოვიდა ვიღაც ბიჭი და მითხრა, დირექტორი გეძახისო (დირექტორი გვარად მჭედლიძე იყო). კედელზე ჩამოკიდებულ ბაბუაჩემის სურათზე მკითხა, ეს კაცი ვინ არისო. მეც ვუთხარი, ბაბუაა-მეთქი. სიარულზე გიცანი, რომ მიდიოდი, ვიფიქრე, ძია მიტო ხო არ არისო...

მეორე ბაბუაც მყავდა, მიტოს ძმა, უშანგი ობოლაძე, განათლების მინისტრი იყო.

- ის, ალბათ, სულ გიჩიჩინებდა, ისწავლეო.

- ჰო, აბა... სულ.

- როგორც ჩანს, მიტო ბაბუას დაუჯერე...

- ორივესაც დავუჯერე. რაც საჭიროა, ვიცი და თუ რამე დამჭირდება, იმასაც ვისწავლი.

ძალიან შავი, სწრაფი მეტყველებით

- ასე მახსოვს, "ალიონში" რომ იწყებდი მუშაობას, ამბობდნენ, ძალიან შავია და ჩქარა ლაპარაკობსო...

- ეს შენგან მესმის პირველად. სულ პირველად "ალიონში" სულხან მელაძემ და თამრიკო ცაგარეიშვილმა დამიძახეს. ისეთი რამ არსად არც გამიგია და ალბათ, მანამდე არც არავის დამართნია. ხუთშაბათს დამიძახეს და პარასკევს პირდაპირ ეთერში უნდა დაჯდეო, მითხრეს.

მანამდე რადიოში, "პიკის საათში" ვიყავი, მეორე არხზე ვაკეთებდი სპორტულ გადაცემას. ეს იყო სპორტული საინფორმაციო გადაცემის პირველი მცდელობა. ხარისხის რა მოგახსენო, მაგრამ, იმ პირობებში მართლა რთული იყო კვირაში სამჯერ ამის გაკეთება. ლაშა დვალიშვილი მუშაობდა ჩემთან. კასტინგზე მოვიდა სურათით, ის უნდა გამხდარიყო, რომ აცხადებდნენ "13 საათსა და 45 წუთზე..." მოვკიდე ხელი და ჩემთან წავიყვანე. მაშინ იქ მუშაობდნენ მამუკა კვარაცხელია, სოსო კოტორეიშვილი, რომელიც საბოლოოდ "სარბიელის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა. სპორტზე ყველა უზომოდ იყო შეყვარებული.

მოგვიანებით, "ალიონში" გარკვეული პრობლემები შემექმნა და არა მხოლოდ სიშავისა და ჩქარი ლაპარაკის გამო. ჩემს წინა თაობის ხალხი აღშფოთდა, ეს ვინ არის, საიდან მოიყვანეთო. ასე რომ, ცოტა ხანში ეთერიდან მომხსნეს, მაგრამ ისევ დავბრუნდი და საკმაოდ დიდხანს დავრჩი.

სიმართლე უნდა ვთქვა, რომ თუკი დღეს რამეს წარმოვადგენ, ეს "რუსთავი 2"-ში გაკეთდა. მაგრამ, რადიომაც დიდი გამოცდილება შემძინა და, გაზეთებმაც. თავიდან "სარბიელში", ზურაბ ფიოცხვერიასთან დავიწყე... მახსოვს, ხორვატი კალათბურთელი იყო ერთი ტონი კუკოჩი. მისი სურათის შოვნაზე სამდღიანი ძებნა იყო გამოცხადებული. ჟურნალ "სპორტავეცში" ვიპოვეთ რაღაც პატარა სურათი და პირველი სტატიასავით იქ დავწერე. ამ გაზეთმა ბევრი რამ მომცა - ირაკლი ბერიაშვილთან, გუჯა ბერიშვილთან და სხვებთან ერთად ყოფნაც და მოსმენაც უკვე რაღაცას გასწავლიდა.

- ახლა შენ ამ სფეროში ბებერი ხარ?

- ვინ?! რა დავბერდი, ყოველ დღე კილომეტრებს დავრბივარ.

- ახალი თაობის სპორტულ ჟურნალისტებზე რას ფიქრობ?

- პირი აქვთ შეკრული თუ რა, აბსოლუტურად ყველა სპორტულ გაზეთში, ერთნაირი ინფორმაციები და მასალები იბეჭდება. აბსოლუტურად ყველგან აქცენტი გაკეთებულია ტოტალიზატორის კუშებზე და მკითხველის ინტერესი, ცოტა არ იყოს, დავიწყებულია. ისეთ რეჟიმში ვარ, ძალიან მიჭირს თვალყურის დევნება, მაგრამ ძალიან რომ მომრავლდა, ეს ფაქტია. ეს ცუდი ალბათ, არ არის, მაგრამ რაღაც კრიტერიუმები უნდა იყოს, რადგან ხანდახან ზღვარს გადასული, გადაუმოწმებელი ინფორმაციებია. მხოლოდ იმის გამო, რომ გაზეთი გაიყიდოს, პირველ გვერდზე ქინქლაძის დამანჭულ სურათებს ბეჭდავენ და წერენ, რომ თურმე ინგლისში დაჭრეს და სხვა... კონკრეტულად არ ვიტყვი, სად და როდის დაიბეჭდა.

მეორე მხრივ, ძალიან კარგია, რომ ასეთი დიდი ინტერესი არსებობს.

- სპორტულ ჟურნალისტებს გახსიათებთ ფედერაციებთან უკრიტიკო დამოკიდებულება, რატომ?

- არ არის ეს კარგი და თუ ვლაპარაკობთ, ვიტყვი - ბევრ ჟურნალისტს, რომელთა შორის ჩემი ნაცნობ-მეგობრებიც არიან, ანგარებიანი დამოკიდებულება აქვთ. თუ ფედერაცია ჩარტერულ რეისში ჩასვამს და ტურნირებზე წაიყვანს, ამ ფედერაციისადმი მაშინვე შერბილებული პოზიციები უჩნდებათ.

- შენ ამ ჩარტერში არასდროს მოხვედრილხარ?

- არასდროს და არავის არ წავყოლივარ. შემოთავაზება ბევრჯერ მქონდა, მაგრამ არ ვაკეთებ, რადგან არ მინდა, რაიმეზე ვიყო დამოკიდებული.

მეორე მომენტია, რამდენად მწვავედ სვამ ეთერში და საერთოდ, მედიაში პრობლემებს. გააჩნია, რაზე ლაპარაკობ - წინა ფედერაციას კი გადაუარეს, მაგრამ, კაცს რომ ფეხი დაუცდება და მერე გადაუვლი, ამას დიდი გამბედაობა არ ჭირდება. მეორეც არის - ფედერაციები დიალოგზე არ მოდიან, არ უნდათ სხვისი აზრის გათვალისწინება.

- ფედერაციებშიც ისეა, როგორც მთავრობაში?

- აბსოლუტური მოდელია.

ქართული ფეხბურთის მთავარი პრობლემა

- პირველ რიგში ვითარება, რაც ქვეყანაში იყო და არის.

- რაგბიც ხომ ამ ქვეყანაში და ამ გარემოშია?

- კატეგორიულად მინდა დავსვა შეკითხვა - რატომ არ აქცევს არავინ რაგბს ყურადღებას?!



ნებისმიერ ფეხბურთელს რომ დაელაპარაკო, ყველა პატრიოტია, საქართველოს ნაკრების მაისურის ფასი ყველამ იცის, მაგრამ მთლიანობაში გუნდიდან ეს არასდროს არ იგრძნობა.

მორაგბეები, თამაშის სპეციფიკიდან გამომდინარეც, სხვანაირი ხალხია, სხვა კატეგორიაა. იქ სულ ბრძოლაში ხარ, სულ ჩხუბობ. ეს ჩანს, მაყურებელი ამას ხედავს.

13 წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ უცხოელ მწვრთნელზე. ბევრმა ქართველმა მწვრთნელმა ძალიან ნორმალურად იმუშავა - ძოძუაშვილმა, ყიფიანმა, ჩივაძემ, მაგრამ შინაურ მღვდელს რომ შენდობა არ აქვს, ისე გამოვიდა - ამ ხალხს ყველამ "გადაუარა".

შიდა ჩემპიონატზე რომ ბალახი არ არის და ბურთი უდროო დროს ხტუნაობს, ფეხბურთის თამაშს იქ ვერავის ასწავლი. ეროვნული ჩემპიონატებზე ტრიბუნები ცარიელია. სხვათა შორის, არც რაგბზე დადის ხალხი, სულ სხვა პრობლემები აქვთ გადასაჭრელი.

მალე საფრანგეთიდან ძალიან მაღალი დონის გუნდი ჩამოდის. ბილეთის ქვედა ზღვარი, თუ არ ვცდები, 30 ლარია. ხალხი ამ ფულს გადაიხდის და სტადიონზე წავა. თუ საკუთარ მოედანზე 5:0 წავაგეთ, შემდეგ თამაშზე აღარავინ წავა.

დღეს საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის ბუმია, სკოლებში ნელ-ნელა სიტუაცია ლაგდება, მაგრამ ამავე დროს, არის საფეხბურთო სკოლები, რომელთაც მხოლოდ შემოღობილი მინდორი აქვთ და სხვა არაფერი. ეს ფედერაციამ უნდა დაარეგულიროს. 35-ე სკოლაში, ანდა, სპორტსკოლა "ოლიმპში" აბსოლუტურად ყველაფერია - სტრატეგია, პოლიტიკა, სტადიონი, აუზი, სასადილო, სკოლა, მასწავლებლები.

დიდი საქმე გაკეთდა და მწვრთნელად ტოპმიოლერი ჩამოვიდა, მაგრამ ეს არ არის ფედერაციის ინიციატივით გაკეთებული - ეს იყო მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად გაამართლებს, რადგან ვინც რა უნდა თქვას, ასეთი მწვრთნელი ჩვენ არ გვყოლია.

ჩვენს ნაკრებში იყო "დედოვშჩინა" და ეს დასამალი არ არის. ახლა რა ხდება, ვერ გეტყვი. ამას ტოპმიოლერი გუნდში ნამდვილად არ დაუშვებს, მაგრამ გარეთ რა ურთიერთობა ექნებათ, ვერ გეტყვი. მე დღესაც ვერ ვგრძნობ, რომ ნაკრები ერთ მუშტად არის შეკრული.

რა ხდება ქართულ კლუბებში, წარმოდგენა არ მაქვს. საკლუბო სეზონს ათასში ერთხელ ვუყურებ. თუმცა, პროფლიგა მუშაობს, ეს ხალხი საქმეს აკეთებს. ელემენტარულით დაიწყეს - ბანერებით, პრესლოჟებით, რადგან ესეც არ იყო. რეგიონებში მინდორი არ არის, გასახდელებში ვერ შეხვალ... მაგრამ, საერთო ფონზე საქმე მაინც კეთდება.

ეროვნულ ჩემპიონატზე მონაწილე ფეხბურთელისთვის რთულია, იყოს ნაკრების წევრი, რადგან ჩემპიონატის დონე დაბალია და ფეხბურთელებს, ლეგიონერებისგან განსხვავებით, ნორმალური მინდორი არც უნახავთ. ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელების გარეშე ნაკრები ვერაფერს ვერ მიაღწევს, ამაში დარწმუნებული ვარ.

წლევანდელი ტალანტები და ვუნდერკინდები

- ეს ჩემპიონატი, წესით, რონალდინიოსი უნდა იყოს. 23 წლის ბიჭს ამხელა ტვირთი დააწვა. რონალდინიოს კი მარტო მინდორზე გასვლა და ბურთის თამაში უყვარს, სხვა არაფერი აინტერესებს. ძალიან მაგარია და მარადონასავით ამასაც ღმერთისგან მომადლებული ტალანტი აქვს. ეს ჩემპიონატი უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელების იქნება - პატარა ვუნდერკინდი არგენტინელი მესი, 18 წლისაა და თუ ამ ყველაფერს ფსიქოლოგიურად გაუძლო, ძალიან მაგრად ითამაშებს. ინგლისის ნაკრებში არის რუმი, რომელიც სრული შეშლილია. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რომელიმე ბებერმა, მაგალითად ზიდანმა, კარი გაიჯახუნოს - ის მიდის. ან, რონალდომ ითამაშოს ძალიან კარგად... ამ ფეხბურთელების ჩამოწერა არ შეიძლება და ვინც ამბობს, რომ ესენი ვეღარ ითამაშებენ, იმას საგანი არ ესმის.

- რატომ არის ქართველ გულშემკატკივართა უმრავლესობა შეშლილი ბრაზილიაზე?

- მეც ასე ვარ. რაც გონს მოვედი, ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ. ამის ახსნა შორს წაგვიყვანს. როგორც მაყურებელს, მომწონს მათი ფეხბურთი, პრაგმატული ფეხბურთი არ მიზიდავს. ყველაფერს აქვს გავლენა - ფორმის ფერს, სახის გამომეტყველებას, ემოციას, ტემპერამენტს. ბევრი ამ ბოლო დროს შემოეტმასნა ბრაზილიის გულშემატკივრებს იმიტომ, რომ ექვსგზის (მგონი, ენამ მიყივლა), ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია და დღესაც ყველაზე მაგარია.

არგენტინასაც ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ქართველ ქალბატონებს იტალია იზიდავთ - მილანი, კალაძე, ვერსაჩე, არმანი...

რონალდინიო საუკეთესო ფეხბურთელად რომ აღიარეს, დაჯილდოვებაზე კოსტიუმში და ჰალსტუხში იყო გამოწყობილი, ისე უხერხულად გრძნობდა თავს, დარწმუნებული ვარ, გასახდელამდეც არ მივიდოდა, იქვე გაიხდიდა ამ ტანსაცმელს. მას მოედანზე გასვლა და ფეხბურთის თამაში უნდა, სხვა - არაფერი.

- შენ რა გინდა ისე, როგორც რონალდინიოს ფეხბურთის თამაში?

- ბრაზილიასაც ფეხებზე დავიკიდებდი და ყველასაც, ჩვენი ნაკრები რომ იქ იყოს და დარწმუნებული ვარ, ყველა ასე იქნებოდა. ეს ძალიან მტკივნეულია ჩემთვის. ნაკრების თამაში რომ მიმყავს (5-6 თამაში მყავს წაყვანილი), იმის მერე 2-3 დღეს გონს ვერ მოვდივარ. რუსეთთან თამაშისას მეცხრე წუთზე ჩამეხლიჩა ხმა, მაშინ, ასათიანმა რომ გოლი გაიტანა. ეს აბსოლუტურად სხვა რაღაცაა და მთელი ერისთვის დიდი გულისტკივილია, როდესაც შენი გუნდი 6:2, 5:1 აგებს... შეურაცხმყოფელია ძალიან. შენს სტადიონზე თამაშობ და ბერძნები და თურქები გიგებენ დიდი ანგარიშით. არადა, იცი, რომ შეგიძლია, იცი, რომ ტრადიცია გაქვს, იცი, რომ ყიფიანი გყავდა, გუცაევი, ჩივაძე გყავდა... განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, რომ ამდენი წელი დაიკარგა.

- წინა მსოფლიო ჩემპიონატზე სენეგალმა მოუგო საფრანგეთს. ასეთი სიურპრიზებს წელსაც ელი?

- მაშინ მოქმედმა ჩემპიონმა, საფრანგეთმა 1 ქულა აიღო 4 თამაშში... მოულოდნელობებს არ გამოვრიცხავ, რადგან თამაში ყველამ ისწავლა და არ გამოვრიცხავ, რომ საფრანგეთმა თამაში ტოგოსაც ვერ მოუგოს. ან გერმანიამ კოსტარიკასთან წააგოს.

- ტოტალიზატორში თამაშობ?

- არასოდეს არ მითამაშია. გაბრაზდებიან ალბათ, მარამ მიმაჩნია, რომ ტოტალიზატორი ფეხბურთს ბევრ რამეს უკარგავს. ბევრი ინტერნეტით იგებს ანგარიშებს და საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება მოედანზე.

- სამაგიეროდ, ტოტალიზატორი ფეხბურთს ამდიდრებს.

- ფეხბურთს ფული ისედაც არ აკლია.

პრესა და ჩემპიონატი

- ყველაფერი აწყობილია, აბსოლუტურად ყველაფერი - ინტერნეტი, ფაქსი, ტელეფონი, ცხოვრება, კვება - შეგიძლია შორტებით წახვიდე. კომენტატორის ჩახუთული კაბინა არ არსებობს, ყველაფერი ღიაა, უშუალო სიტუაციაა. ყველა გავიცანი, ჟურნალისტების ერთი და იგივე შემადგენლობა დადის.

ამ ჩემპიონთა ლიგაზე პრესლოჟაში ორი ადგილი მქონდა - ჩემთვის და ოპერატორისთვის, მაგრამ, ის მინდორთან მუშაობდა და ჩემს გვერდით სკამი თავისუფალი იყო. ორი ტიპი ამოვიდა, იდგნენ და უყურებდნენ თამაშს. მათ ადგილები აღარ ჰქონდათ. სანამ არ ვანიშნე, შეგიძლიათ ჩემს გვერდით დასხდეთ-მეთქი, იდგნენ და უყურებდნენ. იქ ნება თუ არ დართე, არ არსებობს, შენს ადგილზე ვინმე დაჯდეს. თურმე, არ უნდა დამესვა, იმიტომ, რომ მთელი თამაშის განმავლობაში იდაყვს მირტყამდა ნეკნებში... ბოლოს მეც ვურტყამდი. ეს იყო ესპანელი, რომელიც გულშემატკივრობდა "არსენალს" და არა "ბარსელონას", რადგან ბილბაოს გულშემატკივარი იყო და "ბარსელონას" ვერ იტანდა.

ერთხელ, პრესლოჟასთან ჭაღარა ცოლ-ქმარი ამოვიდა, დიდი ჩანთა ეჭირათ. ეტყობოდათ, პენსიით რომ ტკბებოდნენ, იმით, რაზეც საქართველოში ყველა ოცნებობს. გერმანელები იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ ფინალში გერმანიის გუნდი არ იყო, ნაკრების მაისურები მაინც ეცვათ. ამ კაცმა მკითხა, რომელი რომელი გუნდიაო, მერე შემადგენლობები მოითხოვა და მივეცი, მერე მითხრა, შორს კარგად ვერ ვხედავთო და მონიტორი მივუტრიალე. ხუთ წუთში მომიბრახუნა და "ჰეინეკენის" 3 ლიტრიანი, ონკანიანი ბოცა მაჩუქა... მოკლედ, კარგი სიტუაციაა.

- ვინმეს თუ გაუზომია მსოფლიო ჩემპიონატებზე რამდენი ადრენალინი ტრიალებს ჰაერში?

- ეგ არ ვიცი, მაგრამ ვინმეს რომ გაეზომა, პიკი სტამბულში იქნებოდა, "მილანი"-"ლივერპულის" თამაშზე. ვერ აღვწერ, იქ რა ხდებოდა. იქნებ გახსოვდეს, "ლივერპული" 3:0 აგებდა. ინგლისელებს 5 წუთიანი აბსოლუტური შოკი ჰქონდათ, თავჩაღუნულები ისხდნენ. გუნდმა მოგება რომ დაიწყო, სტადიონმაც ნელ-ნელა დაიწყო გუგუნი, მერე აგორდა, აგორდა.... სტადიონის გარეთ 20 000 უბილეთო ინგლისელი გულშემატკივარი იდგა. ნანახი თუ არ გაქვს, იმის მოყოლა შეუძლებელია, რაც იქ ხდებოდა, ეს იყო გულშემატკივრობის პიკი. იტალიის ტრიბუნებზე ორჯერ სასწრაფოც კი მივიდა, ისეთი შოკი იყო მათთვის წაგება.

თამაში რომ დამთავრდა, სრული დეპრესია დამემართა - როგორ მინდა, ჩვენც, ქართველებმაც ვიაროთ ასეთ თამაშებზე და ჩვენს გუნდს დავუჭიროთ მხარი...

მჭედელი

კახა ზარნაძის ჯადოსნური სახელოსნო

გიორგი ბებიაშვილის ფოტოები

ია ვეკუა

ღვინოს იმ ქვეყანაში წურავენ, სადაც ვენახი იზრდება, რკინას კი იქ ამუშავებენ, სადაც მადანია. კახა ზარნაძე, სწორედ, ასეთ ქვეყანაში დაიბადა - კახა ზარნაძე ქართველი მჭედელია.

კახა ზარნაძემ ფოლადის ენა იცის, რკინაზე უროს დარტყმის ხმაზე ხვდება მისი ნაკეთობა მზად არის თუ კიდევ სჭირდება დაწურვა. მან ამ ენის ცოდნა მემკვიდრეობით მიიღო - იგი მჭედელთა მეხუთე თაობის წარმომადგენელია. სახელოსნოში დღემდე ინახავს ბაბუის მიერ გამოჭედილ ნალს, თუმცა თავად ნალებს არ ჭედავს და "ცივ" იარაღთან ამჯობინებს ურთიერთობას. მათი ჭედვის ხელობა კი საქართველოს ისტორიის ბრინჯაოს ხანიდან "ისწავლა". ეს ეპოქა ზარნაძისთვის ერთგვარ მუზად იქცა.

"ეს პერიოდი ჩვენი ისტორიისა და კულტურის ის ნაწილია, რომელსაც თანამედროვე ხელოვანები თუ ოსტატები საკუთარ შემოქმედებაში ნაკლებად იყენებენ. იმ დროს სრულიად განსხვავებული პლასტიკა, განწყობა და ხელწერა ახასიათებს. ამ ეპოქის შესაბამისად რომ იმუშაო, "ბრინჯაოსხანელი" უნდა გახდე" - კახა ზარნაძე "ბრინჯაოსხანელი" დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა - შეისწავლა არა მხოლოდ ხელობა, არამედ წარმართული ღვთაებები და გაეცნო რიტუალებს. **"ამ ყველაფერის შესწავლამ კიდევ უფრო გამაქართველა, უფრო მეტად შევიგრძენი ჩემი ქვეყნის დიდებულება"**.

კახა ზარნაძის სახელოსნო თბილისის ძველ უბანში, სასულიერო სემინარიის უკანა ეზოშია განთავსებული. სახელოსნოში ორი ოთახია. პირველის კარი ნებისმიერისთვის ღიაა - აქ მჭედელი მუშაობს და სტუმრებს იღებს, მეორეში შესვლა კი მხოლოდ მამაკაცებისთვისაა ნებადართული - **"ეს ჯადოქრობისთვის განკუთვნილი ოთახია, ქალებს იქ არაფერი ესაქმებათ"!** გამონაკლისი არავისთვის არ არსებობს, ზარნაძე ნებისმიერი თხოვნის მიმართ შეუვალია.

"ნებისმიერი ჯადოქრული რიტუალი დღემდე იმავე წესების დაცვით ტარდება, როგორც ათასწლეულების წინ, რადგან ეს რიტუალი ის განსაკუთრებული ქმედებაა, რომელმაც კონკრეტული მოვლენა უნდა გამოიწვიოს. ასეა მჭედლობაც - ჭედვა ჯადოქრობასავითაა, მცირედი გადახვევაც კი განსხვავებულ შედეგს მოიტანს". კახა ზარნაძე ყველანაირად ცდილობს, საკუთარ ხელობას ავთენტურობა შეუნარჩუნოს. იყენებს იმ ტექნოლოგიას და ინსტრუმენტებს, რომლითაც მისი წინაპრები მუშაობდნენ: იგივე ურო, გრდემლი, ქურა, ოფლი... თუმცა "აღიარებს", რომ სახელოსნოში ჭრაქის განათების ნაცვლად, ელექტროგაყვანილობა აქვს და სალესი ქვაც ძრავით მუშაობს. **"არადა, ჭრაქით განათებული გახურებული მეტალის ფერის მიხედვით ძალიან ადვილი მისახვედრია, რკინა მზად არის თუ კიდევ სჭირდება დაწურვა".**

თუმცა რკინის მზაობის მისახვედრად მეორე გზაც არსებობს - ეს მეტალის ხმაა.

"ბავშვის დაბადებას მაშინ ვიგებთ, როდესაც ტირილს იწყებს. რაც უფრო ხმამაღლა ტირის ბავშვი, მით უფრო ჯანმრთელია. ხმალიც თავისი ხმით იცნობა - მჟღერი და ხანგრძლივი ხმა მის ხარისხზე მეტყველებს". კახა ზარნაძეს ხარისხიანი იარაღის სამი დამახასიათებელი ნიშანი აქვს განსაზღვრული: ჟღერადობა, დრეკადობა და ჭრადობა. ამაყობს იმით, რასაც ქმნის, ამაყია მაშინაც, როდესაც საკუთარი მოსწავლეების ნამუშევარს ხედავს. **"ბაბუაჩემი ხშირად მეუბნებოდა, ამ ქვეყანაზე ისე უნდა იარო, რომ შენს კვალში სხვამ ფეხი თავისუფლად ჩადგასო."** მისი ნაკვალევი ნებისმიერი მსურველისთვის საკმარისია, თუმცა...

იმისთვის რომ კახა ზარნაძის შეგირდი გახდეთ, რამდენიმე პირობის შესრულებაა აუცილებელი: დაუზარელი შრომა, მცირედ დეტალზეც ხანგრძლივი და გულისხმიერად მუშობის უნარი, სამშობლოს ეთნოგრაფიისა, ისტორიის ასევე ჭედვასთან დაკავშირებული ტრადიციების ცოდნა და სულიერი განწყობა - მჭედელი ფიქრობს, რომ სულიერების გარეშე ნებისმიერი შრომა ფუჭი და უსარგებლოა. კახა ზარნაძე თავს ოსტატად არ მიიჩნევს და ამბობს, რომ თავად გამუდმებით ძიებაში მყოფი შეგირდია. მასთან ხელობის შესწავლის მსურველს მხოლოდ ერთ არჩევანს სთავაზობს: შეგირდმა სწორედ ის გზა უნდა გაიაროს, რომელიც ოდესღაც თავად აირჩია.

"ოდესღაც მეც ვიღაცის მოსწავლე ვიყავი. ყურადღებით ვუგდებდი ყურს მის დარიგებებს, რჩევებს, მითითებებს. სხვანაირად არ შეიძლებოდა, მე მჭედელი ზარნაძეების მეხუთე თაობის წარმომადგენელი ვარ! ბაბუა ცნობილი მჭედელი იყო, ნალებს აკეთებდა - კომუნისტების დროს იარღის გამოჭედვის უფლებას ვინ მისცემდა! თუმცა მამა იგონებს ხოლმე, ვიდრე გააკულაკებდნენ, სარდაფში მის მიერ გამოჭედილი ასობით ხმალი, ხანჯალი თუ დანა ინახებოდა".

დღეს მჭედელ ზარნაძეებს აღარავინ გააკულაკებს, თუმცა რამდენიმე თვის წინ დაახლოებით მსგავსი რამ შეემთხვათ. 15 იანვარს, ბედობის ღამეს, კახა ზარნაძის სახელოსნო, რომელიც ათობით ოჯახით დასახლებულ ეზოშია განთავსებული, გაქურდეს. მძარცველებმა გამოფენისთვის მომზადებული უამრავი ნამუშევარი: იარაღი, სამკაულები, ქამრები, აგრეთვე სამუშაო მასალა, ძვირფასი ლითონები და ინსტრუმენტები წაიღეს. ამჟამად სახელოსნოში მხოლოდ ექვსი ნამუშევარიღა დარჩა. თითოეულ მათგანს სიცოცხლის უკანასკნელი წუთებივით უფრთხილდება - შალითიდან ამოალაგებს, ხანჯლებს ქარქაშიდან ამოიღებს, მათ ბასრ პირს მიეფერება და უკან ინახავს. **"არ მგონია, რომ ეს ქურდობა სულით ქართველს ჩაედინა. ამას ვერასდროს დავივჯერებ!"**

კახა ზარნაძე ამჟამად ახალ პროექტზე მუშაობს. ამზადებს კატალოგს, რომელშიც ქვის ხანიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში არსებული ყველა ბასრი იარაღის, სამკაულისა თუ მეტალისგან დამზადებული ნივთების ფოტო და მოკლე აღწერილობა გაერთიანდება. კატალოგში სხვა ერების მჭედლობის ნიმუშებსაც შეიტანს, რათა მათი და ქართული ნამუშევრების შედარების საშუალება არსებობდეს. უკვე მზად აქვს 1800-მდე კადრი.

მანამდე კი თავის ჯადოსნურ სახელოსნოში ქურას გაახურებს და დანაკარგს აინაზღაურებს - **"მე ის მჭედელი ვარ, რომელსაც საკუთარი ნამუშევრის არასდროს შერცხვება"**.

სკამი

ნატა ჯანგერიძე
სტუდია "ROOM'S"-ის დიზაინერი

სკამის თემა დიზაინის სფეროში ყოველთვის იყო და არის აქტუალური. ყოველდღიურ ცხოვრებაში, სკამს ყველაზე მეტ ექსპლუატაციას ვუწევთ.

დიზაინერი Verner Panton ფირმისთვის THONET.

დიზაინერი Arne Jacobsen ფირმისთვის FRITZ HANSEN

დიზაინერი Verner Panton ფირმისთვის VITRA.

ამიტომ, კარგი სკამის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის უნდა უძლებდეს ადამიანის წონას, ფუნქციურად და ვიზუალურად შეესაბამებოდეს ინტერიერს და უბრალოდ, უნდა იყოს კარგი სკამი, რომელიც კარგ მაგიდასაც მოუხდება.

სკამის თემაზე თითქმის ყველა არქიტექტორს და ავეჯის დიზაინერს აქვს ნაფიქრი. გამოგონილია ძალიან ბევრი საავტორო სკამი, რომელთაც სერიულად უშვებენ. არქიტექტორები "კარგი სკამით" განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისში დაინტერესდნენ. ამ პერიოდში შექმნილი სკამი გამოირჩეოდა ფორმის ორიგინალურობით და მასალის მრავალფეროვნებით. ცნობილ ფინელ არქიტექტორს ალვარ აალტოს სწორედ სკამის დიზაინმა მოუტანა მსოფლიო აღიარება. აალტომ იდეალური სკამის შესაქმნელად "ფანერა" და ლამინირებული ხე აირჩია. გაეცნო ამ მასალის ტექნიკურ მხარეს, შეისწავლა "ფანერის" მოღუნვის და დაშაბლონების ხერხები, შექმნა კომფორტული, დღეისთვისაც ელეგანტური და ფუნქციონალური დიზაინი, რომელმაც წარმატება მოუტანა. მან მეუღლესთან ერთად დააარსა კომპანია Artek, რომელიც ახლაც მოდერნული ავეჯის საწარმოა. 1920-30-იან წლებში დიზაინერებმა აითვისეს მეტალის კარკასული ავეჯი. გამოიგონეს ქრომირებულ გრეხილ მილებზე დაყრდნობილი სკამები. ასეთი სკამის ოფიციალურ გამომგონებლად ითვლება მარსელ ბროიერი, რომელმაც შექმნა ცნობილი სკამის WASSILI -ის დიზაინი. მან ოდნავ დაასწრო კლასიკოსებს. ბროიერმა, ფაქტიურად, გადაწყვიტა სერიული წარმოების საკითხი - მისი სკამი იაფი და ტექნოლოგიური იყო. იგი თანამშრომლობდა ფირმა Thonet-თან, რომელიც ცნობილია როგორც "ვენური", ანუ გრეხილი ხის სკამების საწარმო. თონეტმა ბროიერისგან გრეხილი მეტალის მილების წარმოების უფლება შეიძინა. გააერთიანა გრეხილი ხე და მეტალი, დაამზადა სკამები, რომლებიც დღესაც ცნობადია. თონეტთან ბევრი ნიჭიერი დიზაინერი თანამშრომლობდა. სკანდინავიელი არქიტექტორები ვერნერ პანტონი და ერო აარნიო 60-იანი წლების მასალით - პლასტიკატით ექსპერიმენტებს ატარებდნენ. მათი სკამები გამოირჩეოდა უჩვეულო ფორმით და ფერებით.

დიზაინერი Alvar AAlto ფირმისთვის ARTEK.

Wassili-chair. დიზაინერი Marcel Brauer.



დიზაინერი Poul Kjarholm ფირმისთვის FRITZ HANSEN.

დიზაინერი Grete Jalk.

დიზაინერი Alvar AAlto

იმ დროს ძალიან აქტუალური იყო რაიმე ახალის გამოგონება, შემდეგ პატენტის აღება, უფლების გაყიდვა-გამოსყიდვა. განვითარებული იყო წარმოებაც. მოკლედ, მთელი ამბავი იყო ტექნოლოგიების ათვისება და სხვადასხვა ვარიანტების შექმნა. განვითარებად ქვეყნებში ახლაც ასეა, მით უმეტეს, რომ დღევანდელი დიზაინი ბევრად ინდუსტრიულია, თანაც ახალი იდეებისთვის ამდენი გენიოსის ნაფიქრი არსებობს საფუძვლად.

და ბოლოს - რისთვის გიამბეთ თუ როგორი მნიშვნელოვანია სკამი დიზაინის განვითარებისთვის. თბილისში კარგ სკამს ვერ იყიდი, ძალიან მცირე არჩევანია. შეიძლება იშოვნო "ნორმალური" სკამი, მაგრამ ისიც დიდი რაოდენობით არ ექნებათ ადგილზე და ფასიც მაღალი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სკამის საწარმო ფუნქციონირებს, ინდივიდუალური დიზაინის სკამს ვერ შეუკვეთავ, ყველა უარს ამბობს. როგორც ჩემმა კარგად ნაცნობმა დურგალმა ამიხსნა - აზრი არა აქვს, ვერ იშოვი შესაბამის მასალას, თანაც ძალიან ძვირი დაგიჯდება და ასე-

ცალზე ნაკლებს არ დაგიმზადებენო. იმედია, ის ფაქტი, რომ თბილისში საკუთარი დიზაინის სკამს ვერ დაამზადებ, მხოლოდ დროებითია. მომიწევს უცხოური კატალოგიდან სხვა დიზაინერის სკამის შერჩევა, რომლის გამოწერის ფასი დამკვეთების უმეტესობისთვის მიუწვდომელია. ხოლო, ვინც ეთანახმება აზრს, რომ საავტორო სკამი ძვირია, შეკვეთის მიღებისთვის 2-3 თვიანი ლოდინი მოუწევს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3, 4, 5, 6, 7

არაყი თეთრი ადრდილი

მალხაზ ხარგედია

ალაო რო შემოუძახებს

მთაშიც ავიხედოთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხომ სასმელს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იგი "რიგ-წესის დასაყენებელიცაა" და სალხენიც, სასმელით დაილოცებიან კიდეც და დროსაც ატარებენ. რადგან კახეთიდან ატანილი ღვინო დიდხანს არ უჩერდებათ, ძირითად სასმელად ლუდი და არაყი ითვლება. ზედაშეს მხოლოდ რამდენიმე ხელადას თუ შეინახავენ ხატობისათვის, შესანდობარისთვის ანდა ნეფის ხატისა და დედოფლის მამის ხატის დასადიდებლად.

მოკლედ, ძირითადი სათრობი მთაში არაყია.

თუშეთში არაყს საარაყედან და ფორიდან ხდიან (სწურავენ). საარაყე - ქერს ან ქერის ნაბოლოვარას ნიშნავს, მსხვილად დაფქვილს. საარაყეს სახდელ მასალასაც (საარაყეს დაყრა) უწოდებენ და არყის სახდელსაც, რომელსაც "წყალთან მომარჯვებულ ალაგას" მართავენ. მიიტანენ კოდს, ნაფქვავს ჩაყრიან, მდუღარე წყალს ჩაასხამენ და სარეველათი ამოურევენ. ერთ ლიტრა ფორსაც (გაღვივებული ქერის ფქვილი) დააყრიან და დახურავენ 2-3 საათით. შემდეგ ცივ წყალს დაასხამენ, ისევ ამოურევენ და 3 დღეს შეინახავენ თბილად - ასაფუებლად, დასამჟავებლად და დასადუღებლად. მეოთხე დღეს გადანურავენ, იქვე ცეცხლისთვის მიწას გამოთხრიან ან ქვის საცეცხლურს (ყვერბი) ააგებენ. შემოდგამენ ორყურიან ქვაბს, რომელიც საშუალოდ ექვსჩაფიანია (100 ლიტრამდე), "დაასარქველებენ" ზარფუშს, ქვაბისა და ზარფუშის პირებს ერთმანეთში ჩასვამენ და გარშემო ტალახით შემოულესავენ, ორთქლი რომ არ გამოვიდეს. ზარფუშის "მკლავის" მახლობლად გეჯას (ხის ნავია წყლის ჩასაყენებლად) დგამენ და მის დახვრეტილ გვერდებში "ნუნას" (სპილენძის მილია) გაატარებენ. ზარფუშის მკლავის პირს ნუნის პირში გაუყრიან და ცომით შემოლესავენ. გეჯაში წყალს მიუგდებენ, ნუნის პირზე კი ჩხირით ბაწარს დაამაგრებენ, არყის საწურავად. ცეცხლის შეკეთებიდან ერთი საათის მერე არყის პირველი წვეთიც გამოანათებს ნუნის ნისლიდან, ეს გამონადენი ცივი უნდა იყოს. თუ ცხელი გამოდის, ძალა ეკარგება. პირველად გამოსულს "წინა არაყი" ჰქვია, შემდეგ "მეორე", "მესამე" და ნაბოლოვარა, ანუ "შამანი". თითოეულ არაყს თავის ჭურჭელი აქვს. როცა ერთმანეთში აურევენ, გასინჯავენ, თუკი კარგი გამოვიდა, შამანსაც დაამატებენ, თუ არა და ცალკე ტოვებენ.

კარგ არაყს თუშები "მარჯვე არაყს" (მაგარს) უწოდებენ, დაბალს - "ალალაც"-ს (წყნარი).

თუ არაყი კარგად გამოიხადა, ექვს ჩაფზე რვა ხელადა გამოდის, თუ გაფუჭდა - სამზე მეტი არ დარჩება. გამოხდის შემდეგ ლექი რჩება, ბუყი, რომელსაც საქონელს ასმევენ.

ფშავშიც არაყს ქერისგან ხდიან, ანდა სვილისგან (ჭვავი). ქერსა ან სვილს (სვიაში არ უნდა აგვერიოს, ამ მცენარეს ლუდისთვის იყენებენ) მსხვილად ფქვავენ, გაუცრელად ზელენ და კეცებზე აცხობენ. გამომცხვარ ქერის პურს დაფშვნიან და კოდში ჩააყენებენ, რომელიც რამდენიმე დღე მჟავდება (ფორდება). შემდეგ მას საარყე ქვაბში გადაიღებენ, ზარფუშს დახურავენ და ა.შ. გამოხდის შემდეგ დარჩენილ ლექს ფშავლები ბოზალუყს ან ბუზალუყს უწოდებენ.

ხევსურები ქერის არაყს ხდიან, ან სვილისას და ქერ-სვილისას. ხანდახან დიდგულასა და ანწლისგანაც აკეთებენ არაყს, ყველაზე მეტად კი სვილსა და ანწლს წყალობენ, ასე ამბობენ, მათგან უმჯობესი და უფრო მათრობელა არაყი გამოდისო. თუშური და ფშაურისგან კი ხევსურული იმით განსხვავდება, რომ წამოდუღებულ და განელებულ საფუარს ლუდის ჭიჭს (ლუდის ქაფი) ჩაასხამენ და სამი დღე ისე აფუებენ. პირველ გამონაწურს კი ხევსურები წვერის არაყს უწოდებენ.

ახლა ფორი ვნახოთ როგორ მზადდება.

საქმე ისაა, რომ მთაში ე.წ. საარაყე ალაოს ამზადებენ, ალაო კი შემდეგნაირად დგება: მარცვლეულს ჭურჭელში ჩაყრიან და წყალს დაასხამენ, გაღვივებულ, "გაღეჯეჯებულ" ალაოს კი მზეზე ან ღუმელთან გამოაშრობენ და დაფქვავენ. ამას ალაო ფქვილს, ანუ ფორს უწოდებენ და მას საფუარად, დედად იყენებენ - განსაზღვრული დოზით უზამენ "საარაყეს" ასადუღებლად, შემდე კი "ალაო შემოუძახებს და დუღილს დააწყებინებს". დადუღებული საარაყე უკვე "ბოზაა" და მზადაა ქვაბში ჩასასხმელად.

ხოჩა არაყ

სვანები საფუარად ჭვავის ფორს (სალაპტ) ხმარობენ. ჭვავის მარცვალს აღვივებენ, აშრობენ და ფქვავენ. მასალად გამომცხვარ პურს იყენებენ, ჩაფშხვნიან, სალაპტს უზამენ, თბილ წყალს დაასხამენ და ადუღებენ. ერთ კვირაში საარაყე მზადაა. ქვაბის თავსახურს სვანები ზარაფს ეძახიან, გეჯას, თავის ლულიანა - ლაშტვის. პირველი არაყი, ანუ წინწანაქარი თვირია, ნაბოლოვარი კი - ნაღოშგ ან ჯაზნარ. ამ სიტყვითვე აღნიშნავენ სვანები უხარისხო არაყსაც.

არყის გამოხდამდე სადღეგრძელო შეისმება, "სულ ლხინის სუფრისთვის გვეხადოსო" - იტყვიან და საქმეს შეუდგებიან. შემოსწრებული მეზობელი პატრონს კაი არაყის გამოხდას უსურვებს ხოლმე, მასპინძელი კი პასუხობს - "ერთად დაგველიოსო".

ძალიან აფასებდა არაყს ეკატერინე მეორეც, იგი ამ სასმელს ხან ვოლტერს უგზავნიდა, ხანაც კანტსა და გოეთეს.

ენა მწარერე, ჩქინ ჯგირო ვორდათ

სამეგრელოში ჭაჭასაც ხდიან და ხილსაც, თუმცა ყველაზე ხშირად მეგრელები ალბათ მაინც ხურმისგან აკეთებენ არაყს. ზოგი ჭურში ინახავს, ზოგიც კასრებში. 100 ლიტრიან სახდელ ქვაბში (მეგრულად ჩუანი) დაახლოებით 60 ლიტრ ნადუღარს ასხამენ და ერთ ვედრო წყალსაც ამატებენ, რომ არ მიიწვას. ქვაბს თავზე ოფორალს ახურავენ და კარგად გოზავენ. რახის გამოხდის შემდეგ ამ ერთნახადს მთლიანად გადააბრუნებენ, შიგნით ცოტა ნახშირს ჩაყრიან, ლიმნის ფოთლებს ან რაიმე სხვა სურნელოვან მცენარესაც უზამენ და არაყისთვის შემოგდამენ, ძალიან ნელ ცეცხლზე.

გეჯას, თავის მილიანა, სამეგრელოში ბეჭეს უწოდებენ, თავარაყს - ნადუდარს (მეგრულად დუდი თავს ნიშნავს), თვითონ არაყი დარანაა, არყის გამოხდა კი დარანაშ გითორაუა. თუკი მეზობელი გადმოვიდა არყის გამოხდისას, მასპინძელს ეტყვის, "ათას წანას სკან ნაფუნეფ ონტკა"-ო (ათასი წლის მერეც გამოგეხადოსო), პირველი ჭიქით კი დაილოცებიან - "ენა მწარერე, ჩქინ ჯგირო ვორდათ" (ეს მწარეა, ჩვენ კარგად ვიყოთო).

საალდგომო ლოთობები

ახლა კი მემგონი დადგა დრო არყის სამშობლოსაც მივაკითხოთ, იმ რუსი ელჩების ქვეყანას, რომლებმაც გაკვირვებულებმა დატოვეს საქართველო და ამბად ჩაიტანეს, "არაყი აქვთ და არა სვამენო".

რუსი ისტორიკოსები არყის დაბადებას საბერძნეთ-ბიზანტიას უკავშირებენ, კერძოდ კი ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის წყლით გაზავების ტრადიციას, ხოლო თავად რუსეთში არყის ისტორია 15-ე საუკუნიდან იწყება. მას ადრე პურის ღვინოს უწოდებდნენ და ხორბლის გარდა ჭვავისგან და ქერისგანაც ხდიდნენ, თუმცა ყველაზე კარგ არაყად ჭვავისა იყო მიჩნეული.

პირველად არაყს რუსები თურმე 1382 წელს გაცნობიან, როცა გენუელებმა aqua vitae, სიცოცხლის წყალი ჩამოიტანეს. ლიტვაში მიმავალ იტალიელებს რუსეთიც უნდა გაევლოთ და ამიტომ იძულებულნი იყვნენ ეს თავიანთი პროდუქტი იქაური მთავრისთვის წარედგინათ. პრეზენტაციით ყველა კმაყოფილი დარჩა, რუსებს იმდენად მოეწონათ ეს მწველი სასმელი, რომ ძალიან მალე თვითონაც დაიწყეს გამოხდა.

1474 წლიდან რუსეთში უკვე დოკუმენტურად დასტურდება არყის წარმოება, 1505 წელს რუსული არაყი ექსპორტზეც გადის (შვედეთში, ჩუდის მიწაზე - ახლანდელი ბარტიისპირეთის ქვეყნებში და ა.შ.), ქვეყნის შიგნით კი მკაცრად იკრძალება არყის გაყიდვა-წარმოება სამეფო კარისა და სამთავრობო დუქნების გარდა. 1648 წელს პირველი პრობლემები იქმნება ფალსიფიკაციასთან დაკავშირებით, საქმე ისაა, რომ მწარმოებლები ნედლეულს იპარავდნენ, გახშირდა ქრთამები და რაც მთავარია, ქვეყანა სრულ გალოთებამდე მივიდა. მაგალითად ე.წ. სააღდგომო ლოთობის (**пасхальные пьянства**) პერიოდში ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის ზღვრამდეც კი მიდიოდა.

იწყება კერძო და საიდუმლო დუქნების (კაბაკები) განადგურება, ეკლესია მწვავე პოზიციას იკავებს და თითქმის ყველა ტაძრის ამბიონიდან გაისმის ქადაგება ლოთობის წინააღმდეგ.

რუსეთში არყის გამოხდის ტექნოლოგიამ მწვერვალს 18-19-ე საუკუნეებში მიაღწია და ასწლეულების მანძილზე რამდენიმე "ოქროს წესიც" ჩამოყალიბდა, რომელთაგან უპირველესი, ნელი ხდა გახლავთ - ეს მეთოდი თავისთავად გულისხმობდა დიდ დანაკარგს, რაც ევროპაში რუსულ სიგიჟედ მონათლეს (რადგან ხდისას თავდაპირველი ნედლეულის 95 პროცენტი იკარგებოდა), ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსის, როგორც შერეკილის ევროპული საფირმო ნიშანი პირდაპირ არაყს უკავშირდება.

ტერმინი "ვოდკა" პირველად ელიზავეტა 1-ის 1751 წლის 8 ივნისის "უკაზში" ჩანს, შემდეგი "უკაზი" კი, სადაც ვოდკაა ნახსენები, უკვე მის წარმოებასა და ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებასთან დაკავშირებით გამოიცა. მანამდე კი რას არ ეძახდნენ ამ სასმელს: "პურის ღვინოს", "სვიის ღვინოს", "ჭვავის ღვინოს", "მოხარშულ ღვინოს", "ჩერკასულ ღვინოს", "ცეცხლოვან სასმელს", "კორჩმას", "პერევარს" და ა.შ. რუსეთში ვოდკის მაგნატები იყვნენ, რაზუმოვსკები, შერემეტიევები, კურაკინები, იუსუპოვები. მათ მიერ წარმოებული არაყი იმდროინდელ, ფრანკოფილურ რუსეთში ფრანგულ კონიაკსაც კი ჩაგრავდა პოპულარობით.

ძალიან აფასებდა ამ სასმელს ეკატერინე მეორეც, იგი არაყს ხან ვოლტერს უგზავნიდა, ხანაც კანტსა და გოეთეს და როგორც ამბობენ, ისინი ძალიან კმაყოფილები რჩებოდნენ. შვედი მეცნიერი კაროლუს ლინეუსი იმდენად აღფრთოვანებული იყო რუსული არყით, რომ ტრაქტატი შექმნა (შესაძლოა მთვრალმაც) "არაყი ფილოსოფოსის, მკურნალისა და მდაბიოს ხელში...", სადაც ლამის ყველაზე სასარგებლო პროდუქტად დასახა ეს "თეთრი მოჩვენება".

როგორც გითხარით, რუსეთში ძირითადად ჭვავისგან ხდიდნენ არაყს, მაგრამ ბოლო 100 წლის განმავლობაში ხორბალზე გადავიდნენ, კრიზისულ პერიოდებში კი, ანდა ომის დროს, არაყს კარტოფილისგანაც ხდიდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფშავში არაყს ქერისგან ხდიან, ანდა სვილისგან (ჭვავი). ქერსა ან სვილს მსხვილად ფქვავენ, გაუცრელად ზელენ და კეცებზე აცხობენ

თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.

რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.

რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.

რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.

იქნებ ამ "ალმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდავჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.

P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.

სისადავის სიდიადე

ეთერ თათარაიძე

ბესო გელაშვილის ფოტო

პოეტი

ავტორი ლექსების წიგნებისა: "იმედის გვირილაო", "მთვარის ნალი", "ჩამომიარ საწუთრო", "ლექსები". გამოცემული აქვს მოთხრობების წიგნი - "თავაღმა და თავჩაღმა". არის ავტორი ნაშრომისა - "დემონოლოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში", ერთ-ერთი შემკრებ-გამომცემელი მოხეური იუმორისა "სერგამ თქვა", შემკრებ-გამომცემელი ხალხური იუმორისა "სტალინმა აკოცოს ლენინს და ლენინმა სტალინს". ჩაწერილი აქვს და წიგნად გამოცემული გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი - "მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი". არის ფოლკლორისტიკის ცენტრის დირექტორის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი, ფოლკლორისტიკის კათედრის დოცენტი.

- ქალბატონო ეთერ, ჩემო ძვირფასო ეთერო, დღეს ჩვენს საზოგადოებას ფოლკლორზე, ცოტა არ იყოს, ზერელე წარმოდგენა აქვს. ფოლკლორის ხსენებისას, სულიერი მეხსიერების ზედაპირზე, პირველ რიგში, ხალხური ცეკვა და სიმღერა ამოდის. ქართულ ტრადიციაში ღრმად ფესვგადგმულია შედევრალური ქართული ხალხური ცეკვა და სიმღერა, მაგრამ მინდა იმით დავიწყოთ საუბარი, რასაც ხალხური სიბრძნე ჰქვია, იმ უფაქიზეს ნიუანსებზე ვისაუბროთ, რაც ხალხის სულიერების წიაღიდან სიტყვის საშუალებით მოდის, საიდანაც მარგალიტი იფრქვევა ჩვენს ქვეყანაზე.

- დათო, შენ ჩემზე კარგად უწყი, რას ნიშნავს "პირველად იყო სიტყვა". მეტს არაფერს ვიტყვი. ამითა ვარ უბედნიერესი და უმდიდრესი, ჩემთვის განა უცხო ხილია ის, რასაც ქართული სიმღერა ჰქვია. სავსებით გეთანხმები, დაკნინდა... კარგი გაგებით, მაგრამ მტკივნეულად დაკნინდა ფოლკლორის საზღვარი. მომღერლები პირდაპირ ამბობენ, ფოლკლორისტი ვარო. რასაკვირველია, უნდა თქვას, თუკი ამას ემსახურება, ან მღერის, ან სწავლობს ძირისძირობამდე, მეცნიერულად, თუკი თავისი საქმით არის ხალხური სიმღერით დაკავებული ადამიანი; ასევე ქორეოგრაფს შეუძლია თქვას, რომ სწავლობს ტრადიციულ ცეკვას, მის ყველა ნიუანსს, დეტალს, რაც ამ ცეკვაშია ჩადებული... შორს რომ არ წავიდეთ, მე და ჩემმა ქმარმა, ამირან არაბულმა ერთი აჭარელი პაპა ვიპოვეთ ხელვაჩაურში, პაპა ვალიკო, რომელმაც იცეკვა ფილარმონიაში და რაღაცას თითით ახვევდა. ეს ნამდვილად რაღაც ილეთი იყო, რომელსაც ღრმა ფესვები ჰქონდა - რაღაცას გრეხდა. რომ ვკითხეთ, რას აკეთებო, გვიპასუხა, ეს არის ბადის თოკიო. ამ ცეკვაში იყო შენახული მისი დართვის ნიუანსები. როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცეკვებში აქვს მნიშვნელობა ყოველ მოძრაობას, როგორც, ვთქვათ, ინდურ ცეკვაში, ასე იყო ქართულ ხალხურ ცეკვაშიც. მე ვერ გამოვიდებ თავს, რომ ამ ორ დარგზე - ცეკვასა და სიმღერაზე - დეტალურად ვილაპარაკო, რადგან იმ ადამიანთა რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც ფრთებს გაშლიან ხოლმე იმ საკითხზე, რაშიც დაოსტატებული არ არის.

- რატომ, ხომ გვიცეკვია ერთად დღესასწაულზე და ტაშიც მოგვიწყვეტია.

- ჰო, არადა, ვითომ არ ვიცი, არა? ვითომ! ვითომ თან მორიდებულიცა ვარ და თან მხარგაშლილიც, არა დათი? ჰოდა... ზუსტად ვხვდები, რითაა ფასეული ეს ორი დარგი, რა არის ნამდვილი ხალხური სიმღერა და რა არის ნამდვილი ხალხური ცეკვა. ამ ორი დარგით ისევე ვამაყობ და ისევე ვეტრფი, როგორც ნებისმიერ ჭკუათმყოფელი და გულგახსნილი ადამიანი და ქართველი, ან ის, ვისაც ეს უყვარს და ეთაყვანება, მაგრამ ძალიან გულსატკენია, როცა სიტყვა "ფოლკლორი" ხალხს და სიბრძნეს ნიშნავს, როცა ეს სიბრძნე სიტყვით იწყება, შენ კი ამას აღარც ახსენებ. მხოლოდ სპეციალისტები თუ ახსენებენ, მაგრამ ზოგადად ცნება გადავიდა ცეკვასა და სიმღერაზე. მე როგორ შემიძლია ეს მოვითმინო მაშინ, როცა ქართული ხალხური სიბრძნე მსოფლიოში ტოლს არავის უდებს. ამის ისე ხმამაღლა თქმა შემიძლია, დათი, ისე ხმამაღლა, რომ მოვიდეს და შემომედავოს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხისა და კუნჭულის წარმომადგენელი, ოღონდ თარჯიმანი უნდა მოიყვანოს.

- მთელ ამ ზოგად ფერწერაში ქართულ ზეპირსიტყვიერებას უნიკალური ფერი აქვს.

- ზუსტად ამ ფერწერაში. მე არ ვიცი ეგეთი უკიდეგანო თუ რამე არსებობს, თუ ამაზე შემედავება ვინმე, ეს იქნება ძალიან ჩაუხედავი ადამიანი.

- სწორედ ეგ ჩაუხედავობაა, რომ ჩვენი უკიდეგანო ფოლკლორის საგანძურზე ზერელე წარმოდგენა ჩამოყალიბა.

- ჩაუხედავობა და არცოდნაა ჩვენი პრობლემა. ძალიან მტკივნეულია, როცა ამას აზერელევებ და აღრმავებ ისეთ რამეს, რასაც შეიძლება შეხედო ისეთივე რანგით, ისეთივე საფეხურიდან, ოღონდ ცოტა ღრმად. "პირველად იყო სიტყვა" - ეს ზეციდანაა ჩამოსული. მე არ ვეკუთვნი იმ ხალხს, ღრუბლებში რომ დაფრინავენ, რეალურად ვამბობ - სიტყვამ შეიძლება, როგორც სიმღერამ, მოგკლას კიდეც და გაგკურნოს კიდეც, როგორც ფოლკლორის ნებისმიერმა დარგმა. მაგრამ სიტყვა სხვა რამეა. სიტყვით შეიძლება ადამიანმა იცოცხლოს და დაავადდეს. სიმღერითაც იკურნება ადამიანი, სიმღერით იღვიძებს, სიმღერით იძინებს. ქართველი მით უმეტეს.

- სიმღერასაც სიტყვა სჭირდება.

- უსიტყვო სიმღერა - ღიღინიც კი ვიცი, შეიძლება გული გაგიგლიჯოს, ისეთი ღიღინი, მაგრამ სიმღერა უსიტყვოდ მე არ მინახავს. ფოლკლორულ სიმღერაში ტექსტი ანუ სიტყვა არის ძალიან ყურადღებამიქცევი. ისე ძალიან, რომ ზეპირსიტყვიერ ტექსტებზე მომუშავე ფოლკლორისტის გარეშე არ უნდა გაბედოს არც ერთმა მომღერალმა, არც ანსამბლმა, არც საოჯახომ, არც დუეტმა, არც ტრიომ, არც სოლისტმა არ უნდა გაბედოს სიმღერის დამუშავება. საშინელი აღრევაა უკვე და ისე სჭრის ყურს ფოლკლორისტს, ვინც ზეპირსიტყვიერებაში ტრიალებს და ასი ვარიანტი იცის ერთი ლექსისა, ისეთ რამეს ხედავს ხანდახან გაპარულს, რომ შეიძლება გული გაგიჩერდეს ტკივილისაგან. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის კომპლექსურად სასწავლი დარგი და ყველა ერთმანეთს უნდა ვეშველებოდეთ. ცალკე საძიებო არც ზეპირსიტყვიერებაა, დათი. როგორ შეიძლება ცალკე ეძებო ზეპირსიტყვიერება, რომ ეგეთი ქსოვა-ქარგვის პატრონი ხარ, ეგეთი თვითნასწავლი მხატვრები გყვანან, ეგეთი წარმოუდგენელი სახალხო თეატრის პატრონი ხარ, სადაც ტექსტები დუღს და გადმოდუღს. არის განსაკუთრებული ტექსტები ზეპირსიტყვიერებაში. შელოცვები რა არის? სამკურნალო ტექსტებია. რა არის ბატონების ტექსტები? საღიღინო რომაა... ან ფერი რა არის? ყველაფერი არის ერთად ძალიან საინტერესო. კომპლექსური კვლევა ამისა უნდა დაიწყოს საქართველომ. თითო-ოროლა მეცნიერია, ვინც ფრაგმენტულად იკვლევს, თუ არ ვიგულისხმებთ მაღალი რანგის რამდენიმე ჩვენს მეცნიერს. დაადგება ადამიანი და არ ფიქრობს არც ფერზე, არც ფორმაზე, არც ბგერაზე. მარტო ტექსტს იკვლევს. აქ მარტო ტექსტი არ არის. ისევე, როგორც დაადგები სიმღერას და მეუბნები, რომ აქედან დაღმავალი ბგერით მიდის თუ აღმავალია. მაპატიონ მომღერლებმა, მე არა მაქვს არანაირი მუსიკალური განათლება, მაგრამ სმენა მაქვს აბსოლუტური და ეშინოდეს ჩემი, ვინც შეცდომის დამალვას ცდილობს... კლასიკაშიც ზუსტად ვხვდები. ოპერაზე ვგიჟდები! სასაცილოა, თუში რომ ოპერაზე გიჟდება, არა?

- სასაცილო კი არა, კანონზომიერია...

- მე ვგიჟდები საერთოდ კლასიკურ მუსიკაზე და შემიძლია საათობით ვიჯდე და თვალდახუჭულმა ვისმინო, გინდა თვალხილულმა, და ზუსტად ვხვდები, სოლისტმა პიანისტმა სად დაუშვა შეცდომა. თუმცა მე არ ვიცი ნოტის კითხვა, რადგან ჩემს ბავშვობაში ეგრე იოლი არ იყო... ასი წლისა არა ვარ, მაგრამ ერგასისა უკვე გავხდი... იქნებ ვინმე დავაბნიოთ და ვერ გამოიცნოს, ერგასი რამდენია...

- თუშები ვახსენეთ... კახეთში თუ არ დავბადებულვარ, არც არაფერი დამკლებია... და ერთი რამ ნამდვილად ვიცი - სწავლის წადილი, თუშებს რომ ჰქონდათ, იშვიათია. თუნდაც ალვანის წესრიგი რად ღირს, რჩეულიშვილმა რომ ალავერდის გუმბათიდან შენიშნა; ეს წესრიგი ევროპაში მიღებული განსწავლულობით ჩამოიტანეს.

- მე მგონი, პეტერბურგის უნივერსიტეტში პირველები თუშები არიან წასულები. მე არ მიყვარს ჩემს კუთხეზე საღაღანო რაღაცების ასე ხმამაღლა თქმა, არც ვიწრო, სეპარატისტული, კუთხური ლაპარაკი. ვინმემ არ დამაბრალოს, აქაოდა თუშურ დიალექტზე აზროვნებს ეს ქალი, სადღაც IX საუკუნის ხანმეტ ძეგლებშია ჩარჩენილიო. არა! სწორედ ეს კულტურა, თუნდაც ამის შენახვის ძალიან სერიოზუ-

სისადავის სიდიადე

ლი დონე აქვს ამ ხალხს, დღესაც რომ მეტყველებენ IX საუკუნის ამ ხანმეტი ტექსტების ენაზე ჩვენი შვილები და შვილიშვილები, ეს პატარა ღონე ხალხისა არ არის, დათი. ამ ხალხს ძალიან სერიოზული დონე აქვს. და გული მწყდება, რომ ჩამოუვლიან მთელ საქართველოს პოლიტიკოსები... როგორ არ მინდა, რომ ვეხებოდე პოლიტიკას, არასოდეს არ მინდა, რომ ვეხებოდე, მაგრამ ვდგავარ და ველოდები ხოლმე - თუშეთს მიატანს კი ვინმე? არჩევნების წინ სადმე-სადმე გაკრთება ვერტმფრენი, გაფრინდება, ყუთს გადმოიტანენ, იმ ხმებს დააფიქსირებენ და ამით დასრულდება ხოლმე თუშეთის ხსენება საქართველოში. თუშეთი ამას არ იმსახურებს. არც თავისი ისტორიით, არც თავისი ფესვებით, არც თავისი ხალხით და არც თავისი სივრცით, რა სივრცეზეც თუშეთი იხედება; ისევე, როგორც საქართველოს ზოგი სხვა კუთხე; როგორც ხევსურეთი. ხევსურეთიც ეგრე ყუთისთვის ახსენდება საქართველოს. და იქ რომ დარჩა თითო-თითო ადამიანი და წლობით სოფელი ასოფლა, ის ხალხი არავის აგონდება, მოკვდა თუ დარჩა ამ ზამთარსა. აი, საარჩევნოდ გაფრინდებიან, ან საახალწლოდ. რისთვის? ქულებისთვის? სირცხვილი არ არის? აი, ახლა იქმნება მთის კანონები თურმე. ვინ არიან, აბა ერთი, გეხვეწები რა! აი, იმ კომისიის წევრები მითხარი! თუშეთზე რა კანონები უნდა დამიწეროს იქ ჩამოთვლილმა ხალხმა, ვერ მეტყვი? საკონსულტაციოდ არ შეიძლება, დაუძახონ მართლა გონებით სავსე, უჭკვიანესი ხალხი რომ ზის თბილისშიც და თუნდაც ადგილებზე. ადგილზე უნდა ჰკითხო... გადახვევა გამომდის, მაგრამ მართლა გაჯავრებული ვარ ეგეთ რამეზე, რომ ყველაფერი თავდაყირა დგას. ეს საშინელებაა. ამით ვღუპავთ ქვეყანას. ფოლკლორზე რაღა უნდა ვიამბო, როცა ყველაფერი წახდება. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გადმოასახლეს თუშეთი... არავინ ძალით, ერეკლეს დროს ზეზვა გაფრინდაუღმა ითხოვა სამოსახლო ბარში, იმიტომ, რომ გაბევრდნენ, თუშეთის ოთხ ხეობაში, წოვათის ჩათვლით, რა თქმა უნდა, 33 სოფელია თუშური, და ორ დიდ ალვანში ჩაასახლა. ეგ იყო წყალობა და სწორედ გუშინწინ იზეიმეს თუშებმა ზეზვაობა. სახალხო დღესასწაული იყო. იქ ორმასამმა არაჩვეულებრივმა თუშის ბიჭმა, მართლა ღონიერმა, სულით ღონიერმა პირველ რიგში, ამ კაცს ძეგლიც დაუდგეს, ყორეც სიპისა აუშენეს. "ბახტრიონიდან ტახტის გორამდე ზეზვაის ლურჯა ცხენის ნაფრენო". მეფე რომ ჰკითხავს, რა მოგცე იმის საფასად, რაც შენ ბახტრიონის ბრძოლებში გამიკეთეო, ზეზვა ეტყვის, ის ადგილი, სანამდეც ჩემი ლურჯა გაჭენებული წავაო. ზეზვა მთელი საქართველოსთვის ცნობილი პერსონაჟია ვაჟას წყალობით. თუ ფოლკლორში იხედება ვინმე - "რად არ განახავდით ზეზვაი, ბახტრიონს ბრუნევდ ცხენითა, მოგდევდათ, მოგაწუხებდათ, მოგხევდათ შუბის წვერითა". ამ ლექსის ასი ვერსია სულ ცოტა არის, ხომ? აი, ამ გმირს ახლა აედგა სერიოზული ნიშანი, რომ ამისგანა აქვს ბოძებული კახეთში, ალაზნის მარცხენა მხარეს თუშებს სამოსახლო. და კომპაქტურად ჩასახლდა ეს ხალხი და ამან უშველათ, რომ ის ტრადიცია შეენახათ. რა თქმა უნდა, იქ ყველაფერი დაირღვა უკვე. მე რომ დიალექტს ვახსენებ, გული მიკანკალებს, აი, აქ, ყელში მაქვს რაღაც მოჩხერილი, მახვილმა გადმოინაცვლა, ბალღები უკვე აირივნენ, რაც ხდება ახლა მთელ საქართველოში, ის ხდება იქა. გული აი, გახეთქვაზე მაქვს, გეფიცები, დათი. ეს პროცესები მიდის ძალიან სწრაფად. იქ რაღაც ფუნქციები შეიცვალა, როგორც ყველგან... აი, იმათ დაუდგეს ძეგლი. მე, სამწუხაროდ, ვერ დავესწარი, მქონდა სერიოზული მიზეზი; თუმცა ჩემი შვილი დაესწრო და ჩამომიტანა ამბები, რა ხდებოდა, როგორ ჩაატარეს დოღი, ყაბახი. ის კი არა, რაღაც პომპეზური და უჭყო და მატყო, ძალიან ზომიერი, ისევ თუშურად, ჩუმად და ნორმალურად. ეს ფოლკლორისთვისაც ერთი დარგის ან ჟანრის გაღვიძებაა, სახალხო დღესასწაულები. ისეთი რამეები დავაფუძნეთ დღევანდელ საქართველოში, რომ შეიძლება მართლა გაგიჟდე. რის პატრონებიცა ვართ სახალხო დღესასწაულებში, ის რომ მთელი თავისი ხერხემლით აიღო და ახალი რამით შეავსო, მე კი არ ვამბობ, ჩოხა-ახალუხი უნდა გეცვას, გამოდიოდე და პირს აღარ იხდიდე არაფერს და ზუსტად იმ სიტყვას იმეორებდე. ღმერთმა დამიფაროს, რომ სადღაც ვიყო ჩარჩენილი, მაგრამ თანამედროვე ზომიერად შეეტანე, ისეთი სიმდიდრის პატრონი ხარ, ისეთი დღესასწაულები გვაქვს, რომ მსოფლიოს გააოგნებს. რას იგონებს ევროპა, დათი, რაზე რას იგონებს, ვისაც არა აქვს, იმათ მოიგონეს და ეს რაებს აჩვენებენ, ან რაები აქვთ, მე არ ვიცი, რა ფესტივალებს ატარებენ... ერთი ადამიანი არ გამახსენდება, რომ აი, მოვიდეს და რაღაცა გვითხრას, რომ... თუ მოიგონებენ ქართულს, რომ ვისაც ამის ღონე აქვს, ასეთი ფესტივალი ჩაატაროს, ჩვენ ფოლკლორულ ცენტრს რად უნდა სცდებოდნენ, ან ადამიანს, ვისაც ინფორმაცია აქვსა. ღმერთმა დამიფაროს, რომ ყოვლისმცოდნედ თავს ვაცხადებდე. მე ერთი რიგითი, უგონოდ შეყვარებული ადამიანი ვარ ჩემ დარგზე, ძალიან ბევრი რამე არ ვიცი. და ვერც ამოვწურავ; ჩემნაირები რომ წურავდნენ ქართულ ფოლკლორს, რა მიჭირდა, რა ბედნიერი ვიქნებოდი. მაგრამ რაც ვიცი, ეს არ მენანება ჩემი ქვეყნისთვის და იკითხე, რამეს გართმევ? ყველაფერი რომ ფულზე აიგო. რა რიტუალს რასთან ურთავ, რომ არაფრით ის იქ არ შეიძლება, შეიძლება გაგიჟდეს კაცი, ისეთ რამეს აკეთებ და უშვებ; რატომ უშვებ, რომ ამაზე კარგად შეგიძლია, ვინმე ადამიანს ჰკითხო. მე არ ვიცი? გაგაგზავნი, გზა-კვალზე დაგაყენებ და გეტყვი, მოდი, იქ წავიდეთ, ეს რაც აღარ ვიცით, ამასა და ამას ვკითხოთ. ხალხს ვკითხოთ პირველ რიგში. აი, ეს ამ დარგს რაც ეხება. სახალხო დღესასწაულებით ვართ უმდიდრესი ქვეყანა და მილიონები შეაქვს ამით მსოფლიოს თავ-თავის ქვეყანაში. ჩვენ რა დაგვემართა? გავაკეთებთ უგერგილოდ. რატომ ვართ მბაძველები, რატომ ვართ უგონო მბაძველები, თან რომ სასაცილოები ვჩანვართ, არ ვიცით, ის რა არის და არც ვერგებით ადვილად სხვის რაღაცას. აი, ისეთი სასაცილოები ვართ გარედან, რომ მეტი სიცილი და ხახანი აღარ მოგინდება. არ ვიცი, შეიძლება ძალიან გადავამლაშე, მაგრამ ისეთი რამის აწყობა შეიძლება, დათი, საქართველოში... მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი უნდა გააცოცხლო. ნეტა ეგეთ საქართველოს მომასწრო, მაგრამ წელიწადში რომ თუნდაც ერთი სერიოზული, მსოფლიო მნიშვნელობის ფესტივალი ჩაატარო, ეს იმდენად მდიდარი ქვეყანაა, იმდენად ფოლკლორული ტრადიციების ქვეყანაა... ეგ არის ჩვენი ყველაფერი. გასატანიც ეგ არის და შემოსატანიც. მე ღვინოზე კი არ მედარდება. მეღვინეები ალბათ მომკლავენ ახლა, მაგრამ ღვინო კი არ არის გასატან-შემოსატანი მარტო. რა თქმა უნდა, ეგ მნიშვნელოვანია. მეღვინეობისა და სოფლის მეურნეობის ქვეყანა ვართო და მე ვერ გავიგე, რანაირად ვართ, როცა თურქეთიდან შემოტანილ რაღაც ქვასავით პამიდორს მაჭმევენ, არადა, ჭოპორტი გვაქვს და წარმოუდგენელი პროდუქტის მოყვანა შეიძლება აქა. რად ეღობება... იმდენი ტვინი კი არ მაქვს, ვხვდები კი, რომ ვიღაც ეღობება, რომ სოფლის მეურნეობა არ განვითარდეს საქართველოში. მე ხომ არ შემიძლია... მე ხომ პოლიტიკოსი არა ვარ. თუ წავედი, ძაან ძლიერი პოლიტიკოსი ვიქნები. მაგასაც მივხვდები. თუ პოლიტიკაში წასვლა გადავწყვიტე, ორ წუთში მივხვდები.

- პოლიტიკაში თუ არ მივდივართ, განა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, საქმე გვაქვს. ხშირად, საქმე რომ არა აქვთ, მერე მიდიან პოლიტიკაში.

- ჰოდა, მივხვდები, რატომ გვიხშობენ სოფლის მეურნეობას. ხომ სასაცილოა, ფოლკლორისტი რომ მიხვდება, მაგრამ მივხვდები. ჩვენზე ჯანსაღი ბიოპროდუქტი დარჩა კიდევ ვინმეს დედამიწაზე? კარტოფილი უკვე შემოგვაპარეს თურმე, რომ რაღაც ურევია, პამიდორი უკვე შემოგვაპარეს, რომ რაღაც ურევია. ახლა გადავუხვიეთ საუბარს... მაგრამ მოდი, პირველსა სიტყვასა ზედა.

- წეღან მთათუშეთზე რომ ვლაპარაკობდით... რჩეულიშვილის "ალავერდობა" რომ გამახსენდა... ის დიდებული სიტყვები რომ აქვს ნათქვამი რჩეულიშვილს ალავერდის გუმბათიდან, ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაშიო, ეგ მუხტი სწორედ ალვნებიდან მოდის. ალვნების წესრიგს რომ ხედავს, იქ ამბობს ამას.

- იცი, სად ცხოვრობდა რჩეულიშვილი? ჩემი დეიდის ბინაში. რაინაულებში ცხოვრობდა. ვასიკო რაინაულის სახლში ცხოვრობდა გურამ რჩეულიშვილის ოჯახი. მე დეტალებში ჩაწერილი მაქვს, როგორ გამოჩქვიფეს ალაზანი და ურემი როგორ ჩაურჩა ერთ-ერთ ალავერდობას მომსვლელებს. გურამიც რომ იმ ურემზეა. და როგორ არ დაეშინება და ალაზანი განიაღვარებული რომ მოდის. მე და ამირანმა ძალიან სერიოზულად ვიმუშავეთ ელპიდე კურელაზე. 21 წლის წინ სულ შემთხვევით გადავედი ჯუთიდან არხოტში ამირანთან ერთად. ანანოზე ვიყავი ფეხმძიმედ და ჯერ მსუბუქად ვიყავი, ისე, რომ შინ არ იცოდნენ ხევსურებმა. დამისივდა ფეხი, იმიტომ, რომ ამხელა უღელტეხილზე ავედით და ფეხშიშველა ვარ არხოტში ჩასული.

- ყაზბეგიდან წახვედით, ალბათ.

- ჯუთიდან გადადის ერთი გზა, როშკას ჩამოდის და მეორე მთა გადადის არხოტში და ის უფრო მაღალია, არხოტის მთა. ჰოდა, გადავედით, გაბრიელ ჯაბუშანურის არქივზე სამუშაოდ წავედით. ვიცოდით, რომ იქ იყო წერილები, იყო ხალხი, რაც მთავარია, გაბრიელის უახლოესი ადამიანები. დიდი გატაცებით ვმუშაობდით. გვახლდა რამდენიმე ხევსური ქალი, გაგვყვნენ სახალისოდ და არც იმათ იცოდნენ, მე რა გასაჭირი მაქვს. დამისივდა ფეხი და ახლა რა ვქნა... და რას თუშის ქალი ვარ, თუ არ მოვითმენ. გავიხადე, ფეხზე რაც მეცვა. ამირანი ჩუმად მეუბნება, მოდი, ჩემებს მოგცემ, ეგრე წინდებით ვერ ივლიო. ახლა დაგცინონ ამ შენმა ბიძაშვილმა ქალებმა, რომ გაიხადა და ცოტს ჩააცვა-მეთქი! კარგად დაავდივარ, რბილად, არაფერი მიჭირს-მეთქი. ახალი სპორტული ფეხსაცმელი მქონდა, სულ ახალთახალი, იმაში ვეღარ ჩავყავი ფეხი და არხოტში ცალ-ცალ კალოშებზე გავცვალე. უკანაც წამოვედი ბედნიერად. ის წინდებიც დამეგლიჯა. და ახლა ამას რატომ ვყვები. რომ ჩავდივართ, არწივი ბოინობს ისე... ისეთი სივრცეა... და არის შთამბეჭდავი. მე ეგ არ დამავიწყდება სიკვდილამდე, ეგ ფერები და სურათი. ზაფხულია, დეკა ჰყვავის. ხევსურის ქალები მიდიან სამი-ოთხი ჩემს წინ და როგორც ჩაის პლანტაციები, დეკა ისეა გამრავლებული და მოფენილი, და ჰყვავის სპილოსძვლისფრად. ესენი ჰკრეფენ ამ ყვავილს და მიდიან და მისჭამენ ამ დეკის ყვავილს. და მე კი ვარ თუში, მაგრამ არასდროს არ ვიცოდი, რომ დეკის ყვავილის ჭამა შეიძლება. თუშები არ სჭამენ დეკის ყვავილს და ესენი ამ ყვავილს სჭამენ. და ვეუბნები, რომ არ გაღოვდეთ-მეთქი, არ გაგიჟდეთ. საღავარა არის ერთი და თუშები ამბობენ, რომ შეიძლება მოგწამლოს, ჭკუიდან გადაგიყვანოს, არ გაგაღოვოთო. საღავარა არ სჭამოთო. ვეუბნები, არ გამიღივდეთ ეს მთიელები, შუა გზაში რით უნდა დაგბოჭოთ-მეთქი... ჰოდა, მიდიხარ და ვითომ არ არის ეს ქვეყანა და ჯვარი გვწერია, იმას რომ აღწერენ, როგორ შედიან სამოთხეებში, ეგეთ რაღაცაში მივდივართ. და ისეთი ქვაბული კეთდება, ცისაც, კლდისაც, დაბლა რომ ჩაეშვები ამ უღელტეხილს და არწივი რაღაცას დაღბუის, დაღბუის, თავს დაღბუის... და ამირანმა მითხრა, რომ კურელას საფლავს ახლა შევხვდებითო, არწივი ტრიალებს ზუსტად იმ საფლავის თავზეო. ამირანი, რა თქმა უნდა, ასჯერ იყო იმ გზაზე უკვე ნამყოფი. და ახლა რჩეულიშვილი ხომ ვიცი და კურელაც ხომ ვიცი, როგორ კვდება ეს ქალი. ჩავდივართ და ზუსტად, ვითომ დაბარებულია, არწივი ტრიალებს. ეხის ქვეშ არის ის საფლავი. იმას ყვავილები რაღად უნდოდა, მაგრამ ორი მხარი ყვავილი დავუკრიფე და დავაწყე იმ გერმანელი ქალის საფლავზე. ვისხედით დიდხანს. ჩემი დაგლეჯილი წინდებით. ეს რამ დამიხია იცი? რასაც გურამი აღწერს, ის ღორღნარია. ამ გერმანელმა ქალმა რომ თავი ახალა, ცხენის უზანგში ფეხი რომ გაეჭედა, სულ ხეთქებით რომ ჩადის ეს იქ კვდება უკვე. ეს დეტალურად გვაქვს ჩაწერილი. სულ ვოცნებობ, რომ ეს გამოვცე და ვნახო ვინმე, ვინც ამაზე ფილმს გამაკეთებინებს. ისეთი შთამბეჭდავია. ორ ხალხს შორის ეს ისეთი მნიშვნელოვანი თემა. ჯერ რაზე იკავებს თავს გერმანული მხარე. ისინი აღარ არიან უკვე. ზოგნი ცოცხლები, ვისთანაც ჩავწერეთ და ვინც ამას ესწრებოდა თვიმონ, ამ დაკრძალვას. რა ხდება არხოტში, როგორ გადიან ღამე ხატის კარზე; არ შეიძლება, სიკვდილი სადაც არის, იქ მისვლა ხატის კარზე შემავალი კაცისა, მაგრამ მთელი სოფელი როგორ უსიტყვოდ გურამოს გაჰყვება. უფრო სწორად, გიგლა მიდის, არაბული, ცხენით. იმათი მეგზურია გიგლა. მოდის და ეუბნება, ქალი მოუკვდა უცხოელი, ცხენმა აითრია და მოკვდა, იქ არის, ამა და ამ ადგილ-

სისადავის სიდიადე

სო; და როგორ უსიტყვოდ მიდის მთელი სოფელი... და გურამი როგორ გაფრინდება, ბანიდან ცხენს მოევლება და გაქრება პირველი, და მერე როგორ ეხვეწებიან, რომ ჩამოასვენონ სოფელში მიცვალებული და ყველანაირი პატივი მიაგონ, რაც არის წესი, ტრადიციულად. ვიღაცა უხსნის მათ, რომ ხევსურები, როცა დღეს ღამე უნდა შევიდნენ ხატის კარზე, კაცები, განწმენდილები უნდა შევიდნენ, შინაც აღარ დაასვენებდნენ მკვდარს, ცივს, როგორც მთაში ეძახდნენ, არამედ ეზოში უნდა გამოესვენებინათ. უკვე ითვლებოდა ხორცად და ლეშად და სული უკვე აღარ იყო იქ და მიცვალებული ითვლებოდა იმ თავისი რწმენა-წარმოდგენებით, უწმინდურად. იქ უხსნიან, რომ დღეს არის ხატში, არხოტის ჯვარში შესვლის დღე, და სოფელშიაც რომ იყოს მიცვალებული, არ მივიდოდა იქ არავინ, გარდა ოჯახისა; ეს მიუსვლელობა საპატიოდ ითვლებოდა, არავის არ ევალებოდა მისვლა ხატობის დასრულებამდე. და ეს სოფელი ითხოვს, რომ ჩაასვენონ. ყველა უკვე მივიდა ცივამდე, ანუ მიცვალებულამდე. მაგრამ ქმარი ამბობს, რომ ის სოფელს ამ ტრადიციას არ დაურღვევს. ამბობს, რომ უნდა აქვე დავკრძალოთ, ეს იყო მისი ოცნება, რომ კავკასიონზე მომკვდარიყოო და რაკი ასე მოხდა, ამაზე დიდი ანდერძი, ამაზე დიდი ოცნება ელპიდეს არ შეუსრულდებოდაო. და გაუტეხლად აიძულებს ხალხს, რომ მოიტანონ ბარები და ნიჩბები და გათხარონ სამარე. ქმარი ითხოვს კატეგორიულად ამას. როგორ ჩადიან, როგორ შედიან ხატის კარზე, და როგორ ირღვევა პირველად ეს ტრადიცია, მაგრამ საპატიოდ. როგორ შედის ის კაციც იქ.

- ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანში გაცოცხლებულ ღვთაებრივ განცდას ტრადიციაც დიდსულოვნად მორჩილებს.

- ფოლკლორსა და ტრადიციას მოჰყვა ეს ყველაფერი და რაღაც დროს როგორ შეიძლება ზღვარის დარღვევა, მაგრამ არა ბოლომდე, როგორც ყველაფერი დავარღვიეთ.

- ეს ის შემთხვევაა, როცა დიდი სიმართლის მსახურად გრძნობ თავს, შენი მოგონილი სამართალი იქ კლებულობს.

- და შენ არაფრის ღონე არა გაქვს, გარდა საცალობისა, რომ იმოქმედო. იქ აღარ არის ტრადიცია.

- წამიერად ირღვევა.

- და ეს წამიერად დარღვეული ტრადიცია ღვთიური ხდება. მაღლდება, კიდევ უფრო ზემოთ მიდის. ისევ იმას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ ჩვენ ვართ აგრარული ქვეყანა, მაგრამ პირველი ჩვენი საექსპორტო მაინც არის სული ჩვენი, ტრადიცია, ფოლკლორი, რომელიც არის უმაღლესი რანგის. და ამას ვამბობ და არ მრცხვენია, და არც მეშინია, მედავოს ვისაც უნდა. ნამდვილი ფოლკლორი, თავისი დარგებით. მარტო ეს რომ ჩამოვთვალო, რამდენი რამეა ხელუხლებელი. არის ნაწილი ფოლკლორისტების, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყველაფერი არის გამოკვლეული. მე კი ვამბობ, რომ დაწყებულიც კი არ არის ფოლკლორის კვლევა საქართველოში. ძალიან სკანდალურია ამის თქმა და ძალიან ხმამაღლაა ჩემი მხრიდან. შეიძლება იყოს ძალიან მტკივნეული. მაგრამ ისე დაწყებული არ არის, როგორც იმას ეკადრება, რისი პატრონებიც ვართ. რა თქმა უნდა, დევს წარმოუდგენელი შრომები ქართულ ფოლკლორში და წარმოუდგენელი ადამიანები მუშაობდნენ იქ და ეგ არის კანტიკუნტი. ეს არის სწორი გზა, გეზი. არ არის ხერხემალი, რაზეც უნდა განვითარდეს ეს ყველაფერი და ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ მე რომ არ ვიქნები, მოვლენ ადამიანები, დაიწყებენ ამ კანტიკუნტ თითო მასალაზე მუშაობას და ააწყობენ ძალიან მაგარი ხერხემლით წარმოუდგენელ სივრცეს ამ დარგში. ახლა პრეზიდენტის პატრონაჟით მზადდება ფესტივალი-დათვალიერება ფოლკლორისა საქართველოში. მთელი ზამთარი ჩვენი ცენტრი მუხლჩაუხრელად მუშაობს. რომ მეგონა, რომ ქართული მთქმელები და ტრადიცია ვაიმე თუ მოკვდა და კაცსა აქვს ღონე-მეთქი, ისეთმა ვულკანებმა ამოხეთქა და ისეთ ვინმეებს შევხვდი, ისეთი ვულკანებია ამოგლეჯილი, რომ დაღლილები, დატანჯულები, დაქანცულები, ბედნიერებისაგან სულ ფრენით მოვდივართ შინ. ამითი ვცოცხლობ და ველოდები, როდის მოვა ფინალი, რომ ამათ - მოლექსეებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს შევარჩევთ... ახლა კიდევ რამდენი გვრჩება?

- მშვენიერება ისაა, რომ ეგ ფინალი სტარტის სათავეა.

- იქნებ ამით დაიწყოს ნამდვილი სიცოცხლე ნამდვილმა დარგმა.

- ეს იმოდენა სამყაროა, ეს თემა ამოუწურავია. ჩემი წადილი ისაა, რომ ჩვენი საუბრით კიდევ ერთი სარკმელი გავუჭრათ მკითხველს, რომ ქართული ფოლკლორისკენ გაიხედოს. მოდი, ახლა იმ წიგნზე მითხარი, იმ საოცარი ბედის ნაწილიან ქალზე - აღათოზე რომ ამზადებ, რომელმაც სრულიად ახალგაზრდამ აღაზნის ტალღებს მისცა თავი და რომელიც ასე დაიტირა დედამ:

"იარ დე იარევ,
დაგიღამდებისავ.
ქალოვ, ქალიწ ხარივ,
დაგეშინებისავ,
წყალს რას გამიყვებივ,
დედა მოგიკვდესავ."

- მე და ამირანი ვართ ავტორები. "აღათო" ჰქვია წიგნს. ისეთი სახელია, იცი შენ დათი, ბურუსში გახვეული. ეს არის XX საუკუნის დასაწყისის ამბავი. 20 წლის მანძილზე ვკრიბე ეს მასალა. არ ავჩქარებულვარ. ვეკითხებოდი, თუ ვინმეს რამე ახსოვდა. როგორ დაძველდა ეს ამბავი, როგორ იქცა ლეგენდად. "აღათოზე" მივხვდი, თუ როგორ იქმნება ლეგენდები. ძველი ანდრეზები. სქემას მივხვდი, რომ დაგვეტოვა წიგნის გარეშე, კიდევ რამდენ სხვა რამეს მოიკრებდა. შეიძლება, დანაშაულიც იყოს წიგნი ამ შემთხვევაში, მაგრამ ამის ისე დატოვებაც არ შემიძლია. უკვე მზად გვაქვს. შევეცადეთ, სხვადასხვა ხალხის ნაამბობისთვის მოგვეყარა თავი. სქემატურად გვენახა, რა გამოვიდა, მკითხველი განსჯის.

- შენი შესანიშნავი პოეზიის პარალელურად ვერ ეშვები, ეთერო, ამ სასარგებლო საზოგადო საქმეს. მარტო ის წიგნი რად ღირს, ვაჟას ქალიშვილის - გულქან რაზიკაშვილის საუბარი რომ ჩაწერე და წიგნად გამოეცი. სამუდამო შთაბეჭდილებად მომდევს მუდამ ეს წიგნი. წერა-კითხვის გარეშე დარჩენილ გულქანში რომ გაჟონა გენეტიკურმა ღვთაებრივმა მუხტმა და ფშაურ ყოფაში მარტო ჩარჩენილ ქალს ამოათქმევინა: "მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი..." შენ კი ამ წიგნის სათაურად აქციე ეს სულისშემძვრელი სიტყვები.

ვიცი, რომ ახლა შენ და შენი ერთგული ამირანი სოფელ-სოფელ დადიხართ, ძველ საფლავებს ხავსსა და მიწას აცლით, საფლავის ქვის რელიეფს იკვლევთ, სწავლობთ ტექსტსა და გამოსახულებას, - დიდებული საქმეა.

ხომ ხედავ, როგორ კივის დღევანდელი ქართული სასაფლაო, ეს რწმენის, კულტურის კრიზისია. როგორი მშვიდია ძველი ქართული საფლავი, ქრისტიანულია...

სისადავის სიდიადეა შესანარჩუნებელი და გადასარჩენი.

ეს იყო ქართული კულტურის თვისობრივი ნიშანი.

რა მდგომარეობაშია ახლა თქვენი ნაშრომი?

- ერთ მოხუც კაცს, რომელიც კაკლის ჩრდილში ისვენებდა, სოფლის სასაფლაოს ადგილმდებარეობა ვკითხეთ... სანამ მიუხვევ-მოუხვევთ, მე გაგყვებითო და დაუზარლად, ძალიან მჩატედ წამოდგა... სოფლის ახლოს რო მოგვატარა სასაფლაოზე და მიხვდა, რაც "გვიზიდავდა", ფრთხილად შემოგვაპარა: ჩვენს "პანთეომში" წაგიყვანთ, იქ ძალიან ბევრ რასმე ნახავთო და წავედით ფერდ-ფერდ, ჭალა-ჭალა. იქ არათუ ჩასასვლელს მიაგნებდა და გზას გაიკვლევდა ჩვენნაირი გამვლელი, არც იფიქრებდა, ამ საკმაოდ პატარა სოფელს მეორე სასაფლაოც თუ ექნებოდა... ერთი სიტყვით, "პანთეომიცაა" და "პანთეომიც". ყველას ჯვარი გვწერია და იქ იმ წუთს მიხვდი, რა ადვილია, დათი, სიკვდილი...

ეს ქართული სისადავისა და უპრეტენზიობის ნამდვილი "პანთეომია". იმ პაპის ხათრით სახელს ვერ გავასწორებ, თან ეგეც უხდება იმ ყველაფერს. ან რა ქანდაკებებია მშვიდად დაწვენილ ქვის აკლდამებზე ამოკვეთილი, როგორ გამოხატავს ხალხური ქვითხურო სამარეში მწოლის პროფესიას, ეპიტაფია რა ზუსტია, ლაკონიური, წრფელი, ტკივილიანი, თავშეკავებით ტკივილიანი... იქვე გაგიელვებს ვაჟას "ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითას" მთლიანი არსი... როგორ წკაპა-წკუპით ჩამგადენს ცრემლებს პატარა ბავშვის პაწია საფლავის ქვა ჯერ თავისი ზომით, და მერე წარწერით: "ნუ მელოდებით, ვერ მოვალ შინა". ანდა ნაცრის ფერნაჭარბი, უდახვეწილესად ნაკვეთი ქვა: "სიკვდილს არა ვფიქრობდი, მამუკელა". რომელ ცოცხალს უნდა არყოფნაზე ფიქრი; ან ისეთი: "განველ უმანკო" - წელწვრილი ყმაწვილი ქალის სილუეტამოჭრილი, ხავსშეფრქვეული, გრძლად მწოლიარე ქვა... წვეროსანი მოხუცი ჩოხა-ახალუხითა და სატევრით - "დამფასეს ჩემმა შვილიშვილებმა, გარდავიცვალე 120 წლისა, ისევ მეწადა სიცოცხლე". ხვდები, რა უკურნებელია სიცოცხლის წყურვილი... ანდა: ამ ქვეყანას არწადინს გაშორებული, აქ დარჩენილ თავისიანებზე დარდგაყოლილი ქალის განცდათა გამომხატველი ასეთი სტრიქონები:

"მე წილკნელი ქალი ვიყავ
და წვერელი პატარძალი
რა უდროოდ დავაღონე
ის ჯეილი ჩემი ქმარი".

რა ჩამოთვლის ასობით ერთმანეთის მჯობნე ეპიტაფიას, გლოვის ლექსებს, იქ ჩადებულ ნამდვილ დამოკიდებულებას სიკვდილისადმი...

სამწუხარო ისაა, დათი, დღეს რაც გვჭირს. რამაც გემოვნება გაგვიუფასურა, ამასაც, ბოლოს და ბოლოს, ისევ ხელისუფლებას ხომ ვერ დააბრალებსა კაცი... ხომ არავინ გვაიძულებს, საყვარელი ადამიანის საფლავზე მანქანა ჯაჭვებით დავაბათ, ზედ გულზე ჟანგიანი წყალი ვადინოთ, ანდა ვინ გვეუბნება, "მისაღებებს" სავარძლებით რომ ვუწყობთ, კარფანჯრიან, თუნუქით გადახურულ ვითომ ძვირფას სახლს ზედ სამარეზე რომ ვუშენებთ... ტელეფონის ხაზი რომ გაგვყავს და ნაძვისხეს თავისი განათებებით ვაციმციმებთ... რა ერთი ჩამოვთვალო, ჩვენი დღევანდელი სამაროვნები კივიან, განგაშშია ჩვენი სასაფლაოები, ჩვენ ჭირს ჭირს ვუმატებთ და მშვიდად ვართ... აღარაფერს ვამბობ წარწერებზე, არც რომ ლექსს ჰგავს და ტკივილის მაგიერ განგიზიდავს... ერთი სიტყვით, სხვაც მრავალი პრობლემაა ამასთან დაკავშირებით თვალშისაცემი და გულსატკენი.

ჩვენს ქვეყანას უნდა უღირდეს ამ უმსგავსობისა და უგემოვნობის საპირისპიროდ, არ მეშინია თუ ვიტყვი, ფასდაუდებელი ალბომის გამოცემა, რომლითაც შეუძლია მსოფლიოს აჩვენოს ქართველის სული და სხვაც ბევრი რამ მნიშვნელოვანი მხატვრობისა თუ ხალხური შემოქმედების თვალსაზრისით. ეპიგრაფიკა, ქანდაკება, ეპიტაფია... ორი ფერის (რომლითაც ზოგიერთი ძველი ქვაა შელებილი) დღეს უკვე მომკვდარი და დაკარგული ტექნოლოგია... საუკუნეებს რომ გაუძლო, იმ ფერისა...

რატომ უნდა ინტერესდებოდეს უცხოელი შენზე წინ და რატომ უნდა გაიღებდეს შენზე მეტს შენი კულტურისათვის, როცა ჩვენი "შეძლებულნი" იმდენს, რამდენსაც ასეთი ალბომის გამოცემას მოახმარდნენ, ყოველდღე თუ არა, ყოველკვირა უეჭველად ტოვებენ რესტორანში... ეს ცალკე თემაა და მე ვისთვის რის შემსმენელი ვარ. მადლობა უფალს იმ ადამიანების გამოჩენისთვის, ვისი თანადგომითაც მოვახერხეთ ასეულობით უნიკალური ქვის დაფიქსირება... მადლობა პროკრედიტ ბანკს, თაყაიშვილის საზოგადოებას, გაერთიანებულ ქართულ ბანკს...

- იმედი ვიქონიოთ, ეთერო, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს გამოუჩნდება შემწე, რათა ქართული კულტურის არც ერთი ღირებული შრე არ დარჩეს ქართული კულტურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის მიღმა.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა
ბენედეტო კროჩე

ლურჯწვერას ნამდვილი ისტორია

ნოდარ ლადარია
ლეილა გეზარაშვილი

ლურჯწვერას ზღაპარი ბევრმა ბავშვობიდან იცის, ასევე ცნობილია ჟანა დ'არკი, საფრანგეთის ეროვნული გმირი და კათოლიკური ეკლესიის წმინდანი. მაგრამ ცოტა ვინმეს თუ გაუგონია, რომ საქმე ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ერთმანეთთან მჭიდრო ემოციური ურთიერთობით დაკავშირებულ ორ წარმომადგენელს ეხება...

ლურჯწვერას ნამდვილი სახელია ჟილ დე ლავალი, ბარონი დე რე — ეს ვაჟბატონი საფრანგეთის მარშალი იყო და მეფის, შარლ VII-ის შეძენილი ნათესავი. ბარონ დე რეს არ გაუმართლა: ჯერ იყო და 1660 წელს შარლ პერომ თავისი საშინელი ზღაპრის პერსონაჟის პროტოტიპად აქცია, XX საუკუნის შუა წლებში კი ეპოქის ჰოლანდიელი მკვლევარი, იოჰან ჰუიზინგა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში "შუასაუკუნეების შემოდგომა" საბრალო ბარონს ურჩხულად მოიხსენიებს. ჰუიზინგას შემდეგ ფემინისტებმა დააყარეს ქოქოლა ფრანგ არისტოკრატს და ლამის მამაკაცური შოვინიზმის ფუძემდებლად შერაცხეს.

თუმცა, აქ არის ერთი უზუსტობა: შარლ პერომ ჟილ დე რე ცოლთა მკვლელად გამოიყვანა (ალბათ, ასე უფრო რომანტიკული იქნებოდა), მაგრამ სინამდვილეში, 1440 წლის 26 ოქტომბერს ნანტის ხიდზე ბარონი სულ სხვა მიზეზით დაწვეს კოცონზე: მას 140 ქრისტიანი ბავშვის რიტუალური მკვლელობა ედებოდა ბრალად. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ლურჯწვერაც პეროს მიერ ცუდად გაგებული სიტყვაა: ასე XV საუკუნეში იმათ უწოდებდნენ, ვინც "სილურჯემდე გაპარსული" იყო.

1439 წლამდე ბარონი საფრანგეთის გმირად ითვლებოდა, მაგრამ ამ თარიღის შემდეგ სწორედ ის ქრონისტები, ვინც ხოტბას ასხამდა, ერთხმად აგინებდნენ. მართალია, ჟილ დე რე წმინდანი არ ყოფილა, მაგრამ დავფიქრდეთ: შეიძლება წარმოვიდგინოთ ბატკანივით უწყინარი სარდალი? ან XV საუკუნის ბარონი, რომელსაც არასოდეს უბრძანებია ვინმეს ჩამოხრჩობა? მაგრამ, ბარონის ვნებები სულაც არ ყოფილა ისეთი, როგორც ეს შარლ პეროს ზღაპარშია აღწერილი: ბარონს თავდავიწყებით უყვარდა ორლეანელი ქალწული, ჟანა დ'არკი.

თუმცა, აქაც შეინიშნება ლეგენდებისა და სინამდვილის გადახლართვა: მაგალითად, გვარი დ'არკი აშკარად მიუთითებს აზნაურულ წარმოშობაზე. ამბავი დომრემიში დაბადებულ გლეხის გომბიოზე უბრალოდ შეთხზულია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დ'არკებს იმ დროისათვის წართმეული ჰქონდათ საკუთრება და მამულები. თვითონ ჟანა სასამართლო პროცესზე აცხადებდა, რომ თავისი გვარი არ ახსოვდა, სახელად კი ჟანა ქალწულს ირქმევდა. იმ დროის დოკუმენტებიც მას დ'არკად არასოდეს აღნიშნავდნენ, არამედ იწერებოდა ან დამა ჟანა ან ქალწული ჟანა ანდა ორლეანელი ქალწული.

1451 წელს, როცა რაინდ ჟან დე ნოველონპონს ჰკითხეს, შეჰხვედრია თუ არა ის დ'არკების სახლში ჟანას დედას, მან უარყოფითად უპასუხა. და ბოლოს: ღერბს, რომელიც ჟანას უფლისწულმა უბოძა, არაფერი აქვს საერთო დ'არკების საგვარეულო ღერბთან და გაცილებით უფრო მაღალ წარმოშობაზე მიუთითებს. მასზე გამოსახული გვირგვინი ზუსტად ისეთია, როგორიც სისხლის პრინცების ღერბებს ამკობდა — სისხლის პრინცებად კი საფრანგეთში ისინი მოიხსენიებოდნენ, ვისაც ერთ-ერთი მშობელი ჰყავდა სამეფო სისხლისა, განსხვავებით "საფრანგეთის შვილებისაგან", რომელთა ორივე მშობელი ატარებდა უავგუსტეს ტიტულს.

რაც შეეხება ორლეანელი ქალწულის გარეგნობას, უნდა ითქვას, რომ მისი არც ერთი ნამდვილი გამოსახულება არ შემორჩენილა. ქრონიკები მას "ულამაზესად" მოიხსენიებენ, რაც იმდროინდელი კლიშე უფრო უნდა იყოს. ერთადერთი, რისი მტკიცება შეიძლება მის შემორჩენილ საჭურველზე დაყრდნობით, ჟანა სიმაღლით 158 სმ იყო.

ჟანას ნამდვილ წარმოშობაზე ისიც მიუთითებს, რომ თავის პროცესზე მან გადაჭრით უარყო, რომ ოდესმე უმწყემსია საქონელი. გამამართლებელ პროცესზე კი ორი მეფის, შარლ VI და შარლ VII-ის მდივანმა, ალენ შარტიემ აღნიშნა, რომ მასთან ურთიერთობის შედეგად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქალწული "მინდვრებში კი არ იყო აღზრდილი, არამედ სკოლაში და მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა". სხვა თუ არაფერი, ჯირითი და იარაღის ვირტუოზული ხმარება დომრემის ჭალებში არ ისწავლებოდა.

რაც შეეხება ჟანას სიკვდილით დასჯას, აქაც არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ეჭვი. ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ N 11542 ხელნაწერში ვკითხულობთ: "ბოლოს და ბოლოს ბრძანეს მისი კოცონზე დაწვა მთელი ხალხის წინაშე. მისი ან მისი მსგავსი სხვა რომელიმე ქალისა". გარდა ამისა, დასჯის წინ ჟანას არ ჩაუტარდა ზეთის ცხების საიდუმლო, რაც სავალდებულო იყო ყველასათვის, გარდა ბავშვებისა და მართლებისა.

ფრანგი ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ჟანას მაგიერ რუანში დაწვეს ჯადოქრობაში ბრალდებული ჟანა ლა ტიფეშმარიტების ნათელი არისტოკრატთა აკრძალული ვნების ნაყოფს წარმოგვიჩენს. და ბოლოს, საშუალო ფრანგი, რომელიც მრავალი თაობის განმავლობაში შეეთვისა ლეგენდას, ბუნებრივია, ძალიან მტკივნეულად გადაიტანს სასურველი გმირის დაკარგვას. ეს გმირი ხომ მისთვის იგივეა, რაც ამერიკელებისთვის კომიქსების გმირი სუპერმენი: ადამიანები მშვიდდებიან, როცა გრძნობენ, რომ ისინი მუდმივ კრძალვასა და შიშში მყოფი არსებები კი არ არიან, არამედ ისტორიის შემქმნელი ძალა. განა დომრემელი გლეხის გოგო ამის ბრწყინვალე პრეცედენტი არაა? ფრანგები უკვე მეხუთე რესპუბლიკაში ცხოვრობენ და ჟანა დ'არკის სახე ყოველ პოლიტიკურ ცვლილებასთან ერთად განიცდიდა მცირე მოდიფიკაციას. ოღონდ მთავარი ისაა, რომ ყოველი ეს მოდიფიკაცია მითის განვითარებას წარმოადგენდა და არა მის მეცნიერულ და მიუკერძოებელ ნიადაგზე დაყენებას.

აი, მაგალითიც: ყველა სახელმძღვანელოში შესულია ეპიზოდი, სადაც გერმანელები დომრემის ძარცვავენ. ეს ეპიზოდი არ დაფიქსირებულად პირველად ფრანგული ისტორიის მამის, ჟიულ მიშლეს თხზულებებში, არამედ გაცილებით უფრო გვიან დაემატა ჩვეულ ვერსიას — "საფრანგეთის ისტორიის სრულ კურსში", რომლის ავტორები არიან დეზირე ბლანშე და ჟიულ პინარი. წიგნი XIX საუკუნეში დაიწერა, მას შემდეგ, რაც საფრანგეთი დამარცხდა პრუსიასთან ომში. ამ ვერსიას მოგვიანებით აქტიურად იყენებდნენ ფრანგული ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მონაწილეებიც.

მართალია, საფრანგეთში არსებობს სხვა ავტორებიც: რობერ ამბელენი, ეტიენ ვეილ-რეინალი, ჟან გრიმო, ჟერარ პესმა. მათ წიგნებში ორლეანელი ქალწულის შესახებ სრულიად მიუკერძოებელი გამოკვლევები გაკეთდა. მაგრამ, სახელმძღვანელოებში წლიდან წლამდე, თაობიდან თაობამდე ტრიუმფალური ნაბიჯით ივლის დაუძლეველი მითი.

ორლეანელი ქალწული.

მაინც რატომ შექმნეს ორლეანელი ქალწულისაგან გლეხის გოგო?

შარლ VI-ის მეუღლე იზაბელა ბავარიელი, ანუ დედოფალი იზაბო, ისეთი ვნებიანი ქალი იყო, რომ მისი თორმეტი შვილისაგან მხოლოდ ოთხი პირველი იყო კანონიერი ქმრისაგან. 1407 წლის 10 ნოემბერს მან შვა ბოლო ქალიშვილი, ჟანა, რომელიც აღსაზრდელად მიაბარეს გაღარებებული აზნაურების, გვარად დ'არკების ოჯახს. ჟანას სახელწოდება ორლეანელი ქალწული გაცილებით უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ფრანგებმა ორლეანი აიღეს და ნიშნავს, რომ იგი ვალუას დინასტიის ორლეანელ შტოს ეკუთვნოდა. ისტორიის ასპარეზზე მისი გამოჩენაც საფრანგეთის გადარჩენას კი არ უკავშირდებოდა, არამედ გაცილებით უფრო კონკრეტულ მიზანს: სამეფო უნდა დარჩენოდა მის ნახევარძმას, მომავალ შარლ VII-ს. ჟანამ მიზანი ბრწყინვალედ შეასრულა, ხალხში უფლისწულის პოპულარობა მნიშვნელოვნად გაზარდა, თავისი ქარიზმა შემატა მას და სწორედ ამისთვის შეუნარჩუნდა სიცოცხლე მიუხედავად ინკვიზიციის განაჩენისა.

1999 წელს კანადელმა რეჟისორმა, კრისტიან დუგეიმ გადაიღო ფილმი "ჟანა დ'არკი", სადაც მთავარი როლი ლილი სობესკიმ შეასრულა, მას გვერდს უმშვენებდნენ ჟაკლინ ბისე, პიტერ ო'ტული, შირლი მაკ-ლეინი და სხვები. მოგვიანებით იგივე სათაურის სურათი გადაიღო ლიუკ ბესონმა და აქ ორლეანელი ქალწულის როლში უკვე მილა იოვოვიჩი ვიხილეთ ჯონ მალკოვიჩთან და დასტინ ჰოფმანთან ერთად. ორივე ფილმი, თუმც კი ერთმანეთს არ გვანან, ერთსა და იმავე ცრუ ვერსიას იმეორებს.

რატომ აღმოჩნდა ასე ძნელი მითის დაძლევა?

ძალიან ბევრს არ მოეწონება სიმართლის გამჟღავნება: კათოლიკურ ეკლესიას, რადგან ის ორივე პროცესშია ჩარეული — გამამტყუნებელშიც და გამამართლებელში — გარდა ამისა, მან წმინდანად შერაცხა საეჭვო წარმოშობის პრინცესა. მემარცხენეებს არ მოეწონებათ, რომ გლეხის შვილის, ხალხის სისხლისა და ხორცის მაგიერ,

ლურჯწვერას ციხე-დარბაზი და ღერბი ტიფოჟში.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

ბენედეტო კროჩე

ან საბოლოოდ გააკოტრა გავლენიანი ბარონი: სპექტაკლების სერია მას 80.000 ეკიუ უჯდებოდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ეკიუს ოქროს შემცველობა 4 გრამს უდრიდა, საუბარია 320 კილოგრამ ოქროზე. სულ მალე ბარონს მიწების გაყიდვა მოუხდა. 1437 წელს რუანში კოცონზე დამწვარი და შემდეგ მოხუც და დაქვრივებულ რაინდთან მშვიდობით დაქორწინებული ჟანა თავის მეგობართან გამოცხადდა ტიფოჟის ციხე-დარბაზში, სწორედ იმ ადგილას, რომელსაც XX საუკუნეში უნგრელმა კომპოზიტორმა, ბელა ბარტოკმა მიუძღვნა ოპერა "ლურჯწვერას ციხე-დარბაზი". სიყვარულის ხელახალი ტალღით შეპყრობილმა ბარონმა უკანასკნელი სახსრები შეაგროვა და შეკრიბა ჯარი, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. ორლეანელი ქალწულის სახელით იგი 1439 წლამდე ამარცხებდა ინგლისელებს, მაგრამ იმ საბედისწერო წელს დაატყვევეს და ინკვიზიციის სამართალს გადასცეს.

წამება სამართლის გარკვევის მეტად ორაზროვანი ხერხია: ჟილ დე რემ აღიარა ყველაფერი, რასაც მისგან მოითხოვდნენ: ეშმაკთან ხელშეკრულებაც და ასორმოცი ქრისტიანი ბავშვის მკვლელობაც, თუმცა არ ესმოდა, რატომ დაეხვია თავს ეს უბედურება. 1440 წლის 21 ოქტომბრით დათარიღებულ დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ მის სიტყვებს: "მე უკვე იმდენი რამ ავიღე ჩემს თავზე, რომ ათიათასი კაცის დასაწვავად იკმარებს".

ჟილ დე რეს არ ესმოდა, მაგრამ ისტორიამ კარგად იცის, რატომ განურისხდა იღბალი ლურჯწვერას. ნიჭიერი სარდალი მეტად გულბრყვილო კაცი იყო: როდესაც საბოლოოდ გაფლანგა თავისი ქონება, მდგომარეობის გამოსწორება ალქიმიის საშუალებით გადაწყვიტა. ეს სრულიად ჩვეულებრივი საქმე იყო: ჩარლზ II სტიუარტი, გერმანიის იმპერატორი რუდოლფი და ბევრი სხვაც ცდილობდა იმავეს. ისინი ინკვიზიციის ბრჭყალებში არავის ჩაუგდია, საერთოდ, კოცონზე უფრო ხშირად უშუალო შემსრულებლები ადიოდნენ და არა მათი დამკვეთები. ლურჯწვერას ალქიმიური იმედების უშუალო შემსრულებელი იყო იტალიელი ფრანცისკელი მოწესე, ოცდაოთხი წლის ფრანჩესკო პრელატი. მას ბარონის რამდენიმე ნათესავიც ეხმარებოდა. მაგრამ ყველანი გაათავისუფლეს პროცესისაგან. კოცონზე სიკვდილი მხოლოდ ბრეტონელი არისტოკრატიის წინამძღოლს, საფრანგეთის მარშალსა და ასწლიანი ომის გმირს, ჟილ დე რეს მოუწია. რატომ?

პასუხი მარტივია. მეფე შარლ VII-ს უჭირდა, ამიტომაც საჭირო იყო ბარონის ქონების კონფისკაცია. რა ქონება უნდა ჰქონოდა იმას, ვინც უკვე ყველაფერი დაახარჯა ორლეანელი ქალწულის სიყვარულს? — ხმა გავარდა, თითქოს ტიფოჟის ციხე-დარბაზში განმარტოებულმა ბარონმა უკვე მოიპოვა ფილოსოფიური ქვა, რის შედეგად უკვე აღარ იცის, სად წაიღოს წარმოებული ოქრო. ამ ვერსიას ისიც ადასტურებდა, რომ ბარონის ერთი მეორის მიყოლებით აიარაღებდა რაზმებს და ქალბატონ დეზ არმუაზის (ყოფილი ორლეანელი ქალწულის) დროშებს ქვეშ აბრძოლებდა ინგლისელების წინააღმდეგ.

ისტორიული ლურჯწვერა, ჟილ დე რე.

რას იზამ, იმ დროს ცოტა ვინმე თუ დაიჯერებდა, რომ სიყვარულის გამო კაცს მთელი ქონების განიავება შეეძლო — უფრო სარწმუნო იყო სინდიყისა და ტყვიის ოქროდ ქცევის ამბავი.

შარლ VII-ს კი ამგვარი ქცევა გვარში ჰქონდა: ჯერ კიდევ ასი წლის წინათ მისმა წინაპარმა, ფილიპე IV-მ, ტამპლიერთა ორდენი გააუქმა მისი "ურიცხვი სიმდიდრის" დასაპატრონებლად და მისი დიდი მაგისტრი, ჟაკ დე მოლე კოცონზე დაწვა. მართალია, ბარონის ხმალმა დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთის გვირგვინს, მაგრამ ომი დასასრულს უახლოვდება, ფული კი დღესაა საჭირო...

საფრანგეთის მარშალის ბედი გადაწყვეტილი იყო. ორლეანელი ქალწული მას ვერ დაეხმარა. ალბათ არც უფიქრია დახმარება... ბარონი, მის მიერ გაღმერთებული ჟანასაგან განსხვავებით, მართლა დაწვეს კოცონზე.

მართალია, მეფეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ოქრო ვერ იპოვეს, ვერც ფილოსოფიურ ქვას მიაგნეს, ცარიელი ციხე-დარბაზი და მის გარშემო დაგირავებული სანახები, აბა, ვის აინტერესებდა. აქ კიდევ ერთი მომენტი იყო, არანაკლებ ფაქიზი: თუ ჟანა ინგლისელებმა გაასამართლეს და ფრანგებმა ამის საპასუხოდ ქალბატონ დეზ არმუაზის სიკვდილის შემდეგ 1451 წელს გამამართლებელი პროცესი მოაწყვეს, ჟილ დე რეს შემთხვევაში ასე ვერ მოიქცეოდნენ, რადგან, ჟანასაგან განსხვავებით, თვით ფრანგმა მეფემ გაიმეტა უბედური სასიკვდილოდ. ამავე დროს, არც საქმის ჩაფარცხვა გამოდიოდა: ბევრი ვინმე იყო ჩარეული სამარცხვინო პროცესში.

ამიტომაც, ბარონის სიკვდილის შემდეგ მისი ქალიშვილის ქმარს, პრეჟან დე კოეტივის მეფემ უბოძა სიმამრის ღერბი და მისი სახელის ტარებაც უბრძანა. არავინ იცის, შეუმსუბუქდა თუ არა ლურჯწვერას მდგომარეობა საიქიოში, მაგრამ მეფემ მისი რეაბილიტაციისთვის ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ბარონის შთამომავლებს მისი სახელისა და ღერბის ტარება მაშინაც დიდ პატივად მიაჩნდათ, როცა დედები შვილებს ლურჯწვერათი აშინებდნენ.

XX საუკუნეში სკანდალურმა, თუმც კი ისტორიოგრაფიაში მეტად ზუსტმა ავტორმა ჟორჟ ბატაიმ თავის წიგნში "ჟილ დე რეს პროცესი" ეჭვქვეშ დააყენა ბარონის ბრალეულობა. საფრანგეთში დაარსდა ჟილ დე რეს მეგობართა საზოგადოება. 1992 წელს მწერალ ჟილბერ პრუტოს ინიციატივით გაიმართა სასამართლო პროცესი, რომელმაც განიხილა 1440 წელს ნანტში ჩატარებული პროცესის მასალები და გამოიტანა ჟილ დე რეს უდანაშაულობის ვერდიქტი.

ამ დროიდან ლურჯწვერა ოფიციალურადაც რეაბილიტირებულია, მაგრამ მისდამი სახალხო დამოკიდებულებას ეს მაინც ვერ შეცვლის, რადგან მითში ცხოვრება რეალობაზე უფრო ტკბილი და უსაფრთხოა, თუნდაც ამისათვის ცალკეული ნიჭიერი და ვნებას აყოლილი ადამიანების შეწირვა იყოს საჭირო.

ლურჯწვერა - რეჟისორ, ჟორჟ მელიესის ნახატი (1902 წელი).

იტალო კალვინო

უხილავი ქალაქები

ლელა გერიძის
თარგმანი იტალიურიდან

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №1, 2, 3, 4, 5, 6, 7

VIII თავი

სამეფო ტახტის ფეხებთან კერამიკის იატაკი იყო გადაჭიმული. მუნჯი ინფორმატორი - მარკო პოლო - მასზე გამოაწყობდა იმპერიის უკიდურეს საზღვრებამდე მოგზაურობებიდან ჩამოტანილი ნავაჭრის ნიმუშებს: მუზარადს, ნიჟარას, ქოქოსის კაკალს, მარაოს. საგნებს გარკვეული წესრიგით განალაგებდა შავ-თეთრ ფილებზე და ნელ-ნელა გადააადგილებდა მათ გამოთვლილი მოძრაობებით, ელჩი ცდილობდა, მონარქისთვის წარმოედგინა მოგზაურობისას შეხვედრილი გამოცდები, იმპერიის მდგომარეობა, წარსულის მთავარი ადგილების განსაკუთრებული პრივილეგიები.

ყუბლაი ყურადღებიანი მოჭადრაკე იყო; მარკოს ჟესტებს აკვირდებოდა და ხედავდა, რომ გარკვეული საგნები მოითხოვდნენ ან გამორიცხავდნენ სხვა საგნების სიახლოვეს და გარკვეული ხაზების მიხედვით გადაადგილდებოდნენ. ყურადღებას არ აქცევდა საგნების ფორმების მრავალფეროვნებას და კერამიკის იატაკზე მათი ერთმანეთის მიმართ განლაგების ხასიათს განსაზღვრავდა. გაიფიქრა: "თუ ყოველი ქალაქი ჭადრაკის პარტიას ჰგავს, როცა მის წესებს ვისწავლი, იმ დღეს საბოლოოდ ჩემი იმპერიის ფლობასაც შევძლებ, მიუხედავად იმისა, რომ ვერასოდეს გავიცნობ ყველა იმ ქალაქს, რომელსაც იგი შეიცავს".

საერთოდ კი, მარკო ამდენ წვრილმანს ტყუილად მიმართავდა, თავის ქალაქებზე რომ ეამბნა მისთვის; საკმარისი იქნებოდა ერთი ჭადრაკის დაფა თავისი ფიგურებით, რომელთა ფორმების კლასიფიკაციაც ზუსტადაა შესაძლებელი. ყოველ ფიგურას შესაფერისი მნიშვნელობა მიეწერებოდა: ცხენი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ნამდვილი ცხენი, ასევე ეტლების კორტეჟი, ჯარი ლაშქრობისას, ცხენზე ამხედრებული კაცის ძეგლი; დედოფალი კი აივანზე გამოსული ქალბატონი, შადრევანი, წაწვეტებულგუმბათიანი ეკლესია, კომშის ხე.

ბოლო მისიიდან რომ დაბრუნდა მარკო, ხანი ჭადრაკის დაფასთან იჯდა და მარკო პოლოს ელოდებოდა. ხელის ერთი მოძრაობით თავის პირდაპირ დასაჯდომად მიიწვია და ნანახი ქალაქების აღწერა მხოლოდ ჭადრაკის ქვების დახმარებით სთხოვა. ვენეციელი არ დაიბნა. ხანის ჭადრაკის ქვები გათლილი სპილოს ძვლის დიდი ფიგურები იყო: საჭადრაკო დაფაზე განაწყობდა მუქარით სავსე ეტლებს და მფრთხალ ცხენებს, ახვავებდა პაიკების გუნდებს, კვალავდა დედოფლის სვლასავით პირდაპირ თუ მიხვეულ-მოხვეულ პროსპექტებს, ასე თავიდან ქმნიდა მარკო შავ-თეთრი ქალაქების ხედებსა და სივრცეებს მთვარიან ღამეებში.

ყუბლაი შეჰყურებდა ამ არსებით პეიზაჟებს და ფიქრობდა იმ უხილავ წესრიგზე, რომელიც მართავს ქალაქებს, იმ წესებზე, რომელსაც პასუხობს ქალაქების წარმოშობა, ფორმის მიღება, აყვავება, წელიწადის დროებზე მორგება, დაკნინება და დაქცევა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ აგერ-აგერ აღმოაჩენს ლოგიკურ და ჰარმონიულ სისტემას, რომელიც უსასრულო სიმახინჯეს და არაჰარმონიულობას ექვემდებარება, მაგრამ ვერცერთი მოდელი ვერ უძლებდა ჭადრაკის თამაშის მოდელთან შედარებას. იქნებ იმის მაგივრად, რომ ტვინი ეჭყლიტა და სპილოს ძვლის ფიგურების უსუსური დახმარებით ისედაც დასავიწყებლად განწირული წარმოდგენები გამოეწვია, საკმარისი იყო, ერთი ხელი ეთამაშა წესების დაცვით და დაჰკვირვებოდა ჭადრაკის დაფის ყოველ შემდეგ მდგომარეობას, როგორც ერთ უამრავ ფორმათაგანს, რომელსაც ფორმების სისტემა ადგენს და ანგრევს.

ახლა ყუბლაი ხანს აღარ სჭირდებოდა მარკო პოლოს შორეულ ექსპედიციებში გაგზავნა: გვერდიდან არ იცილებდა და უსასრულოდ ეთამაშებოდა ჭადრაკს. იმპერიის ცნობა დაფარული იყო მონახაზში, რომელიც ცხენის კუთხოვანი ნახტომებით იქმნებოდა, იქმნებოდა დიაგონალური გასასვლელებით, კუების თავდასხმებს რომ ეხსნებიან, მეფის და საწყალი პაიკის ფეხათრეული და ფრთხილი ნაბიჯით, ყოველი ხელის ამოუწურავი ალტერნატივებით.

დიდებული ხანი თამაშში ჩართვას ცდილობდა, მაგრამ ახლა უკვე თამაშის მიზეზი დავიწყებოდა. ყოველი ხელი ან მოგებით მთავრდება ან წაგებით - მაგრამ რისი წაგებით ან მოგებით? სად მარხია ძალის თავი? შამათის დროს მოგებულს რომ მეფე აჰყავს, მის ქვეშ არაფერი რჩება - რჩება ან შავი ან თეთრი კვადრატი. თავისი დაპყრობების დანაწევრებით, მათი არსის შესაცნობად, ყუბლაი ექსტრემალურ დასკვნამდე მივიდა: საბოლოო დაპყრობა, რომლისთვისაც იმპერიის ათასგვარი განძეულობა სხვა არაფერი იყო, გარდა ილუზიური გარსისა, გათლილ ხის ნაჭრამდე, ნულამდე დადიოდა...

ქალაქები და სახელი. 5.

ქალაქ ირენეს დაინახავ, თუ ზეგნის თხემიდან მაშინ გადაიხედავ, როცა შუქები აინთება და სუფთა ჰაერში იქ, ქვემოთ, სიღრმეში წყლისგან გადარეცხილი ადგილი გამოჩნდება, სადაც ფანჯრები ერთმანეთს მიჯრით მიწყობიან, ძლივს განათებულ პატარა ქუჩებად დაყოფილ ქალაქში ბაღების ჩრდილები დახვავებულა, სანიშნე ცეცხლიანი კოშკები აღმართულა; და თუ საღამო ნისლიანია, მკრთალ ნათებასაც დაინახავ, რომელიც პატარა ყურეების ძირას რძიანი ღრუბელივით იბერება. ზეგნის მგზავრები, მეცხვარეები, ფარებს რომ უცვლიან საძოვარს, მეჩიტეები, ბადეებს რომ ყარაულობენ, განდეგილები, ბოლოკს რომ აგროვებენ, ყველანი იხედებიან ქვემოთ და ირენეზე ლაპარაკობენ. ხანდახან ქარს მოაქვს დაფდაფების და საყვირების მუსიკა, საზეიმო განათებაში ტკაცუნების ტკაცატკუცი; ხანაც ფინდიხის გასკდომის, წამლის საწყობის აფეთქების ხმა სამოქალაქო ომის ხანძრებით გადაყვითლებულ ცაში. ზემოდან რომ დაჰყურებენ ქალაქს, ისინი იმის გამოცნობით არიან დაკავებულები, თუ რა ხდება ქალაქში, ფიქრობენ, ეღირებოდა თუ არა იმ საღამოს ირენეში ყოფნა. იქ წასვლას კი არ აპირებენ - გზები, ქვემოთ რომ ჩაუყვებიან ხეობას, ხომ არ ვარგა, - მაგრამ ირენე აჯადოებს ზემოთმყოფთა მზერასა და ფიქრს.

ამ დროს ყუბლაი ხანი ელის, რომ მარკო შიგნიდან დანახულ ირენეზე უამბობს.

მარკოს კი ეს არ შეუძლია: მან ვერ გაიგო, რომელი შეიძლებოდა ყოფილიყო ის ქალაქი, ზეგნელები რომ ირენეს უწოდებენ; მეორე მხრივ, რა მნიშვნელობა აქვს ამას: მის სანახავად ქალაქის ცენტრში რომ მდგარიყო, სხვა ქალაქი იქნებოდა: ირენე ქალაქის სახელია შორიდან და თუ უახლოვდები, იცვლება.

ქალაქი ერთია მათთვის, ვინც მას გვერდს აუვლის და იქ არ შევა, და სხვაა მათთვის, ვინც მან გადაყლაპა და იქიდან ველარ გამოდის; ერთია ქალაქი, რომელშიც პირველად ჩადიხარ, სხვაა - თუ ამ ქალაქს ტოვებ, რომ აღარასოდეს დაბრუნდე იქ; თითოეული განსხვავებულ სახელს იმსახურებს; ირენეზე იქნებ კიდეც ვილაპარაკე სხვა სახელებით; ან სულაც ირენეს გარდა არც არაფერზე მილაპარაკია.

ქალაქები და წასულები. 4.

არჯას სხვა ქალაქებისგან ის განასხვავებს, რომ ჰაერის ნაცვლად მიწა აქვს. ქუჩები მთლად დამარხულია, ოთახები ჭერამდე სავსეა თიხით, კიბეებს ზემოდან აწევს მეორე, ამოტრიალებული კიბე, სახლების სახურავებს ამძიმებენ კლდოვანი მიწის ფენები, თითქოს ღრუბლიანი ცააო. შეუძლიათ თუ არა მცხოვრებლებს ქალაქში გავლა ჭიების ხვრელებისა და ბზარების გაფართოებით, სადაც ფესვები შემძვრალან, არ ვიცით: ტენი შლის სხეულებს და აუძლურებს მათ; უპრიანია, რომ არ გაინძრენ და იწვნენ, მაინც ხომ ბნელა.

აქედან, ზემოდან არჯასას ვერაფერს დაინახავ; ზოგი ამბობს: "ქვემოთააო" და ისღა დაგრჩენია, რომ დაიჯერო; ადგილები გაუდაბურებულია. ღამით მიწას თუ დაადებ ყურს, გაიგონებ, სადღაც როგორ ჯახუნებს კარი.

ქალაქები და ცა. 3.

ვინც თეკლაში ჩადის, ქალაქისას ცოტას ხედავს ფიცრების მესრების, ტომრებისა და ტილოების თავშესაფრების, ხარაჩოების, ლითონის არმატურების იქით, თოკებით დაკიდებული ან მოლბერტებზე მდგარი ხის ხიდების, მისადგმელი კიბეების, ხარაჩოების მიღმა. კითხვაზე: რატომ გრძელდება თეკლას შენება ამდენ ხანს? - მცხოვრებლები ვედროების აწევის, თოკების დაშვების, გრძელი ფუნჯების ზემოთქვემოთ სმის შეუწყვეტლად პასუხობენ, - რომ არ დაიწყოს დანგრევა. თუ ჰკითხავთ, ხომ არ ეშიანიათ, რომ ქალაქი ხარაჩოების მოხსნისთანავე დაიწყებს დანგრევას და ნაწილებად დაიშლება, სწრაფად ამატებენ ხმადაბლა: - არა მხოლოდ ქალაქი.

თუ ვინმე პასუხით უკმაყოფილოა და მესრის ჭუჭრუტანაში შეიჭყიტება, დაინახავს ამწეს, რომელიც სხვა ამწეებს წევს მაღლა, კარკასებს, რომლებიც სხვა კარკასებზეა გადაცმული, მორებს, რომლებიც სხვა მორებს იჭერენ.

n რა აზრი აქვს თქვენს შენებას? - შეკითხვა. - რა არის მშენებარე ქალაქის ბოლო, თუ არა ქალაქი? სადაა გეგმა, რომელსაც ასრულებთ, პროექტი?

n დღის ბოლოს გაჩვენებთ, ახლა ვერ გავჩერდებით, - პასუხობენ. სამუშაო მზის ჩასვლისას მთავრდება. ღამე ეშვება მშენებლობაზე. ვარსკვლავიანი ღამეა.

- აი, პროექტი, - ამბობენ.

გაგრძელებული ქალაქები. 2.

ტრუდეში რომ დავჯექით, დიდი ასოებით დაწერილი ქალაქის სახელი რომ არ წამეკითხა, მეგონებოდა, ისევ იმ აეროპორტში ჩამოვფრინდი, რომლიდანაც გამოვემგზავრე. ქალაქის გარეუბნები, რომლებიც გავიარეთ, არაფრით განსხვავდებოდნენ სხვა ქალაქების გარეუბნებისგან, მოყვითალო და მომწვანო სახლებიც. იმავე ისრების საშუალებით იმავე მოედნების იმავე გაზონებს ჩავუვლიდით. ცენტრის ქუჩებზე გამოფენილი იყო საქონელი, შესაფუთი მასალები, აბრები, სწორედ ისეთივე, როგორც სხვა ქალაქებში. პირველად ვიყავი ტრუდეში, მაგრამ უკვე ვიცნობდი სასტუმროს, რომელშიც მომიხდა გაჩერება; უკვე გაგონილი და გამართული მქონდა საუბრები ჯართის მყიდველ-გამყიდველებთან; ამ დღის მსგავსი სხვა დღეებიც ისევე დამთავრდა იმავე ჭიქებში ცქერისას აღმოჩენილი იმავე მობარბაცე ცენტრების ყურებით.

რას ჩამოდიოდი ტრუდეში? ვეკითხებოდი საკუთარ თავს. და უკვე გამგზავრება მინდოდა.

- როცა გინდა, შეგიძლია, ისევ გაფრინდე, - მითხრეს, - მაგრამ სხვა ტრუდეში ჩახვალ, ამის მსგავსში უკანასკნელ დეტალამდე, სამყარო მთლიანად დაფარულია ერთადერთი ტრუდეთი, რომელიც არც იწყება და არც მთავრდება, მხოლოდ სახელები ეცვლება აეროპორტში.

დაფარული ქალაქები. 1.

ოლინდაში ლუპით თუ ჩახვალ და კარგად მიიხედ-მოიხედავ, სადღაც ერთ წერტილს იპოვნი, რომელიც სიდიდით ქინძისთავის თავს არ აღემატება, და თუ მას ცოტას გაადიდებ და დააკვირდები, შიგ დაინახავ: სახურავებს, ანტენებს, შენობების ზედა განათებებს, ბაღებს, აუზებს, ქუჩების გადამკვეთ ზოლებს, კიოსკებს მოედნებზე, დოღის ველს. ის წერტილი არ ჩერდება: ერთი წლის შემდეგ იგი უკვე ნახევარი ლიმონისხელა იქნება, მერე პატარა სოკოსხელა, შემდეგ წვნიანის მათლაფისხელა. და ასე გადაიქცევა წინანდელ ქალაქში მომწყვდეულ ბუნებრივი სიდიდის ქალაქად: ახალი ქალაქი წინანდელი ქალაქის წიაღში ფართოვდება და წინანდელ ქალაქს გარეთკენ უბიძგებს.

ოლინდა, რა თქმა უნდა, არაა ერთადერთი ქალაქი, რომელიც კონცენტრულ წრეებად იზრდება, ხეების ტანების მსგავსად, რომლებიც ყოველ წელს ერთი წრით იმატებენ. მაგრამ სხვა ქალაქებს შუაში რჩებათ გალავნის ძველი ვიწროზე ვიწრო რგოლი, რომლიდანაც გამხდარი სამრეკლოები, კოშკები, კრამიტის სახურავები, გუმბათები ამოიჭყიტებიან, მაშინ, როცა გარშემო ახალ უბნებს გადმოუყრიათ ღიპები, თითქოს ქამარი უჭერთო. ოლინდაში კი - არა: ძველი გალავანი ფართოვდება და თან მიაქვს ძველი უბნები, ისინი გაზრდილან, მაგრამ პროპორციები შეუნარჩუნებიათ უფრო ფართო ჰორიზონტზე ქალაქის საზღვრებამდე; ისინი გარს არტყიან ნაკლებად ძველ უბნებს, რომლებმაც ასევე იმატეს პერიმეტრში და შეთხელდნენ, რომ ადგილი დაეთმოთ უფრო ახლებისთვის, შიგნიდან რომ აწვებიან მათ; და ასე გრძელდება ქალაქის გულამდე: მთლად ახალი ოლინდა, რომელიც თავის შემცირებულ განზომილებებში ინარჩუნებს წინა ოლინდასა და ყველა ერთიმეორისგან აღმოცენებული ოლინდების ნაკვთებსა და ლიმფის დინებას; და თუმცა ძნელია მათი გარჩევა, ამ უფრო შიდა წრის შიგნით კიდევ აღმოცენდებიან მომავალი ოლინდა და ისინი, რომლებიც შემდგომში გაიზრდებიან.

დიდებული ხანი თამაშში ჩართვას ცდილობდა, მაგრამ ახლა უკვე თამაშის მიზეზი დავიწყებოდა. ყოველი ხელი ან მოგებით მთავრდება ან წაგებით - მაგრამ რისი წაგებით ან მოგებით? სად მარხია ძაღლის თავი? შამათის დროს მოგებულის ხელს რომ მეფე აჰყავს, მის ქვეშ არაფერი რჩება - რჩება ან შავი ან თეთრი კვადრატი. თავისი დაპყრობების დანაწევრებით, მათი არსის შესაცნობად, ყუბლაი ექსტრემალურ დასკვნამდე მივიდა: საბოლოო დაპყრობა, რომლისთვისაც იმპერიის ათასგვარი განძეულობა სხვა არაფერი იყო, გარდა ილუზიური გარსისა, გათლილ ხის ნაჭრამდე დადიოდა.

მაშინ მარკო პოლომ უთხრა:

- შენი ჭადრაკის დაფა, მეუფეო, ორი ხის - ებანისა და ნეკერჩხლის - ინტარსიაა. ეს ნაჭერი, შენი ნათელი მზერა რომ ეცემა, გვალვიან წელს გაზრდილი ხიდან გამოუჭრიათ: ხედავ, ბოჭკოები როგორ განლაგებულან? აგერ ძლივს ჩანს ერთი კვანძი: ადრეული გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ერთ კვირტს გამოკვირტვა უცდია, მაგრამ ღამის ჭირხლით შეშინებული უკანვე შემძვრალა.

დიდებულმა ხანმა ახლაღა შენიშნა, რომ უცხოელმა წყალივით იცოდა მისი ენა, მაგრამ ეს არც აოცებდა.

- აი, უფრო დიდი ნასვრეტი, ალბათ, მატლის ბუდე თუ იქნებოდა; ხის ჭიისა კი არა, ეგ ხომ დაბადებიდანვე ჩიჩქნას გააგრძელებდა, უფრო მუხლუხოსი, რომელმაც ფოთლები დაღრღნა და იმის მიზეზად იქცა, ეს ხე რომ მოსაჭრელად ამოირჩიეს.... ხის მჭრელს ჩამოუთლია საჭრეთლით ეს კუთხე, მეზობელი გამოწეული კვადრატისთვის უკეთ რომ მიეწებებინა იგი...

ყუბლაი ინთქმოდა საგანთა რაოდენობაში, რომელთა ამოკითხვაც ამ პატარა პრიალა და ცარიელ ხის ნაჭერზე შეიძლებოდა; პოლო უკვე ებანის ტყეებზე საუბრობდა, ხის ტანიდან გაკეთებულ ბორნებზე, რომლებიც მდინარეებზე ეშვებიან, საუბრობდა ნავსაყუდლებზე, ქალებზე, ფანჯრებიდან რომ იყურებიან...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

განსაკუთრებული “მაზერატი”



მერაბ ლორთქიფანიძე

იყო დრო, როცა მილიონს მხოლოდ რარიტეტულ ავტომობილებში იხდიდნენ. მაგრამ, ცოტა ხნის წინ, გამოჩნდა ავტომობილი, რომლის შეძენის მსურველსაც მილიონი ევროს გადახდა უნევს. ამ ავტომობილის სახელია “ბუგატი ვეირონი”. რა თქმა უნდა, მსოფლიოში არცთუ ბევრი იქნება ისეთი ავტომოყვარული, რომელიც თუნდაც სუპერავტომობილში ამხელა თანხის გადახდას ისურვებს.

თუმცა, “ბუგატის” და მისი მფლობელი “ფოლკსვაგენის” მიერ გადადგმულ ნაბიჯს მალე სხვებმაც აუბეს ფეხი. კერძოდ, იტალიური კომპანია “მაზერატი” მალე დაიწყებს თავისი ახალი შედევრის, “მაზერატი MC12 კორსას” გამოშვებას, რომლის ფასი ასევე მილიონი ევრო იქნება. ოღონდ...

“ვეირონისგან” განსხვავებით, “MC12 კორსა” არც საერთო სარგებლობის გზებზე სიარულისთვისაა განკუთვნილი და არც რბოლებისთვის. მწარმოებელი აცხადებს, რომ ამ ავტომობილით სარგებლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სარბოლ ტრასებზე, ოღონდ მაშინ, როცა იქ ეგრეთ წოდებული “ტრასის დღეები” (ცნობისათვის, ასეთი დღეებით ცნობილია გერმანულ ავტოდრომ “ნურბურგრინგის” დიდი მარყუჟი, რომელიც უკვე დიდი ხანია, რბოლებისთვის აღარ გამოიყენება) ცხადდება.

ახალი ავტომობილი დამზადდება იმავე პლატფორმაზე, რომელზეც ბაზირებულია ორი სახელოვანი ავტომობილი - “ფერარი ენცო” (მაზერატიც და ფერარიც ფიატ-ს ეკუთვნის) და “მაზერატი MC12”. ცნობისათვის, ეს უკანასკნელი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია დიდი ტურიზმის კლასში.

“სპორტული ავტომობილების მოყვარულებს შესანიშნავი საშუალება ექმნებათ, იყიდონ მანქანა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატი აქვს მოგებული. ამ ავტომობილის შექმნის იდეა მყიდველმა მოგვაწოდა, რომლებსაც სურდათ, მიეღოთ სარბოლი MC12-ის მსგავსი ბოლიდი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა სარბოლ ტრასებზე “ტრასის დღეებში” გამოსვლა. ავტოდრომებით კერძო პირების სარგებლობა ძალიან პოპულარული გახდა, რასაც ჩვენი პროდუქციის მომხმარებელიც პასუხობს. ჩვენც მოვალენი ვიყავით, მათი მოთხოვნა დაგვეკმაყოფილებინა”, - ამბობს “მაზერატის” ავსტრალიური და ახალზელანდიური განყოფილების გენერალური მენეჯერი ედვარდ ბატლერი.

ავტომობილის პლატფორმა თავის დროზე, “ფერარის” კონსტრუქტორებმა დაამზადეს, რომლებმაც გამოიყენეს ფორმულა ერთის ბოლიდების შექმნის ტექნოლოგიები. მზიდი კონსტრუქცია თითქმის მთლიანად ნახშირბადოვანი კომპოზიტისგანაა დამზადებული. სხვათა შორის, სპეციალურად “ტრასის დღეებისთვის” განკუთვნილი პირველი ასეთი ავტომობილი “ფერარიმ” დაამზადა (სუპერკუპე FXX).

“MC12 კორსას” აღჭურვილია 6-ლიტრიანი V12 კონფიგურაციის ძრავით, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 755 ცხენის ძალას, მაქსიმალური ბრუნთა რიცხვი კი 8000 ბრ/წთ-ს აღწევს. ასეთი დიდი სიმძლავრის მოსათვინიერებლად, ავტომობილი აღჭურვილია კომპანია “ბრემბოს” (ფერარის პარტნიორია ფორმულა ერთში) ზემძლავრი მუხრუჭებით, რომლის დისკები ფოლადისგან, ხუნდები კი ნახშირბადოვანი კომპოზიტისგანაა დამზადებული.

შესაბამისად, მოდიფიცირებულია ტრანსმისიაც. რა თქმა უნდა, ის არანაირ ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემას არ შეიცავს. ძრავთან შეწყვილებულია კომპიუტერით კონტროლირებადი, ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფი “კამბიოკორსა”. მძღოლი და მისი ერთადერთი მგზავრი კი თავსდებიან სარბოლ სავარძლებში, რომლებიც დიდი კომფორტულობით არ გამოირჩევიან, მაგრამ სამაგიეროდ, შესანიშნავად უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას.

მოკლედ, “მაზერატი MC12 კორსაში” ყველაფერი “ფერარი FXX-გან” არის ნასესხები. ოღონდ, ძრავიც ოდნავ სუსტია და მთლიანად ავტომობილის ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლებიც ოდნავ უარესი. ასე განსაჯეთ, ფასიც “ოდნავ” ნაკლებია - თუ FXX 1.5 მილიონი ევრო ღირს, “მაზერატი MC12 კორსაში” მილიონის გადახდა მოგიწევთ.

სამაგიეროდ, თუ FXX-ს მხოლოდ 29 მყიდველი ეყოლება (უკვე ჰყავს), “MC12 კორსას” შეძენის ბედნიერება წილად მხოლოდ იმ 12 ავტომოყვარულს ხვდება, რომლებსაც “მაზერატი” თავისი ერთგული მყიდველის სტატუსს მიანიჭებს.

რუსულ-ბალტიკური “იმპრესია”

რუსულმა საინჟინრო სტუდია “A:ლეველმა” და გერმანულმა კომპანია “გერგ-მა” ერთობლივად მოამზადეს და იტალიის სადიზაინერო კონკურსს “კონკორსო დ’ელეგანცა ვილა დ’ესტეზე” წარადგინეს ექსკლუზიური სპორტული ავტომობილი, რომელიც საზოგადოებას “რუსო-ბალტ იმპრესიის” სახელით გაეცნო.

ავტომობილისთვის სახელად “რუსო-ბალტის” შერჩევა შემთხვევითი სულაც არაა. ასი წლის წინ იგივე სახელწოდების ვაგონმშენებელმა ქარხანამ ქალაქ რიგაში 1907 წელს პირველი ავტომობილი გამოუშვა.

ეს იყო ღია, ორადგილიანი მანქანა, რომელიც 30-ცხენისძალიანი ძრავით იყო აღჭურვილი. წარმოების დაწყებიდან მალე, კერძოდ კი 1912 წელს ქარხანამ სპორტული მოდელიც გამოუშვა, რომელმაც ორჯერ მოიგო მონტე კარლოს რალი. კარგი მახასიათებლების გარდა, “რუსო-ბალტი” მეტად საიმედო კონსტრუქციისაც გამოდგა, რის გამოც, პირველი რამდენიმე ეგზემპლარი იმპერატორისა და მისი ამალისთვის დამზადდა.

თუმცა, რიგის ქარხანას, რომლის ერთი საამქრო მალე საავტომობილო ქარხანად გადაკეთდა, დიდხანს არ უმუშავია. პირველ მსოფლიო ომს, შემდეგ კი რევოლუციას, ქარხნის გაჩერება მოჰყვა. რევოლუციის შემდეგ კი მთელს ქვეყანაში ძნელად თუ მოიპოვებოდა ადამიანი, ვინც ავტომობილის შეძენას შეძლებდა, ან გაბედავდა.

“რუსო-ბალტს” მერმის ასი წელი უსრულდება. ჰოდა, რუსმა და გერმანელმა ენთუზიასტებმა სახელოვანი მარკის გაცოცხლება განიზრახეს. პარტნიორებმა სპეციალურად დაარეგისტრირეს ახალი კომპანია სახელწოდებით “რუსო-ბალტი”, რომელიც შეკვეთებით დაამზადებს სუპერავტომობილ “იმპრესიას”.

ავტომობილი ელეგანტური გამოვიდა. ერთი შეხედვით, მისი დიზაინი რეტრო-სტილისაა, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. “იმპრესია” გარეგნობით სულაც არ მოგვაგონებს იმ ავტომობილს, რომელმაც ოდესღაც ორჯერ მოიგო მონაკოს რბოლა. მეტიც, მის გარეგნობაში დაკვირვებული თვალი “ბუგატის” ლეგენდარულ მოდელებთან მსგავსებას უფრო აღმოაჩენს. ბუნებრივია, ეს ნიშნავს, რომ ის მეტად ელეგანტური გამოვიდა და რაღა გასაკვირია, რომ სახელიც შესაბამისი (იმპრეშნ შთაბეჭდილების მოხდენას ნიშნავს) აქვს.

შორეული წინამორბედისგან განსხვავებით, ახალი “რუსო-ბალტი” ოთხადგილიანია. თუ პირველი ავტომობილები კომფორტული და მდიდრული იყო, “იმპრესიას” საკმაოდ ვიწრო და მდიდრულად (ძვირადღირებული აფრიკული ხითა და ბელგიური ტყავით) გაწყობილი სალონი აქვს, სადაც გაჭირვებით თავსდება ოთხი ადამიანი. სამაგიეროდ, მას აქვს ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც სუპერავტომობილების ნებისმიერ მოყვარულს მიიზიდავს.

ავტომობილის მზიდი კარკასი შეკრულია ფოლადის მილებისგან, გარეთა პანელები კი ნახშირბადოვანი კომპოზიციური მასალებითაა დამზადებული. ამის წყალობით, “იმპრესია” გამოვიდა ძალიან ხისტი და მსუბუქი. კაპოტქვეშ განლაგებულია “მერსედეს-ბენცის” ცნობილი V12, რომლის მუშა მოცულობა 6 ლიტრი, სიმძლავრე კი 555 ცხენის ძალაა.

სხვათა შორის, მწარმოებელი აცხადებს, რომ მყიდველის სურვილის შესაბამისად, შეუძლია ავტომობილის სხვა აგრეგატებით აღჭურვაც. ოღონდ, ჯერ არ დაკონკრეტებულა, თუ რომელი კომპანიის წარმოებისაა ეს აგრეგატები.

ცნობისათვის, “A:ლეველმა” სახელი თავისი პირველივე ნამუშევრით გაითქვა. სტუდიის კონსტრუქტორებმა პოპულარულ საბჭოურ მოდელ “ვოლგა გაზ-21-ის” ბაზაზე შექმნეს სუპერავტომობილი “ვოლგა V12”, რომელიც “ბეემვე 850-დან” აღებული V12 ძრავით აღჭურვეს.

მოსკოველი ინჟინრების პირველი ნამუშევარი 150 ათას დოლარად შეფასდა, “რუსო-ბალტ იმპრესიას” შეძენის მსურველს კი, არც მეტი, არც ნაკლები, 1.8 მილიონი დოლარის გაღება მოუწევს! კომპანიას დაგეგმილი აქვს სულ 15 ცალი “იმპრესიის” გამოშვება. მაგრამ შესაბამისი შეკვეთების არსებობის შემთხვევაშიც კი, წლიურად მხოლოდ სამი მოდელის დამზადება იქნება შესაძლებელი.



აკადემიური რჩევანი

მაღაზია-სალონის "ჩინური სახლი" მენეჯერ თათია მიმინოშვილთან ერთად

ქართველებისათვის ასე საყვარელი და კარგად ნაცნობი კულტურა - ჩაი ჩინური წარმოშობისაა. უფრო სწორად, მისი სამშობლო სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ზედა ბირმა და ჩრდილოეთ ვიეტნამია. სიტყვა **"ჩაი"** ჩრდილოეთ ჩინური წარმოშობისაა **-cha**, ხოლო მისი დასავლეთ ევროპული სახელწოდება **"tea"** კი სამხრეთ ჩინური **te-დან** მომდინარეობს. თავდაპირველად ის ერთგვარად **პრივილეგირებული სასმელი იყო,** მას მმართველი წრეები და სასულიერო პირები მიირთმევდნენ როგორც სამკურნალო საშუალებასა და დაღლილობის მოხსნისთვის საუკეთესო ნაყენს. ჩაი მათ მატებდა ენერგიას და უუმჯობესებდა მხედველობას. უკვე 10-ე საუკუნიდან ჩაი ჩინურ ნაციონალურ სასმელად და შესაბამისად, ერთ-ერთ მომგებიან ვაჭრობის პროდუქტადაც იქცა. სწორედ ვაჭრების წყალობით, **17-ე საუკუნის ბოლოს,** ჩაი **ინგლისის სამეფო კარზეც გაჩნდა** და მალე მონარქების ტრადიციული სასმელი გახდა. მალე **ინდოეთში,** როგორც ინგლისის კოლონიაში, **ჩაის მასიური წარმოება დაიწყეს.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩაი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სასმელია, ცოტა თუ ვინმემ იცის, კერძოდ რა სასარგებლო თვისებები აქვს მას და როგორ უნდა დავაყენოთ და მივირთვათ ჩაი ისე, რომ ეს თვისებები შეუნარჩუნდეს. **უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩაი არის: მწვანე, შავი, წითელი და ყვავილების** და ყოველი მათგანი განსხვავდება არა მხოლოდ გემოთი და არომატით, არამედ სასარგებლო თვისებებითაც. ასე მაგალითად, **მწვანე ჩაი** ინარჩუნებს ჩაის ნორჩ ფოთლებში არსებულ ყველა სასარგებლო ნივთიერებასა და თვისებებს. ის **წმენდს** კუჭ-ნაწლავს, თირკმელებსა და ღვიძლს. ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, ეფექტურია გაციებისა და სასუნთქი გზების დაავადებათა დროს, მას **ხშირად იყენებენ მწველები** პროფილაქტიკის მიზნით. მწვანე ჩაი აღადგენს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას, ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს და გააჩნია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მასტიმულირებელი ეფექტი. იაპონელი მედიკოსების გამოკვლევების თანახმად, მისი 30-დან 3 თვემდე რეგულარული მოხმარების შემთხვევაში, ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანებს **არტერიული წნევა 10-20 % უმცირდებათ.** ასევე, **ის ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს კიბოს უჯრედების წარმოქმნის მიმართ** და გამოიყენება **რადიაქტიული** ზემოქმედების შესასუსტებლად. ამ სახეობის ჩაის შორის უნდა გამოიყოს ე.წ. **ორგანული მწვანე ჩაი.** ის არასელექციური ველური ხის(და არა ბუჩქის) ფოთლისგან მზადდება. მას ხელით ამუშავებენ და შეიცავს დიდი რაოდენობით სელენს-კიბოს პროფილაქტიკურ ნივთიერებას. **ასევე ძალიან ცნობილია მწვანე ჩაის კიდევ ერთი სახეობა - "მაოფენი". ის ჩაისთვის საუკეთესო ადგილად ცნობილ ხუანშანის მთებში მოჰყავთ. ეს ჩაი დღეს არის ქართულ ბაზარზე და მას ძირითადად ჩინურ რესტორნებში სთავაზობენ კლიენტებს, მაგრამ ხუანშანის მთის ჩაი მხოლოს მაღაზია-სალონ "ჩინურ სახლში" იყიდება. მისი განსაკუთრებულობა დიდი რაოდენობით ტანინის შემცველობაში გამოიხატება, ამიტომ ის უფრო სასარგებლოა და უფრო გემრიელიც. წითელი ჩაი** - მასში თითქმის ყველა შემავალი ნივთიერება დამუშავების შედეგად გარდაქმნილია. გამოკვლევების მიხედვით სწორედ წითელი ჩაი ამაღლებს ორგანიზმის იმუნიტეტს ყველაზე მეტად და ახანგრძლივებს სიცოცხლეს. **შავი ჩაი** - მისი დამუშავებისას ორი სახის ფერმენტაცია ხდება. ასეთი ჩაი რაც უფრო ასაკოვანია, მით უფრო რბილი არომატი აქვს. იგი ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას, ხელს უწყობს წონის დაკლებას, საჭმლის მონელებას, შხამების გამოყოფასა და ორგანიზმში ცხიმების დაშლას. უნდა გამოვყოთ ე.წ. **შავი დრაკონის ჩაი "ულუნი."** ეს სახელწოდება მან იმ ადგილის გეოგრაფიული სახელიდან მიიღო, სადაც მოჰყავთ. მას ნახევრადფერმენტირებულ ჩაის სახეობებს მიაკუთვნებენ და შუალედურ ადგილს იკავებს წითელ და ტრადიციულ შავ ჩაის შორის. ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების გამოყოფას, ზრდის იმუნიტეტს, მასში შემავალი **E ვიტამინის** დიდი შემცველობა კვებავს ღვიძლს და ანელებს ჟანგვის პროცესს. ხოლო ჩაის **კატეხინი P ვიტამინი** ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და ახელს უწყობს ორგანიზმში **C ვიტამინის** დაგროვებას. რაც შეეხება **ყვავილების ჩაის - ჟასმინის ჩაი** აუმჯობესებს მხედველობას, სასარგებლოა ღვიძლისა და სისხლისთვის, აწესრიგებს ფოზიოლოგიურ პროცესებს, აახალგაზრდავებს ორგანიზმს; **ქრიზანთემა** ამცირებს ორგანიზმის ტემპერატურას, აუმჯობესებს მხედველობას, თვალს ანიჭებს ბრწყინვალებას, ორგანიზმიდან გამოყოფს ტოქსინებს, სასარგებლოა ღვიძლისთვის. გამოიყენება გადახურების, თავბრუსხვევის, თავის ტკივილის დროს, აწესრიგებს ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგებას, აუმჯობესებს კანის ფერს და მდგომარეობას. საერთოდ, ჩაიზე და მის სასარგებლო თვისებებზე დაუსრულებლად შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩაი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებას მხოლოდ მაშინ ინარჩუნებს, თუ მას სწორად მოვიხმართ. **უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს,** რომ **ჩაი უნდა დაილიოს** პატარა ჭიქებით, ყლუპ-ყლუპად, ყოველგვარი **შაქრისა და** მურაბის გარეშე, აღარაფერს ვამბობთ ნამცხვარზე. **არ შეიძლება მისი მიყოლება საჭმელთან.** ის უნდა მივიღოთ **ცალკე ულუფად.** ასევე, **არ შეიძლება დაყენებული ჩაის** გამოყენება რამდენიმე საათის და მით უფრო, დღის შემდეგ. თუ ჩაი გაშრა(ეს ეხება ძირითადად პაკეტის ჩაის), მისი გამოყენება აღარ შეიძლება - **ის უკვე ტოქსიკურია** და შესაბამისად, - მავნეა. **ჩაის დასატკბობად** უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყენოთ სპეციალური აბები დიაბეტით დაავადებულებისთვის, ან უმჯობესია შეიძინოთ **შაქარყინული,** რომელიც **ფრუქტოზაა** და არა გლუკოზა.

აქვე **შეგიძლიათ შეარჩიოთ** და **შეიძინოთ** ბიოლოგიურად აქტიური **საკვები დანამატები,** რომლებიც **აძლიერებენ იმუნურ სისტემას,** ავსებენ ორგანიზმის **დეფიციტს** სასიცოცხლო მნიშვნელობის ნივთიერებებით და **აფერხებენ დაბერების პროცესს; ყურადღება!** "ჩინური სახლი" გთავაზობთ: **უპროცენტო განვადებას,** 10-20%-იან **ფასდაკლებას წინასწარი** შეკვეთის შემთხვევაში; **ფასდაკლების სისტემას მუდმივი კლიენტებისთვის;** იმ შემთხვევაში, თუ **გახსნით ფასდაკლების ბარათს**(ბარათი იხსნება **100 ლარიანი** შენაძენის შემდეგ) და დააგროვებთ მასზე შენაძენების ანგარიშს, ჯამური თანხის **1000 ლარის** გადაჭარბების შემთხვევაში, **ყოველ მომდევნო შენაძენზე** თქვენ მიიღებთ **5%-იან,** 5000 ლარის შემდეგ **10%-იან,** 10000 ლარის შემდეგ კი **15%-იან ფასდაკლებას. ღიაა: 11:00-დან 20:00-მდე, კვირას: 11:00-დან 19:00-მდე.**

მარჯანიშვილის 16,
ტ.: 91 03 63;
აბაშიძის 14; ტ.: 25 03 43;

ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო
მაია კაპანაძე
899 95 57 67

კლუბები/რესტორნები

მუშაობს: პარასკევი/შაბათი; იხსნება: 20:00; DJ ფართი: 24:00; ერთ დღეს **ქართველი,** მეორე დღეს - **უცხოელი DJ; ფასი:** ბიჭი **25 ლარი,** გოგონა **15 ლარი; 21 წლამდე** ახალგაზრდების **შესვლა** სასტიკად აკრძალულია**; მკაცრი "ფეის კონტროლი"; მენიუ:** ქლაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი **1000-მდე** სტუმარს იტევს. აქვს **300 დასაჯდომი** ადგილი და **10 VIP მაგიდა. შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს **2 ბარი; გამოირჩევა** თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი **ლაზერული განათება.**

მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16;
საკუთარი ავტოსადგომი.

იხსნება: 12:00; ქართულ-აზიური-ევროპული რესტორანი შესაბამისი ინტერიერითა და კერძებით. **საუკეთესო დასვენებისა და გართობის ადგილი თქვენთვის და თქვენი სტუმრებისთვის.** აქ შეგიძლიათ მიირთვათ ტრადიციული ქართული, დახვეწილი **ევროპული და ეგზოტიკური აზიური სამზარეულოების დელიკატესები,** ნახოთ ცეცხლოვანი ქართული, აზიური, ბოშური და მუცლის ცეკვები და გემო გაუსინჯოთ სურნელოვანი არომატის მქონე ნარგილეს. რესტორანი **იტევს 160 სტუმარს;** აქვს **VIP დარბაზი,** კარაოკეთი და პროექტორით, გათვლილია 50 სტუმარზე; **სამზარეულო მუშაობს: 02:00-მდე;** ერთი ადამიანის **კვების საშუალო ღირებულება: 40 ლარი;**

სიახლე: 1 ივნისიდან 24 საათიანი მომსახურება. გაატარეთ ღამე აზიურ გარემოში, ჩილიმი, ღამის პროგრამა და ტრადიციულად უგემრიელესი კერძები.

მტკვრის მარჯვენა სანაპირო 2;
ტ.: (+99532) 75 11 88;
ფაქსი: (+99532) 75 11 88;
უფასო ავტოსადგომი.

16.06.06- Rennie Pilgrem / London / TCR; 24.06.06-Magik Johnson /Manchester/ Underwater, დასაწყისი: 22:00. იხსნება: 19:00; პარასკევი/შაბათი - დისკოთეკა 22:00;
შესვლა: 20 ლ. გოგონებისათვის უფასოა; **VIP** ადგილი ცალკე შესასვლელით. **ყოველდღე: 22:00** ელექტრონული მუსიკა და დიჯეი ფართი; ქართველი და ევროპელი დიჯეები. **არაბული ნარგილე: 20 ლარი;** მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

ყურადღება: ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის **ყველა მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია მონიტორზე.** კლუბში გახსნილია **ბრაზილიის გულშემატკივართა ფანკლუბი.** მხოლოდ **მათთვის, თამაშების მსვლელობისას, გათამაშდება სპეციალური პრიზები.**

ბამბის რიგი 7;
ტ: (+99532) 43 90 38
ავტოსადგომი უფასოა

ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 22:00 დიჯეი ფართი და დისკოთეკა. **მიმტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV**; **ყოველ ხუთშაბათს: Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

ყურადღება! 09.06.06-დან 09.07.06-მდე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია კლუბის ყველა მონიტორზე. სტერეო ხმა და სტადიონის ეფექტი ყოველ მატჩს კიდევ უფრო დაუვიწყარს გახდის.

რუსთაველის გამზირი 18;
ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);
ავტოსადგომი უფასოა.

ბარები/კაფეები

იხსნება: 12:00; უნიკალური სპორტული ექპონატებისა და **მსოფლიო სპორტის მეგავარსკვლავების გარემოცვაში,** გიგანტურ ტელეეკრანზე შეგიძლიათ იხილოთ **მსოფლიოს 15 სპორტული არხის საუკეთესო მატჩები** და ტურნირები, იგემოთ ევროპული და ამერიკული სამზარეულოს საუკეთესო კერძები, **ისიამოვნოთ ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების ფართო არჩევანით,** უმაღლესი დონის სერვისითა და კომფორტით; **ლანჩი: 13;00-დან 16:00-მდე;**

ყურადღება! 09.06.06-დან 09.07.06-მდე მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული სანახაობა ჩვენს ეკრანებზე. ეს ტუმრეთ კაფეს და ფეხბურთის ფანებთან და მეგობრებთან ერთად თვალი ადევნეთ ფეხბურთის მსოფლი ჩემპიონატს; უგულშემატკივრეთ საყვარელ გუნდს, გამოხატეთ და დახარჯეთ ემოციები ყველაზე შესაფერის გარემოში. დაჯავშნეთ ბილეთები წინასწარ. **ბილეთის ფასი: 10 ლარი; ღირებულებაში შედის საჩუქარი - 1 ბოთლი საუკეთესო ლუდი-"LOWENBRAU". კაფე მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე;**

მაიაკოვსკის 5 /მუშთაიდის ბაღის პირდაპირ/;
ტ.: 95 02 36; ფაქსი: 95 80 62

მაღაზიები

დიზაინერ **ნანა შუკვანის სახელოსნო.** ქალბატონებს შეუძლიათ შეუკვეთონ მათთვის სასურველი მოდელის, ფერისა და ნაჭრის ნებისმიერი სამოსი. **მალე:** მაღაზია **" DALOOD" შემოგთავაზებთ ქალის სამოსის მრავალფეროვან არჩევანს.** კლასიკური სტილიდან - სპორტული სტილის ჩათვლით: კაბები, ქვედაბოლოები, პიჯაკები, პერანგები, მოსაცმელები, შარვლები და სხვა. **სიახლე - საოჯახო აქსესუარები:** ხელით ნაკეთი, მოქარგული თეთრეული, საწოლისა და მაგიდის გადასაფარებლები, ფარდები, ფარდაგები **უმაღლესი ხარისხის იტალიური ნაჭრისაგან,** საავტორო დიზაინი. **ღიაა: 10:00-დან 20:00-მდე;**

კოსტავას 23 /სახელოსნო/,
ტ.: 93 52 15; მიმინოშვილის 2 /მაღაზია/ სუპერმარკეტ **"ბაბილონის"** წინ, შესასვლელი **ახვლედიანის** ქუჩიდან, **ტ.: 98 75 11.**

მაღაზია-სალონი **ეგზოტიკური** ნივთების მოყვარულებს **წარმოგიდგენთ:** თანამედროვე დიზაინის **ექსკლუზიურ ავეჯს** და ორიგინალურ **აქსესუარებს,** ნატურალური აბრეშუმისა და ბამბის ულამაზეს **თეთრეულს;** ხელნაწერ **ფაიფურის ლარნაკებს**, თიხის, კერამიკის, მინისა და ფაიფურის **ჭურჭელს,** ტირიფისა და ლიანისაგან **მოწნულ სანათებს;** სალონში შეგიძლიათ **შეარჩიოთ:** ჩინელი ოსტატების მიერ **ხელნაწერი** ულამაზესი **ნახატები** და **მარაოები,** მარგალიტი და ორიგინალური **ბიჟუტერია,** ჩინური ხელნაჭედი **საბრძოლო** და **სასუვენირე,** აგრეთვე, **დამასკური** ფოლადის **ხმლები,** ნაციონალური და **ფენშუის სუვენირები; ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმდევრებს** აქვე შეუძლიათ **შეიძინონ:** ორთოპედიული, ჰიპოალერგიული და არომათერაპიული სამკურნალო ბალიშები, ანტიალერგიული და კანის სტრუქტურის გამაჯანსაღებელი საბნები ნატურალური აბრეშუმის შიგთავსით, სამასაჟე სავარძლები; ასევე, **მაღაზია-სალონი გთავაზობთ** უმაღლესი ხარისხის **ჩინური ჩაის** ფართო ასორტიმენტს: საკოლექციო და ორგანულ მწვანე ჩაის, შავ, ჟასმინისა და წითელ ჩაის, შავი დრაკონის ჩაის-ულუნი, ეგზოტიკური ხილისა და ყვავილების, აგრეთვე, - სამკურნალო და გასახდომ ჩაის;

კოლობოკის მოგზაურობა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ნადია წულუკიძე, 1976 წელს ქუთაისში დაბადებული, თბილისში გაიზარდა. რაც თავი ახსოვს, სულ მუსიკოსობა უნდოდა, ეგონა, მევიოლინე გავხდებიო. დედამისი ვიოლინოზე უკრავდა, ბიძა - ალტზე, და ნადიაც კონსერვატორიაზე ოცნებობდა.

გამოხდა ხანი, და 1995 წელს ნადია როგორც ორკესტრ "ახალი თაობის" მევიოლინე, გერმანიაში გაემგზავრა გასტროლებზე. როგორც აღმოჩნდა, ეს მრავალი რამის გადამწყვეტი მოგზაურობა იყო.

ნადიას, ისევე, როგორც მისი თაობის მრავალ წარმომადგენელს, ყოველთვის უნდოდა, - მისი სიტყვები რომ მოვიშველიოთ, - "საქართველოდან გავარდნა". და აი, შანსიც! ნადიამ გადაწყვიტა, რომ გერმანიაში გახდებოდა კონსერვატორიის სტუდენტი და იქ განახორციელებდა თავის ოცნებას: დიდი მევიოლინე დადგებოდა.

მაგრამ ვერ ჩააბარა. როგორც ჩანს, მეტისმეტად იჩქარა, ჯერ არ იყო სათანადოდ მომზადებული. მაგრამ, ვინაიდან მიზანი უკვე ორი ჰქონდა - მუსიკოსობა და საქართველოდან წასვლა, ნადიამ ევრითმია გაიხსენა, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისში "შეხვდა" პირველად, და ჩათვალა, რომ შტუტგარტის ევრითმიუმში ჩააბარებდა - განა მუსიკის ვიზუალიზაცია ცუდია?

თავიდან იქაც არ იღებდნენ, ძალიან სახალისო მიზეზის გამო: ნადიას გამოჩენამდე ევრითმიუმის სტუდენტი ორი ყაზახი გამხდარა, რომელთაც, როგორც გაირკვა, არც ცეკვა აღელვებდათ, არც მუსიკა, და საერთოდ ვერ გაეგოთ, რა საქმეზე იყვნენ ჩასული, და სასწავლებელს მსგავსი ამბების ხალისი აღარ ჰქონდა. მანამდე კი ქართველებთანაც ცუდი გამოცდილება ჰქონიათ - ქართული ცეკვიდან ევრითმიაზე გადართულ ყმანვილს სტიპენდია აუღია და მას მერე აღარავის უნახავს! ჰოდა, ნადიასაც უარით ისტუმრებდნენ, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით: როცა რაღაცა ძალიან, ძალიან, მთელი გულით გინდა, აუცილებლად გამოგივა.

ერთი ისაა, რომ ვიოლინოსა და ევრითმიას შორის არჩევანის გაკეთება გაჭირდა. თავად განსაჯეთ: ვიოლინო ყველგან ვიოლინოა, ევრითმია კი, კაცმა რომ თქვას, ვის რად უნდა... მაგრამ მანამდე ნადიას გერმანიაში საფუძვლიანად შეურყიეს იმის რწმენა, რომ მუსიკოსობა ყველაზე დიდი სიხარული და ტოტალური თავისუფლებაა - სულ სხვანაირად უყურებდნენ იმას, რასაც ნუკრი ბაგრატიონ-დავითაშვილი, ნადიას პირველი მაესტრო, ჯადოსნურ სამყაროდ წარმოუდგენდა. მართალია, მეორე სასწავლო წელს ევრითმიაც გაჭირდა - მეტისმეტად დოგმატური აღმოჩნდა, მეტისმეტად ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული. მაგრამ ნადიამ გადაწყვიტა, რომ ერთი რამე მაინც უნდა ესწავლა ბოლომდე, ის ძალიან კარგი სტუდენტი იყო, და ხუთი წლის შემდეგ უკვე დანამდვილებით შეეძლო ეთქვა, რომ რა-რა, და ევრითმია ნამდვილად აქვს ნასწავლი.

მერე დაიწყო დიდი გზა, დიდი მოგზაურობა, ცხოვრება, რომელსაც ნადია დღეს "კოლობოკისას" უწოდებს. ნადია ბავშვებისათვის დადგმულ ზღაპარში იღებდა მონაწილეობას და ამ წარმოდგენით ლამის მთელი გერმანია მოიარა. ნადია დადიოდა კლასიკურ ბალეტზე და რუსულ ცეკვებზე, მისი პედაგოგი ოდესის საბალეტო სკოლის დირექტორი იყო, გერმანიაში სამუშაოდ ჩამოსული. მისი კურსი "რევოლუციურად" ითვლებოდა, თავისუფალი ინიციატივისა და ექსპერტიმენტთა სიუხვის გამო. შემდეგ იყო ევრითმიის ფესტივალი ქალაქ დორნახში, სადაც ის თავის "რუსულ ჯგუფთან" ერთად მოაწილეობდა. და სწორედ იქ შეხვდა ალექსანდერ ზეგელს, ოსტატს, რომელმაც ასევე "გადაუხვია" დოგმებიდან, და ექვს სხვა მოცეკვავესთან ერთად ნადია მისი ვორქშოპების მონაწილე გახდა.

საბოლოოდ ზეგელთან, კასელში, სამნი დარჩნენ, საოცარი ჯგუფი: ქართველი ანა, ქართველი ნადია და ერთი გერმანელი, კრისტოფი. ამ უკანასკნელს ეჭვით უყურებდნენ - რა გინდა, ბიჭო, ორ ქართველთან ერთად...

შესანიშნავი დრო იყო: თამამი ექსპერიმენტები, მრავალი ახალი სკოლა თუ მიმდინარეობა - ფენდენკრაისის ტექნიკა, ბუტო, კლასიკური ბალეტი და მრავალი ახალი ადამიანი, ახალი მასწავლებელი, ახალი ცოდნა. "ჩემი დამოკიდებულება ჩემი სხეულის მიმართ ჩემი ცხოვრების ფილოსოფიასთან ახლოსაა," ამბობს ნადია, "აზროვნების და შინაგანი სამყაროს განვითარებასთან ერთად სხეულის ენაც შეიცვლება და შენს ტექნიკასაც იპოვნი".

ოც "გადახვეულ" ევრითმისტთან ერთად ნადია შვედეთში, იარნაში. და იქ... ო, ეს ცალკე ამბავია.

ყველა, ვისაც კი დასავლეთში ბედის ცდა ან ან რამის მიღწევა უცდია, ერთხმად დამეთანხმება, რომ ვიზა პრობლემაა, თან დიდი, ზოგჯერ გადაუწყვეტელიც. ამ პრობლემის გადაწყვეტას ორი ქართველისა და ორი გერმანელისგან შემდგარი ჯგუფი ძალიან პრიმიტიულად აპირებდა: კრისტოფი ითხოვდა ანას, ნადია კი თავისი პედაგოგის ფიქტიური მეუღლე გახდებოდა. მაგრამ ნადიას არ უნდოდა. "აი, ნახე: საქართველოდან ისე გამოვიქეცი, რომ არც ვიცოდი წესიერად. რუსულენოვან ოჯახში გაზრდილი ისედაც არ ხარ ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. და ვიფიქრე: ახლა კიდევ აქაური, ათი წლის გეგმები უნდა ვაწყო? ყოველთვის ვიცოდი, რომ "მერე საქართველო იქნება," და თუ იქ ასე დავრჩებოდი, საქართველო სულ უფრო შორს გადაიწევდა". და გარდა ამისა, შვედეთში ნადიას ერთი ძალიან, ძალიან კარგი ბიჭი შეუყვარდა და სულ აღარ უნდოდა თავისი პედაგოგის თუნდაც ფიქტიური ცოლობა... ნადია თბილისში დაბრუნდა.

"პირველი წელი საქართველოში არ გამიხარდა. უცხო ვიყავი. ენა მესმოდა, აზრები - არა..." მერე ნადიამ ანი რიაბოშენკოსა და ჯგუფ "ტრემთან" ერთად დაიწყო მუშაობა, ინტერნეტ გვერდზე მოძრაობის თეატრი აღმოაჩინა და თითქოს ყველაფერი მოგვარდა. მაგრამ ვერ მოგვარდა. ძნელია, ორ სკამს შორის რომ ხარ გაჭედილი, თუმცა, მე თუ მკითხავთ, ასე უფრო საინტერესოცაა.

ისევ შტუტგარტი, ისევ იმედგაცრუება, და ისევ თბილისი. ახლა ყველაფერი კარგადაა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი პირი უჩანს. ნადიას მარტოდ აღარ უწევს ენის, მუსიკის, მოძრაობის და სახვითი ხელოვნების გამაერთიანებელი ექსპერიმენტული თეატრის შექმნა - ახლა მასთან ერთად სოფო ტაბატაძეა, კარგი გოგო და კარგი ხელოვანი, ისინი ერთად ერთობ საინტერესო პერფორმანსებს მართავენ და დიდი გეგმებიც აქვთ. ჰოდა, ნადიასაც ისეთი პირი უჩანს, რომ კმაყოფილია.

უბრალოდ, მე მგონია, რომ მოცეკვავე კოლობოკის მოგზაურობა ჯერ არ დასრულებულა, და დიდება ღმერთს. თუკი გაჩერდა, აუცილებლად შეჭამს მელია-კუდაგრძელია, და რა მნიშვნელობა აქვს, ვის სახეს მიიღებს ეს მხეცუნა: დიდი ფულის, იაფფასიანი წარმატების თუ მოჩვენებითად მშვიდი ცხოვრებისა.